მასწავლებელი

№2(45),2017

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გამოცემა

ნატო ინგოროყვა

ჟურნალი „მასწავლებელი“ საქართველოს ყველა სკოლაში უფასოდ რიგდება და ხელმისაწვდომია თითოეული მასწავლებლისათვის.

პროფესიული ჟურნალი „მასწავლებელი“ გამოდის ორ თვეში ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:
ნატო ინგოროყვა

რედაქტორები:
მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

რედკოლეგია:
გიორგი მაჩაბელი,
მანანა რატიანი,
მარიკა სიხარულიძე,
ნათია ნაცვლიშვილი

სტილისტი:
ირმა ტაველიძე

დიზაინი:
ბესიკ დანელია

მხატვარი:
მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი:
ქეთევან ნიკოლეიშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:
ნინო ჭიაბრიშვილი,
მაია ჯალიაშვილი,
მაია ფირჩხაძე, ანა ჯანელიძე,
მანანა ბოჭორიშვილი,
ირმა კახურაშვილი, ინგა ლომაძე,
მარიამ გოდუაძე, ნესტან რატიანი,
მაია ინასარიძე, ქეთევან კობალაძე,
ნინო კაპანაძე

საკონტაქტო ინფორმაცია:
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.
მისამართი:
თბილისი, გმირ კურსანტთა ქ. 1,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ჟურნალში გამოყენებულია შრიფტი: FuturaBook Geo. ავტორი: კობა კურტანიძე.

ყველა უფლება ეკუთვნის ავტორს.

ჟურნალში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული ზოგიერთი მოსაზრება, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედკოლეგიის შეხედულებებს. ცალკეულ სტატიაში დასახელებული ფაქტების უტყუარობაზე პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

ISSN 1987-6149 UDC 371.1 / 8-374

WWW.TPDC.GE

მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობა ხშირად იყო ჩვენი მსჯელობის საგანი და ამ ურთიერთდამოკიდებულების შესწავლას დღესაც განვაგრძობთ.

გამოცდილებამ გვაჩვენა და უნდა ვაღიაროთ: თუ მასწავლებლისა და მოსწავლის ურთიერთობას დავაკვირდებით, იოლად დავინახავთ, რომ ეს ურთიერთობა უმეტესად ნარატიულია. ის გულისხმობს მთხრობელ სუბიექტს – მასწავლებელს და მსმენელ ობიექტს – მოსწავლეს. ასეთი თხრობის პროცესი დუნეა და გაქვავებული. შეიძლება ითქვას, განათლება დაავადებულია თხრობის დაავადებით.

მოსწავლე ელოდება, რომ მასწავლებელმა აავსოს თავისი თხრობის შინაარსით, რომელსაც კავშირი არ აქვს რეალობასთან ან საკმაოდ შორს არის იმისგან, რაც მოსწავლისთვის მშობლიური და ნაცნობია და რაც მისთვის შესაძლოა აღქმადი და შინაარსიანი გახდეს.

მოსწავლე იწერს, იმახსოვრებს და იმეორებს ფრაზებს და არ ესმის, სინამდვილეში რას ნიშნავს „შვიდჯერ რვა“ და რაში გამოიყენებს ამას, ისევე როგორც ვერ გაიაზრებს სიტყვა „სამშობლოს“ ნამდვილ მნიშვნელობას წინადადებაში: „სამშობლო, დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა“. ნარატიულ სწავლებას მივყავართ იქით, რომ მოსწავლე მექანიკურად იმახსოვრებს მოსმენილს. ასეთი დამოკიდებულება მას აქცევს ერთგვარ ჭურჭლად, რომელსაც მასწავლებელი „ავსებს“. რაც მეტად „აავსებს“ „ჭურჭელს“, მით უკეთეს მასწავლებლად მიიჩნევა; რაც უფრო თვინიერად „ავსებინებენ“ „ჭურჭლები“ თავს, მით უკეთესი მოსწავლეები არიან.

ამ, რბილად რომ ვთქვათ, არასწორ სისტემაში ადამიანი არ მოიაზრება, რადგან ასეთ პროცესს თან არ ახლავს შემოქმედებითობა, არც გარდაქმნის შესაძლებლობა, არც ნამდვილი ცოდნა, რადგან შემეცნებისა და პრაქტიკის გარეშე ადამიანებს არ შეუძლიათ იყვნენ ადამიანურები.

განათლებისადმი ასეთი მიდგომისას მას, ვისაც ცოდნა აქვს, მიაჩნია, რომ ცოდნა საჩუქარია და სჩუქნის მათ, ვისაც თავად არაფრისმცოდნედ მიიჩნევს. სხვებისთვის აბსოლუტურად უცოდინართა იარლიყის მიკერება ჩაგვრის იდეოლოგიის დამახასიათებელი თვისებაა. როდესაც მასწავლებელი უშვებს აზრს, რომ მოსწავლეები სრულიად უცოდინრები არიან, ამით ის გარდაუვლად ახდენს საკუთარი თავის როგორც მოწინააღმდეგის პოზიციონირებას მოსწავლეთა წინაშე. ამავე დროს, ამ დაშვებით ვლინდება მასწავლებლის არსებობის აუცილებლობა. მოსწავლეები, გაუცხოებულნი ცოდნისგან, თავისუფლებისგან, აღიარებენ თავიანთ უცოდინრობას როგორც მასწავლებლის არსებობის გამართლებას, მაგრამ ვერასდროს მიხვდებიან, რომ თვითონაც შეიძლება ასწავლონ მასწავლებელს.

განათლება უნდა იწყებოდეს მოსწავლეებსა და მასწავლებელს შორის ამ წინააღმდეგობათა მოგვარებით, საპირისპირო პოლუსების შეთანხმებით და იმის გაცნობიერებით, რომ ორივე მხარე ერთდროულად არის მასწავლებელიც და მოსწავლეც.

თითქოს ბუნებრივად მივიჩნევთ ყველაფერ ამას, მაგრამ მგონი აჯობებს, ჩვენს პოზიციებს საკლასო ოთახში სხვა თვალით შევხედოთ.

მოსაზრება

8 ნესტან რატიანი
როგორ დავწეროთ პროექტის მიზანი
პროექტის მიზნის ჩამოყალიბებისას დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენი და რომელი ზმნა იქნება გამოყენებული წინადადებაში. ზმნა წინადადების ის წევრია, რომელიც მოქმედებას გამოხატავს, ეს კი ნიშნავს, რომ კარგი მიზანი მოქმედებათა სიმრავლითა და ხარისხით იზომება, რისი გამოხატვაც წერისას სწორედ ზმნას ეკისრება.

12 მაია ინასარიძე
თავისუფალი გაკვეთილის შესახებ: საერთაშორისო გამოცდილება
თავისუფალი გაკვეთილები მოსწავლეზე ორიენ-ტირებული მიდგომის დანერგვისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა ხომ, უპირველესად, თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებების, მისი ინტე-რესებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გათვალისწინებას ნიშნავს.

16 მაია ჯალიაშვილი
საზოგადოება და მასწავლებელი
საზოგადოება მეტად უნდა იყოს ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, იცნობდეს რეფორმებს, აფასებდეს მასწავლებლის შრომას, ჰქონდეს ამ პროფესიის სიყ-ვარული და პატივისცემა. მაშინ აღარ იქნება მცდარი წარმოდგენა ქართველ მასწავლებელზე

19 ანა ჯანელიძე
აღრეული აღზრდა თუ განათლება?
ტერმინთა დემისტიფიკაცია დიაღოგისთვის
მიზანშეწონილია „აღზრდის“ ჩანაცვლება ახალი ტერმინით – „განათლება“. უპირველეს ყოვლისა, კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი, რომ განათლების ჰოლისტური განმარტება მოიცავს „აღზრდის“ ტრადი-ციულ გააზრებას.

გამოცდილება

4 ნინო ჭიაბრიშვილი
როგორ დავწეროთ გაკვეთილი
გაკვეთილის დამწერი გამომგონებელი უნდა იყოს, მაგრამ გამომგონებლობა საკმარისი არ არის, ის ნოვატორიც უნდა იყოს. შესაძლოა, დამწერს ჰქონდეს სანიმუშო იდეა გაკვეთილისთვის, მაგრამ ამ გაკვეთილს ვერ გამოიყენებს სხვა, თუ ის არ იქნება არა მხოლოდ ახლებური, არამედ ნათელიც, მოკლეც, ზუსტიც, სრულყოფილიც და ადვილი გამოსაყენებელიც.

გამოცდილება

38 მარიამ გოდუაძე
აზროვნება და განწყობა – ორი სინჯარის ეფექტი
აზროვნება და განწყობა – ორი სინჯარის ეფექტი იმისთვის, რომ სინამდვილის რაღაც მონაკვეთი აზროვნების საგნად გადაიქცეს, აუცილებელია ამ მონაკვეთის ობიექტივაცია. განწყობის თეორიის თანახმად, ობიექტივაციის აქტი აზროვნების ფსიქოლოგიური პირობაა.





განათლების ფსიქოლოგია

34 ქეთევან კობალაძე
როგორ ვასწავლოთ
არსებობს უსაფრთხოების კანონი, რომელიც მუდამ უნდა ახსოვდეს ყველა მშობელს. „თუ თქვენ ან თქვენს შვილს არ გაინტერესებთ სწავლის პროცესი, შეწყვიტეთ მეცადინეობა“ – სავარაუდოდ, თქვენ მას არასწორად წარმართავთ. უპირველეს ყოვლისა, დაისვენეთ და გაიხსენეთ, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ თამაშია, რომელშიც წაგებული არ უნდა არსებობდეს.

საერთაშორისო გამოცდილება

50 ირმა კახურაშვილი
SIMPLE – ფინური განათლების ხიბლი
ფინეთი ქვეყანაა, სადაც მოსწავლეებს, განურჩევლად მათი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსისა, უფასო და ნოყიერ სადილს აჭმევენ. ასევე უფასოა სკოლაში დაგეგმილი კლასგარეშე აქტივობები: ექსკურსიები, მუზეუმებში სტუმრობა და სხვა. უფასოა სახელმძღვანელოები, საკანცელარიო მასალა, ნოუთბუქები და პლანშეტები. საჭიროების შემთხვევაში ბავშვებს უფასოდ ემსახურება სკოლის ავტობუსი.

რესურსი

23 მანანა ბოჭორიშვილი
როგორ მოვამზადოთ სტატია
კარგად დაწერილი სტატიის წაკითხვისას უნდა იგრძნობოდეს, რომ მასწავლებელი კარგად იცნობს სტატიაში წარმოდგენილ საკითხებს და გააზრებული აქვს მათი მნიშვნელობა სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად.

26 მაია ფირჩხაძე
როგორ შევუქმნათ მოსწავლეებს პირობები ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების დამოუკიდებელი შეფასებისთვის
მოსწავლეთა დამოუკიდებელი წარმოდგენების ფორმირებისთვის პირობების შესაქმნელად აუცილებელია, გამოვიყენოთ სასწავლო საქმიანობის მრავალფეროვანი ფორმები, ისეთი აქტივობები, რომლებიც დააინტერესებს მოსწავლეებს: გაკვეთილი-მოგზაურობა; გაკვეთილი-კონფერენცია; გაკვეთილი-გამოფენა

42 ინგა ლომაძე
თვითსწავლა
თვითსწავლება ამცირებს ზედმეტად ვრცელი შინაარსის მოკლე ხანში გავლის აუცილებლობის უარყოფით ეფექტს. მისი გამოყენება რეკომენდებულია ნებისმიერი კურსის შესასწავლად. ეს მეთოდი იოლი გამოსაყენებელი არ არის, მაგრამ კარგად მუშაობს, თუ საკმაო ყურადღება დაეთმობა დავალების შემუშავებას, მონიტორინგსა და სამუშაოს შეფასებას.

46 თეა ურუშაძე
როგორ გავხადოთ დაუვიწყარი სადამრიგებლო კლასთან პირველი და ბოლო შეხვედრა
არ არსებობს ორი ერთნაირი კლასი, ორი ერთნაირი მოსწავლე, ამიტომ შერჩეული გმირები მოსწავლეებს უნდა მოვარგოთ, უნდა ვიპოვოთ და დავინახოთ განსხვავებები. მთავარია, არავინ გამოგვრჩეს, არ დავივიწყოთ, რომ ეს მათი ბოლო დღეა მოსწავლის ამპლუაში.

53 ნინო კაპანაძე
ინტერაქტიული სწავლება – მრავალმხრივი დიალოგი
ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება მასწავლებლისგანაც და მოსწავლეებისგანაც განსაზღვრულ უნარებსა და გამოცდილებას ითხოვს. მთავარი კი მაინც ის არის, რომ მასწავლებელმა დომინანტის როლის დათმობა შეძლოს. ეს აუცილებელია, რათა საგაკვეთილო სივრცეში მოსწავლეებს თავიანთი როლისა და მნიშვნელოვნების განცდა გაუჩნდეთ.

ნინო ჭიაბრიშვილი

როგორ დავწეროთ გაკვეთილი

> გაკვეთილის დამწერი გამომგონებელი უნდა იყოს, მაგრამ გამომგონებლობა საკმარისი არ არის, ის ნოვატორიც უნდა იყოს. შესაძლოა, დამწერს ჰქონდეს სანიმუშო იდეა გაკვეთილისთვის, მაგრამ ამ გაკვეთილს ვერ გამოიყენებს სხვა, თუ ის არ იქნება არა მხოლოდ ახლებური, არამედ ნათელიც, მოკლეც, ზუსტიც, სრულყოფილიც და ადვილი გამოსაყენებელიც.

თომას ედისონმა აღნიშნა: „გენიოსი 1%-ით შთაგონებაა და 99%-ით - ოფლის ღვრა“. ის დიდი გამომგონებელი იყო და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, დიდი ნოვატორიც. გამომგონებელი ახალი საქონლისა და მომსახურების შემქმნელია, ნოვატორი კი გამოგონებას ეკონომიკური ღირებულების მქონე პრაქტიკულ საგნად აქცევს.

გაკვეთილის დამწერი გამომგონებელი უნდა იყოს, მაგრამ გამომგონებლობა საკმარისი არ არის, ის ნოვატორიც უნდა იყოს. შესაძლოა, დამწერს ჰქონდეს სანიმუშო იდეა გაკვეთილისთვის, მაგრამ ამ გაკვეთილს ვერ გამოიყენებს სხვა, თუ ის არ იქნება არა მხოლოდ ახლებური, არამედ ნათელიც, მოკლეც, ზუსტიც, სრულყოფილიც და ადვილი გამოსაყენებელიც. როცა გაკვეთილს ყველა აღნიშნული თვისება აქვს, ის ეკონომიკურ ღირებულებას იძენს - ნოვატორული ხდება.

სწავლებისადმი მასწავლებლის მიდგომა ხშირად არის ღირებული. შესაძლოა, მან ეს მიდგომა სხვასაც გაუზიაროს, გამოაქვეყნოს კიდეც რამდენიმე გაკვეთილი, თუმცა ყველა მათგანი ვერ გახდეს წარმატებული და ვერ გაიზიაროს სხვა მასწავლებელმა; ზოგი მხოლოდ ერთ – გაკვეთილის დამწერის – საკლასო ოთახში გამოდგება.

გაკვეთილის გეგმის აგების უამრავი ვარიანტი არსებობს. ბევრი რამ უნდა იქნეს განხილული ყურადღებით და დეტალურად. კარგი გაკვეთილის დასაწერად საჭიროა დიდი ძალისხმევა.

გაკვეთილის ფორმატი

განათლების სფეროში მომუშავე ადამიანები ეფექტური გაკვეთილის გეგმის არაერთ ფორმატს გვთავაზობენ. ამომწურავი, კარგი გაკვეთილის ფორმატის ერთ-ერთი ვარიანტი ასეთია:

1. გაკვეთილის სათაური
2. გაკვეთილის აღწერა
3. შინაარსობრივი სტანდარტები
4. ტერმინები/ცნებები
5. მოსაზღვრე საგნები
6. მიზნები
7. საჭირო დრო
8. საჭირო მასალები
9. მსვლელობა
10. დასკვნითი ნაწილი
11. შეფასება
12. განმტკიცება/დაკავშირება

განვიხილოთ თითოეული პუნქტი.

გაკვეთილის სათაური. სასურველია, გაკვეთილის სათაური არატრაფარეტული იყოს და დაფაზე დაიწეროს – ეს მოსწავლეებისთვის ერთგვარი ანკესის გადაგდება იქნება. სათაური მათ გაკვეთილის მიმართ განსაზღვრულ განწყობას შეუქმნის და მისი მოსმენის ინტერესს გაუღვიძებს.

გაკვეთილის აღწერა. ამ ნაწილით გაკვეთილის ავტორი წარმოგვიდგენს გაკვეთილის დანიშნულებასა და მიზნებს და გაკვეთილის მსვლელობის მოკლე აღწერას. მკითხველმაც ამ ნაწილის მიხედვით უნდა გადაწყვიტოს, გამოადგება თუ არა ეს გაკვეთილი დასახული სასწავლო მიზნების მისაღწევად. ამიტომ მნიშვნელოვანია, გეგმის ეს ნაწილი იყოს ზუსტი და მოკლე.

შინაარსობრივი სტანდარტები. მასწავლებლები ხშირად ეძებენ კონკრეტული შინაარსის მქონე გაკვეთილს. მკითხველი სწორედ ამ ნაწილიდან გაიგებს,

გამოადგება თუ არა მოცემული გაკვეთილი კონკრეტული მიზნისთვის. მასში ნათლად უნდა იყოს გამოკვეთილი სასწავლო შინაარსი. ზოგჯერ ჩამოთვლილია ხოლმე ის საკითხებიც, რომლებიც გაკვეთილში ნახსენებია და არ ისწავლება, რაც, რა თქმა უნდა, არასწორია. მაგ., თუ ავტორი ამ ნაწილში ახსენებს „სამოქალაქო უფლებებს“ და არ აზუსტებს ამ უფლებათა სწავლების საფეხურებს, მაშინ არ არის მიზანშეწონილი ამ ნაწილში სამოქალაქო უფლებებთან დაკავშირებული შინაარსობრივი სტანდარტის

მოხსენიება. როგორ უნდა ისწავლოს მოსწავლემ ის შინაარსი, რომელიც გაკვეთილში არ არის მოცემული? გაკვეთილის ავტორი უნდა ერიდოს იმ შინაარსობრივი სტანდარტების ჩამოთვლას, რომლებიც ზუსტად ან სრულად არ არის ახსნილი გაკვეთილში.

ტერმინები/ცნებები. ზოგიერთი მასწავლებელი შესაძლოა სულაც არ იცნობდეს შინაარსობრივ სტანდარტებს და ეძებდეს გაკვეთილს, რომლის საშუალებითაც კონკრეტულ კონცეფციას, მაგალითად, სამოქალაქო საზოგადოებას ასწავლის. სწორედ ამიტომ არის სასარგებლო კონცეფციების ჩამოთვლა. აქაც იგივე საფრთხეა მოსალოდნელი, რაც შინაარსობრივი სტანდარტების წერისას – ავტორმა მხოლოდ ის ცნებები/ტერმინები უნდა ჩამოთვალოს, რომლებიც ზუსტად და სრულად არის ახსნილი გაკვეთილში.

მოსაზღვრე საგნები. სამოქალაქო განათლების ბევრი გაკვეთილი ინტეგრირებულია სხვა საგნებთან, მაგ., მშობლიურ ენასთან, უცხო ენასთან, ისტორიასთან, გეოგრაფიასთან. თუ გავითვალისწინებთ საგაკვეთილო დროის შეზღუდულობას, ინტეგრაცია სასურველია. ის არა მარტო საშუალებას აძლევს მასწავლებელს, ერთდროულად ასწავლოს სხვადასხვა დისციპლინა, არამედ თავად სწავლებასაც სახალისოს ხდის. სამრეწველო რევოლუციასთან დაკავშირებული საზოგადოებრივი სტრუქტურის ცვლილებები ძალიან მიმზიდველი იქნება მსოფლიო ისტორიის მასწავლებლისთვისაც, რომელსაც ერთი გასროლით ორი კურდღლის მოკვლა სურს. ამ ნაწილში ჩამოთვლილი უნდა იყოს ის საგნები, რომლებთანაც ეს გაკვეთილია ინტეგრირებული.

მიზნები. გაკვეთილის მიზნებში აღწერილია საგანმანათლებლო მიზნები მოსწავლეებისთვის, ანუ სწავლების სასურველი შედეგები. კარგად დაწერილი მიზნები აღწერს, რა ეცოდინებათ და რის გაკეთებას შეძლებენ

> სწავლებისადმი მასწავლებლის მიდგომა ხშირად არის ღირებული. შესაძლოა, მან ეს მიდგომა სხვასაც გაუზიაროს, გამოაქვეყნოს კიდეც რამდენიმე გაკვეთილი, თუმცა ყველა მათგანი ვერ გახდეს წარმატებული და ვერ გაიზიაროს სხვა მასწავლებელმა.

მოსწავლეები მოცემული გაკვეთილის შესწავლის შედეგად.

გაკვეთილის დაწერამდე ავტორმა კარგად უნდა ჩამოაყალიბოს სასურველი შედეგები, რადგან გაკვეთილის მთელი მსვლელობა პირდაპირ არის დაკავშირებული შედეგებთან. თუ მიზნები ნათელი არ არის, ავტორმა შესაძლოა სულ სხვაგვარი, არასასურველი შედეგებით დაამთავროს გაკვეთილი. არის რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი, რომლებიც უნდა გვახსოვდეს გაკვეთილის მიზნების განსაზღვრისას: ისინი უნდა იყოს მოსწავლეებზე ორიენტირებული, გასაგები და არაორაზროვანი; მათში ნათლად უნდა ჩანდეს სწავლების მოსალოდნელი შედეგები.

მოსწავლეზე ორიენტირებული. მიზანი აღწერს, რა ცვლილებაა მოსალოდნელი მოსწავლეში. ხშირად ის იწყება შემდეგი ფრაზით: „მოსწავლეები შეძლებენ“, ანუ მიემართება მოსწავლეს და არა მასწავლებელს. უნდა გვახსოვდეს, რომ მიზანი აღწერს, რა შეეძლება მოსწავლეს გაკვეთილის შესწავლის შემდეგ.

გასაგები და არაორაზროვანი. განვიხილოთ შემდეგი მაგალითები:

„მოსწავლეები გაიგებენ საზოგადოების სტრუქტურას“ და „მოსწავლეები აღწერენ კავშირს საზოგადოების სტრუქტურასა და სამრეწველო რევოლუციას შორის“.

პირველი მიზანი მეტისმეტად ზოგადია და მასში არ ჩანს, როგორ გამოამჟღავნებენ მოსწავლეები იმას, რომ საზოგადოების სტრუქტურა გაიგეს. ასეთი მიზანი არ უზრუნველყოფს მასწავლებლისთვის სრულ ინფორმაციას იმის თაობაზე, რა ეცოდინებათ მოსწავლეებს ამ გაკვეთილის შესწავლის შემდეგ ან როგორ უნდა შეფასდეს, მიაღწიეს თუ არა მოსწავლეებმა მიზანს. მეორე მაგალითში ნათლად არის ნაჩვენები მოსწავლეთა მოსალოდნელი ქცევა.

საჭირო დრო. კითხვაზე, რამდენი ხანია საჭირო გაკვეთილის ჩასატარებლად, მოკლე პასუხი ასეთია: „იმდენი, რამდენიც დასჭირდება!“ ზოგიერთ გაკვეთილს შესაძლოა 30 წუთი დასჭირდეს, ზოგს კი – 2 საათი. გაკვეთილის წერისას უნდა გვახსოვდეს, რომ პროგრამა გადატვირთულია. არ უნდა ვეცადოთ ერთ გაკვეთილში რაც შეიძლება მეტის ჩატევას. თუ გაკვეთილი მოიცავს უხვ მასალას, მოსალოდნელია, მოსწავლეებმა ისწავლონ ძალიან ცოტა. უნდა ვეცადოთ გაკვეთილის დედააზრის შენარჩუნებას და გამოვცადოთ გაკვეთილი რაც შეიძლება მეტ კლასში, რათა განვსაზღვროთ საჭირო დრო.

საჭირო მასალები. საჭირო მასალები ჩამოთვლილი უნდა იყოს გაკვეთილის დასაწყისშივე. მასწავლებლები არ უნდა შეეჯახონ სიურპრიზებს გაკვეთილის მსვლელობისას. მათ ზუსტად უნდა იცოდნენ, როგორი სამუშაო ფურცლები, რა თვალსაჩინოებები, რა სავარჯიშოები უნდა მოამზადონ კლასში შესვლამდე. ყველა სამუშაო ფურცლის, თვალსაჩინოებისა და სავარჯიშოს ასლი უნდა იყოს მოცემული გაკვეთილში. მასწავლებელმა არ უნდა იზრუნოს მათ დამზადებაზე.

მსვლელობა. ეს გაკვეთილის ძირითადი ნაწილია. მასში აღწერილია, როგორ ეხმარება მასწავლებელი მოსწავლეებს სასწავლო მიზნების მიღწევაში. ეს ნაწილი უნდა აკმაყოფილებდეს რამდენიმე კრიტერიუმს:

ა) ყოველთვის, როცა კი შესაძლებელია, გამოყენებულ უნდა იქნეს აქტიური სწავლების მეთოდი. გამოკვლევები მოწმობს, რომ როცა მოსწავლეები ჩართულები არიან სასწავლო პროცესში, უკეთ სწავლობენ, ვიდრე მაშინ, როცა მასწავლებელს უსმენენ.

ბ) ზუსტად უნდა შეფასდეს, რისი გაკეთება შეუძლიათ მოსწავლეებს და რისი – არა; აქვთ თუ არა მათ ამ გაკვეთილისთვის საჭირო უნარები; მიიპყრობს თუ არა გაკვეთილი მათ ყურადღებას; საკმარისია თუ არა აქტივობები მათი ყურადღების შესანარჩუნებლად.

გ) პროცედურა უნდა იყოს ზუსტი და ნათელი. ხშირად გაკვეთილი ისე მაღალფარდოვნად არის დაწერილი, რომ მკითხველს აფრთხობს. თუ მასწავლებელი ვერ მიხვდა, როგორ უნდა ასწავლოს კონკრეტული გაკვეთილი, სულაც უარს იტყვის მის გამოყენებაზე. კარგი იქნება, თუ ყურადღებით, მკაფიოდ და ნაბიჯ-ნაბიჯ ავხსნით აქტივობებს. ამ გაკვეთილის „მოძხმარებელს“ არაფერი დავუტოვოთ „გამოსაცნობი“. უნდა წარმოვიდგინოთ, თითქოს მას, ვინც ამ გაკვეთილს გამოიყენებს, მანამდე არასოდეს უსწავლებია.

დ) უნდა დავრწმუნდეთ, რომ სასწავლო შინაარსი ზუსტად არის მოცემული. ავტორმა არ უნდა გამოიჩინოს დაუდევრობა საგანთან დაკავშირებული ლექსიკის და/ან საგნის საფუძვლების სწავლებისას. ტერმინები და განსაზღვრებები ისე უნდა იქნეს გამოყენებული, როგორც სპეციალისტთა წრეშია მიღებული. თავიდანვე სწორად სწავლა გაცილებით ადვილია,

ვიდრე მცდარად ნასწავლის ხელახლა სწავლა.

2) უნდა ვცვალოთ სწავლების მეთოდები. უნდა გვახსოვდეს, რომ მოსწავლეები სხვადასხვაგვარად სწავლობენ და ვეცადოთ, ყოველ მათგანს შევუქმნათ მოცემული თემის შესწავლისთვის საჭირო პირობები.

3) გაკვეთილში უნდა იყოს კითხვები და მათი პასუხები, ასევე – კითხვები დისკუსიისთვის და სავარაუდო პასუხები. გაკვეთილის მსვლელობისას ხშირი კითხვები ეხმარება მოსწავლეს, დაიმახსოვროს ძირითადი, იყოს აქტიური და არ მოადუნოს ყურადღება.

4) გვახსოვდეს გაკვეთილის მიზნები. ავტორმა აუცილებლად უნდა შეამოწმოს, ყველა მიზანი მიღწეულია თუ არა გაკვეთილის მსვლელობისას.

5) უნდა ვერიდოთ გაკვეთილში ზუსტთარიღებიანი მაგალითების მოყვანას – ეს გაკვეთილს უსიცოცხლოს ხდის. ასევე უნდა ვერიდოთ უმიზნო იუმორს.

დასკვნითი ნაწილი. წარმოიდგინეთ ასეთი დიალოგი მშობელსა და შვილს შორის:

– რა გააკეთეთ დღეს სკოლაში?
– ვითამაშეთ.
– რა ისწავლეთ ამ თამაშით?
– არ ვიცი.

როცა გაკვეთილის ყველა აქტივობა დასრულებულია, მნიშვნელოვანია იმის შემოწმება, გაიგეს თუ არა მოსწავლეებმა უმთავრესი მომენტები. დასკვნითი ნაწილი მათ ამ მნიშვნელოვანი მომენტების გამოყოფაში დაეხმარება. მიმოხილვა და სხვა დასკვნითი აქტივობები მნიშვნელოვანი ასპექტების გააზრებას შეუწყობს ხელს. ეს ნაწილი მასწავლებელსაც დაეხმარება იმის გაგებაში, მიაღწიეს თუ არა მოსწავლეებმა დასახულ მიზნებს.

შეფასება. ეს ეხმარება მასწავლებელს, გაიგოს, რამდენად მიაღწიეს მოსწავლეებმა დასახულ მიზნებს, საჭიროა თუ არა შემდგომი მუშაობა. შეფასებისას შესაძლებელია სხვადასხვა მეთოდის გამოყენება, როგორიცაა მრავალპასუხიანი კითხვები, ესეები, რეფერატები, მინიწარმოდგენის შეფასება, ავთენტური შეფასება.

განვრცობა/დაკავშირება. გაკვეთილის დამთავრების შემდეგ მასწავლებელმა შესაძლოა აღმოაჩინოს, რომ მოსწავლეებს მეტის გაგება უნდათ ახსნილი თემის შესახებ. პედაგოგს უნდა ჰქონდეს გაკვეთილისგან განსხვავებული სხვადასხვაგვარი ვარიანტი, რომლებსაც შესთავაზებს მოსწავლეებს ცოდნის გასაღრმავებლად. სასურველია, მასწავლებელმა ახსნილი თემა ბავშვების მიერ ნასწავლ მასალას დაუკავშიროს. არსებობს ნასწავლი მასალის სხვადასხვა კონტექსტთან დაკავშირების მრავალი გზა.

წარმატებული იქნება თუ არა გაკვეთილი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში დაგვეხმარება გაკვეთილის გეგმის შესამოწმებელი კითხვარი:

1. ნათლად გამოხატავს თუ არა გაკვეთილის აღწერა გაკვეთილის მიზნებს? შეექმნება თუ არა მკითხველს ნათელი წარმოდგენა გაკვეთილში მოცემული სავარჯიშოების შესახებ და გაუჩნდება თუ არა მოცემული გაკვეთილის გამოყენების სურვილი?
2. დეტალურად და სრულად არის თუ არა ახსნილი შინაარსობრივი სტანდარტები და ტერმინები?
3. არის თუ არა ჩამოთვლილი მომიჯნავე საგნები გაკვეთილის მნიშვნელოვანი დამატება?
4. არის თუ არა მიზნები მოსწავლეზე ორიენტირებული? გასაგები? არაორაზროვანი? გამოხატავს თუ არა სწავლების შედეგს?
5. გაკვეთილისთვის „საჭირო დრო“ რეალურია თუ არა?
6. ჩამოთვლილია თუ არა ყველა საჭირო მასალა? სრულყოფილად არის თუ არა მოცემული მოსწავლეთა სამუშაო ფურცლებისა და თვალსაჩინოების ნიმუშები?
7. ნათლად, ნაბიჯ-ნაბიჯ არის თუ არა ახსნილი გაკვეთილის მსვლელობა?
8. შეძლებს თუ არა გაკვეთილის მსვლელობა მოსწავლეთა ინტერესის აღძვრასა და შენარჩუნებას?
9. მრავალფეროვანია თუ არა გაკვეთილში მოცემული სავარჯიშოები და აქტივობები?
10. ზუსტად და სრულად არის თუ არა ახსნილი შინაარსი?
11. შეესაბამება თუ არა გაკვეთილში მოცემული კითხვები ბლუმის ტაქსონომიის სხვადასხვა დონეს? მოცემულია თუ არა კითხვების პასუხები?
12. უზრუნველყოფს თუ არა გაკვეთილის მსვლელობაში მოცემული ხერხები მოსწავლეთა მიერ დასახული მიზნების მიღწევას?
13. შეძლებს თუ არა მასწავლებელი იმის განსაზღვრას, როგორ გაიგეს მოსწავლეებმა გაკვეთილი?
14. არის თუ არა მოცემულ გაკვეთილში ცოდნის გაღრმავებისა და გაძლიერების მეთოდები?

წყარო: Connecting the Pieces: Building a Better Economics Lesson, Teacher Resource Manual, (1997) Richard D. Western ed., National Council on Economic Education.

ნესტან რატიანი

როგორ დავწეროთ პროექტის მიზანი

> სანამ პროექტის მიზნის წერას შეუდგებოდეთ, კარგად მოიფიქრეთ, რისი გაკეთება გსურთ და რატომ, რა გამოწვევა დგას თქვენ წინაშე, როგორ გაიგეთ და ზუსტად იცით თუ არა, რომ ეს გამოწვევა რეღევანტურია, რა მეთოდით დაადგინეთ ეს და რა გზებით, ხერხებითა და საშუალებებით აპირებთ ამ გამოწვევასთან გამკლავებას.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა 28 თებერვალს დაამტკიცა მასწავლებელთა შიდა შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტი (ბრძანება #39), რომელიც მოიცავს მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით დამტკიცებული 29 აქტივობის შეფასებას. აღნიშნულ დოკუმენტში აღწერილი კრიტერიუმებით შეფასდება პედაგოგთა სხვადასხვა ინიციატივა. ამ აქტივობებიდან ვიგებთ, რომ მასწავლებელს 0,5 ქულა ენიჭება იმ შემთხვევაში, თუ შესაფასებლად წარადგენს პროექტს (სასწავლოს ან სოციალურს) და მოაგროვებს მაქსიმალური 36-დან არანაკლებ 22 ქულას. პროექტების შეფასების ერთ-ერთი კომპონენტია მიზნის ფორმულირება. ამ წერილში გაგიზიარებთ ჩემს გამოცდილებას იმის თაობაზე, როგორ დავწეროთ პროექტის მიზანი.

საერთაშორისო ბაკალავრიატის საბაზისო საფეხურს მოსწავლეები ასრულებენ პერსონალური პროექტით, რომელიც სამი ნაწილისგან: საპროცესო ჟურნალისგან, პროდუქტისა და რეპორტისგან, – შედგება. 3500-სიტყვიანი რეპორტი გარე შეფასებისთვის მზადდება და მას სხვადასხვა კრიტერიუმით აფასებს კომპეტენტური კომისია. რეპორტში ყველა მოსწავლემ აუცილებლად უნდა გამოკვეთოს პროექტის მიზანი, ეს კი იოლი საქმე არ არის, ამიტომ ონლაინცენტრში, სადაც განთავსებულია ყველა ის ძირითადი თუ დამატებითი მასალა, რომლითაც ვხელმძღვანელობთ საერთაშორისო ბაკალავრიატის მასწავლებლები მოსწავლეთა დაკვალიანებისას, ადმინისტრაციამ ატვირთა რამდენიმეწუთიანი ვიდეორგოლი ინგლისურ ენაზე, რათა აგვიხსნას, როგორ იწერება პროექტის მიზანი. ამ ვიდეომ საქმე შედარებით გაამარტივა: http://nestanratiani.blogspot.com.ee/2017/03/writing-your-goal.html

ვიდეოში გამოთქმული რჩევები ისე მომწონს, გადავწყვიტე, თქვენც გაგიზიაროთ, რადგან ხშირად, სანამ მოსწავლეებს რამეს ვასწავლიდეთ, თავად უნდა გავერკვეთ საკითხში. თანაც ეს ის შემთხვევაა, როდესაც მოსწავლისთვის მიცემული რჩევები თავადაც გამოგვადგება (ყოველ შემთხვევაში, მე გამომადგა და იმედია, თქვენც ამას იტყვით). ამაში მაშინ დავრწმუნდი, როდესაც თავად ვიყავი პერსონალური პროექტების კოორდინატორი და ვნახე, როგორ უჭირდათ მასწავლებლებს მხოლოდ ძირითადი დოკუმენტების გაცნობით მოსწავლეთა სათანადოდ დაკვალიანება. მას შემდეგ, რაც ვიდეორგოლი აიტვირთა, ბევრი რამ, რაც მანამდე გაუგებარი იყო, ცხადი გახდა და მასწავლებლებსაც გაუადვილდათ პროექტების ხელმძღვანელობა. ჩვენი სკოლიდან გარე შეფასებისთვის გაგზავნილმა ყველა პროექტმა სწორედ ის შეფასება დაიმსახურა, რომელსაც ველოდი, მე კი დიდი გამოცდილება მივიღე და ერთ რამეს მივხვდი: არ არის საძრახისი, თუ ჩვენს მასწავლებლებს ჯერ კიდევ არ გაუთავისებიათ პროექტის წერის კულტურა, ვერ ფლობენ პროექტის ენას. ამ ყველაფრის სწავლა არ არის ძნელი და ეს სწორედ ის ცოდნაა, რომელიც პრაქტიკიდან მოდის.

წარმოგიდგენთ მაგალითებს, რომლებიც კარგად აჩვენებს, როგორ უნდა ჩამოვაყალიბოთ პროექტის მიზანი.

მაგალითი პირველი: ჰიპოთეტური პროექტის მიზანია, მატერიალური დახმარება გავუწიო X სკოლას. წამოწყება ნამდვილად კარგია, აქტუალურიც, მაგრამ პროექტის მიზანი საკმაოდ ზოგადია, შეიძლება ითქვას, ბუნდოვანიც. ეს კარგი წამოწყება რომ არ დაზარალდეს, მიზანი უკეთ უნდა ჩამოვაყალიბოთ. მიზნის ფორმულირების მეორე ეტაპი ასე გამოიყურება: შევაგროვო თანხა და შევწირო X სკოლას. ახლა მიზანი უკეთ გამოიკვეთა და გამოჩნდა, რომ პროექტი რთულია და ემსახურება დამაკმაყოფილებელ გამოწვევას. მაგრამ ასეთი ფორმულირება ჯერ კიდევ არ ასახავს პროექტის საჭიროებას, დაძლევის გამოკვეთილ ხედვას და მისი გაზომვაც რთულია, ამიტომ ფორმულირების ასეთ ვარიანტზე შევჩერდეთ: შევისწავლო მთის სკოლების საჭიროებები, შევაგროვო თანხა, შევიძინო შესაბამის საჭიროებებს მორგებული საქონელი და გადავცე მთის X სკოლას. როგორც ვხედავთ, მიზანში უკვე მკაფიოდაა ჩამოყალიბებული რთული გამოწვევა, რომელიც ეფუძნება კვლევას, მორგებულია საჭიროებებს, ასახავს პრობლემის მოგვარების გზას.

მაგალითი მეორე: შარშან ჩემმა ერთმა მოსწავლემ მოისურვა პროექტის გაკეთება დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებზე. მოსწავლეს შევთავაზე, დაფიქრებულიყო, რა მიზანი ჰქონდა მის პროექტს. თავდაპირველად მან მითხრა, რომ კარგად შეისწავლიდა ამ სინდრომისთვის დამახასიათებელ ყველა ნიშანს, გამომწვევ მიზეზებს და ა.შ. მიზანი ცუდი არ არის, მაგრამ ვერ გამოკვეთს ვერც პრობლემას და, შესაბამისად, ვერც მისი დაძლევის ხერხებს და გზებს. გადავწყვიტეთ, მოსწავლე დაკავშირებოდა შესაბამის ცენტრებს, გამოეკითხა და დაედგინა, რა პრობლემებს ეჯახებიან ისინი, მერე კი პროექტის მიზნის უკეთ ჩამოყალიბებაზე ეფიქრა. აღმოჩნდა, რომ მთავარი პრობლემა (ბევრ სხვასთან ერთად), რომელიც ასეთი ცენტრების მესვეურებს აწუხებთ, საზოგადოების ცნობიერების დაბალი დონეა. გადაწყდა, მოსწავლის პროექტის მიზანი ყოფილიყო დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების შესახებ საზოგადოების ინფორმირება ცნობიერების ამაღლების მიზნით. რა თქმა უნდა, პროექტის მიზანი საკმარისად გამოიკვეთა, მაგრამ მასში მაინც არ ჩანდა, როგორ მოხდებოდა საზოგადოების ინფორმირება ცნობიერების ამაღლების მიზნით. მოსწავლემ თავად იპოვა გამოსავალი და ფილმის გადაღება გადაწყვიტა. პროექტის მიზანი (შევისწავლო დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების საჭიროებები და ამ თემაზე თანაკლასელების დახმარებით გადავიღო ფილმი, რომლის სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის ჩვენებით ამაღლდება საზოგადოების ცნობიერება) უკვე სავსებით აკმაყოფილებდა ყოველგვარ გამოწვევას: რთული იყო, მაგრამ არ აღემატებოდა შესაძლებლობის ფარგლებს; მისი წარმატების გაზომვა მოხერხდებოდა ჩვენების შემდეგ დარიგებული კითხვარების საშუალებით, ასევე – იუთუბზე ატვირთვის შედეგად მიღებული ნახვებისა თუ კომენტარების მიხედვით; მოსწავლე შეძლებდა, პროექტში ჩაერთო თანაკლასელებიც და განსხვავებულ აუდიტორიასთანაც ეთანამშრომლა. ამ პროექტის ხელმძღვანელი გეოგრაფიის მასწავლებელი იყო, თუმცა, როგორც ვხედავთ, არავითარი მნიშვნელობა არ აქვს, რომელი საგნის მასწავლებელი გაუწევს მეთვალყურეობას მოსწავლის პროექტს.

რა განასხვავებს ზოგად, კარგ და ძალიან კარგ მიზნებს ერთმანეთისგან? ზოგადი მიზანი აჩვენებს, რისი გაკეთება მინდა, ხოლო კარგი – რისი გაკეთება მინდა და რატომ. ე.ი. თუ ზოგადი მიზანი ერთნაწილიანია, კარგი მიზანი უკვე ორი ნაწილისგან შედგება. აი, ძალიან კარგი მიზანი კი ორზე მეტ ნაწილს მოიცავს და სასწავლო დანიშნულებასთან ერთად სირთულეც მეტი აქვს. ეს ყველაფერი პროექტის მიზნის ჩამოყალიბებისას გამოყენებულ ზმნებში აისახება.

პროექტის მიზნის ჩამოყალიბებისას დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენი და რომელი ზმნა იქნება გამოყენებული წინადადებაში. ზმნა წინადადების ის წევრია, რომელიც მოქმედებას გამოხატავს, ეს კი ნიშნავს, რომ **კარგი მიზანი მოქმედებათა სიმრავლითა და ხარისხით იზომება, რისი გამოხატვაც წერისას სწორედ ზმნას ეკისრება.** რაც მეტია ზმნა, მოქმედებაც მეტია, ე.ი. პროექტის მიზანი რთულიცაა, გამოწვევაც მეტია და მეტი საქმის შესრულების შემდეგ მეტის სწავლაც შეიძლება.

მიზნის წერისას გამოიყენება შემდეგი ზმნები: მოძიება, გამოკვლევა, შესწავლა, შექმნა, დაგეგმვა, განვითარება, დახმარება, შესყიდვა... დარწმუნებული ვარ, ამ ჩამონათვალს თქვენც მიამატებთ არაერთ ზმნას, როცა მოქმედების ფურცელზე გადატანას მოინდომებთ. ამიტომ, სანამ პროექტის მიზნის წერას შეუდგებოდეთ, კარგად მოიფიქრეთ, რისი გაკეთება გსურთ და რატომ, რა გამოწვევა დგას თქვენ წინაშე, როგორ

გაიგეთ და ზუსტად იცით თუ არა, რომ ეს გამოწვევა რელევანტურია, რა მეთოდით დაადგინეთ ეს და რა გზებით, ხერხებითა და საშუალებებით აპირებთ ამ გამოწვევასთან გამკლავებას. ჩამოწერეთ თითოეული ეტაპის შესატყვისი თითო ზმნა და შემდეგ ამ ზმნების სწორად დალაგებით ააგეთ წინადადება, რომელიც ნათლად გამოხატავს თქვენი პროექტის მიზანს. ჩემი რჩევაა, აუცილებლად წააკითხოთ გარეშე პირს თქვენი მიზანი (მე თითქმის ყოველთვის ასე ვიქცევი) და ჰკითხოთ, რამდენად გასაგებია მისთვის, რისი გაკეთება გსურთ. თუ მან გაიგო, რა გინდათ, რატომ გინდათ და როგორ აპირებთ ამის გაკეთებას, ე.ი. თქვენი მიზანი სწორადაა ჩამოყალიბებული.

დაბოლოს, ერთი მცირე შენიშვნაც გაითვალისწინეთ: სამი ზმნა სავსებით საკმარისია ძალიან კარგი მიზნის დასაწერად. ოთხზე მეტი უკვე სა-

> პროექტის მიზნის ჩამოყალიბებისას დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენი და რომელი ზმნა იქნება გამოყენებული წინადადებაში. ზმნა წინადადების ის წევრია, რომელიც მოქმედებას გამოხატავს, ეს კი ნიშნავს, რომ კარგი მიზანი მოქმედებათა სიმრავლითა და ხარისხით იზომება, რისი გამოხატვაც წერისას სწორედ ზმნას ეკისრება.

მოქმედო გეგმაა (to do) და არა მიზანი. შეეცადეთ, სამოქმედო გეგმის ამსახველი რამდენიმე ზმნა ერთ მთავარ ზმნად გააერთიანოთ, რომლის მარტივ მოქმედებებად ჩაშლაც შესაძლებელი იქნება. მაგალითად, თუ მოსწავლეები თანხის მოსაძიებლად თქვენი დახმარებით მოაწყობენ სკოლაში ტკბილეულის ან ხელნაკეთი ნივთების გაყიდვას, ჩაატარებენ საქველმოქმედო კონცერტს, გაწმენდენ სკოლასთან გაჩერებული მშობლების მანქანების საქარე მინებს, პროექტის მიზანში ამის ჩაწერა არ არის აუცილებელი. ინფორმაციის მოძიების ან სხვა საჭირო მიზნით ფეისბუქზე ჩაატარებთ გამოკითხვას, ამობეჭდილ ფორმებს დაარიგებთ სკოლაში, სუპერმარკეტსა თუ ქუჩაში - არც ამის მითითება დაგჭირდებათ. ეს ყველაფერი წვრილად ჩაშლილი სამოქმედო გეგმაა და ამაზე პროექტის სხვა ნაწილში ისაუბრებთ. მიზანში მთავარი ისაა, ზუსტად განსაზღვროთ, როგორი იქნება პროექტის საბოლოო სახე: ლექციების ციკლი, ფილმი, გასვლითი ღონისძიება, კონცერტი, სპექტაკლი, თანხის უბრალო გადარიცხვა თუ საჩუქრის შეძენა და მისი საზეიმოდ გადაცემა. ასე პროექტის წერის სტილსაც დაიცავთ და, ეჭვი არ მეპარება, ადეკვატურ შეფასებასაც დაიმსახურებთ.

აქვე წარმოგიდგენთ ჩემი მოსწავლის პროექტს, რომელსაც ფილმის სახე აქვს (http://nestanratiani.blogspot.com.ee/2017/02/blog-post.html). აჩვენეთ ფილმი და აუხსნით მოსწავლეებს, რატომ მიიღო გაერომ გადაწყვეტილება, დაუნის სინდრომის დღედ სწორედ 21 მარტი გამოეცხადებინა და არა რომელიმე სხვა დღე. ჰუმაიმ ფილმი საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით გადაიღო. როდესაც მან დაუნის სინდრომის მქონე ბავშვებისთვის საახალწლო ზეიმის გამართვა გადაწყვიტა, მას თანაკლასელები (თანადგომით) და ოჯახის წევრებიც (ფინანსებით) მიეხმარნენ. ფილმის გადაღებისას ჰუმაი მიხვდა, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დედის გადაწყვეტილებას, რომელიც უარს არ ამბობდა ქრომოსომის გამო განსხვავებულ შვილზე. ვინაიდან ფილმის ჩვენება მარტის დასაწყისში გაიმართებოდა, ჰუმაიმ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების დედებისთვის მეორე ფილმიც გადაიღო (http://nestanratiani.blogspot.com.ee/2017/02/blog-post_4.html), რომელშიც მისი ახალი მეგობრები მადლობას ეუბნებიან დედებს. უყურეთ ამ ფილმებს, ეგებ მათი ნახვის შემდეგ უკეთესი პროექტები მოიფიქროთ და მათში მოსწავლეებიც ჩართოთ. არ დაიზაროთ, გაგვიზიარეთ - კიდევ ერთი ნაბიჯი გადავდგათ ჩვენი ცნობიერების ამაღლების გზაზე. ყველამ ვიცით, რომ კრედიტქულებზე ორიენტირება კი არა, სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებაა ჩვენი, პედაგოგების საუკეთესო მიზანი. მე კი, ჩემდათავად, თქვენი დაინტერესების შემთხვევაში შევეცდები, სხვა წერილებში სხვა პროექტებიდან შეძენილი გამოცდილებაც გაგიზიაროთ.

მაია ინასარიძე

თავისუფალი გაკვეთილის შესახებ: საერთაშორისო გამოცდილება

ბოლო დროს აქტიურად მიმდინარეობს საუბარი თავისუფალ გაკვეთილებზე. ასეთი გაკვეთილების გრანტით დაფინანსების შესახებ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივა ახალ პერსპექტივებს სთავაზობს სკოლებს. ამ იდეის განხორციელების მოსალოდნელი შედეგი მრავალმხრივ არის საინტერესო. ის, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია:

- მოსწავლეთა ინტერესების დადგენისა და დაკმაყოფილების თვალსაზრისით;
- საზოგადოების წარმომადგენელთა სკოლებთან დასაახლოებლად;
- პროფესიული ორიენტაციისთვის;
- სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბებისთვის;
- სოფლის სკოლების განვითარებისა და კულტურულ ცენტრებად გადაქცევისთვის.

თავისუფალი გაკვეთილები მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა ხომ, უპირველესად, თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებების, მისი ინტერესებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გათვალისწინებას ნიშნავს. თავისუფალი გაკვეთილის არსი თითქმის ყველა წამყვანი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში ის არის, რომ განუვითაროს მოსწავლეებს არა მხოლოდ აკადემიური, არამედ სოციალური უნარებიც, დააკმაყოფილოს მათი ინტერესები, მისცეს თვითგამოხატვისა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობა და, იმავდროულად, არჩევანის თავისუფლება. არჩევანის თავისუფლების რა ხარისხს გულისხმობს ასეთი გაკვეთილი და ფორმალურ განათლებას მიეკუთვნება ის თუ არაფორმალურს? ამ კითხვებზე სხვადასხვა ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემა სხვადასხვანაირად პასუხობს. გთავაზობთ თავისუფალი გაკვეთილის ჩატარების გამოცდილების მოკლე მიმოხილვას.

ამერიკის განათლების სისტემაში ეს არის არაფორმალური, კლასგარეშე განათლება, რომლის მიზანია პრაქტიკული უნარ-ჩვევების, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობის უნარების განვითარება. თავისუფალ გაკვეთილზე მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, გამოიყენონ საკლასო და საოჯახო რესურსების ფართო სპექტრი, კლასში თუ კლასგარეთ მიღებული ცოდნა და გამოცდილება. ეს არის სწავლა-სწავლების ინტერაქტიული ფორმა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს CTEM-ის, ფინანსური წიგნიერების, ეკოლოგიური განათლების, ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის საკითხებს, ხელს უწყობდეს სასიცოცხლო უნარ-ჩვევების განვითარებას და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას. მოსწავლეები ჯგუფებად ერთიანდებიან ინტერესების მიხედვით, თუმცა საკითხთა წრეს მასწავლებელი განსაზღვრავს (ეს არ გამორიცხავს იმას, რომ მოსწავლეებისგანაც წამოვიდეს კონკრეტული საკითხის დამუშავების ინიციატივა). სფერო შეიძლება სხვადასხვა იყოს:

- **სოციალური** (მაგალითად, ცნობილი ამერიკელები და

> თავისუფალი გაკვეთილები მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა ხომ, უპირველესად, თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებების, მისი ინტერესებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურად გათვალისწინებას ნიშნავს.

მათი როლი სამოქალაქო ღირებულებების ჩამოყალიბებაში, მთავრობის იმიგრაციული პოლიტიკა და მოქალაქეობა, საპრეზიდენტო არჩევნების ტექნოლოგია ისტორიულ ჭრილში, როგორ იქმნება კარიერა, როგორ გავუმკლავდეთ ყოფითი ხასიათის პრობლემებს და სხვ.);

- **საბუნებისმეტყველო** (მაგალითად, მთვარის ფაზები და მათი გავლენა ადამიანების ქცევასა თუ ჯანმრთელობაზე, სამკუთხედები და მათთან დაკავშირებული თეორემები, სტატისტიკის ძირითადი კონცეფციები და მათი გამოყენება ზაფხულის არდადეგების შესახებ მიღებული ინფორმაციის დასამუშავებლად და ა.შ.);
- **წაკითხულის გაგება-გააზრება** (მაგალითად, ახალი ბესტსელერის ერთობლივი კითხვა და ანალიზი),
- **ხელოვნება** (მაგალითად, მუსიკისა და სიტყვიერების კავშირი / ურთიერთგავლენა);

- **ისტ-ი** (კომიქსების, ელექტრონული წიგნების შექმნა) და სხვა.

თავისუფალი გაკვეთილის ფორმა შეიძლება იყოს: დებატები, თავისუფალი დისკუსია, ე.წ. TED-კონფერენცია/ შეხვედრა.

ჩუსეთში თავისუფალია გაკვეთილი, რომლის ინიციატივაც თავად მოსწავლეებისგან მოდის. ის ფორმალური განათლების შემადგენელი ნაწილია. ეს არის საქმიანობა ინტერესების მიხედვით. ხშირად გაკვეთილზე მოსწავლეებს არ რჩებათ დრო, აკეთონ ის, რაც უნდათ და აინტერესებთ. მას შემდეგ, რაც მასწავლებელი მათ ამის საშუალებას მისცემს, მისი ამოცანაა, გარდაქმნას მოსწავლეთა ინტერესი სასწავლო სიტუაციად, ხელი შეუწყოს ინტერესების მიხედვით მათ ჯგუფებად გაერთიანებას. როცა საგაკვეთილო დრო ამოიწურება, მასწავლებელი გაკვეთილის განხილვას იწყებს. კითხვები ისეა ჩამოყალიბებული, რომ, ერთი მხრივ, მასწავლებელმა რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიიღოს მოსწავლეთა ინტერესების, მათი სწავლის სტილის, ემოციური მდგომარეობის შესახებ, მეორე

> თავისუფალი გაკვეთილის არსი თითქმის ყველა წამყვანი ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში ის არის, რომ განუვითაროს მოსწავლეებს არა მხოლოდ აკადემიური, არამედ სოციალური უნარებიც, დააკმაყოფილოს მათი ინტერესები, მისცეს თვითგამოხატვისა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობა და, იმავდროულად, არჩევანის თავისუფლება.



მხრივ კი გააზრებინოს მოსწავლეებს, აირჩიეს თუ არა სწორი მეთოდოლოგია (მეტაკოგნიტიური უნარები). ასეთ გაკვეთილებზე მოსწავლეები არიან ექსპერტების როლში. ისინი პოულობენ პასუხს კითხვებზე: რა მინდა ვაკეთო? რა მაინტერესებს? გავართმევ თუ ვერა თავს არჩეულ საქმეს მარტო და თუ ვერა, ვისი დახმარება დამჭირდება? მეყოფა თუ არა ერთი გაკვეთილისთვის გამოყოფილი დრო? თუ არა, როდის და სად გავარძელებ ამ საქმიანობას? მნიშვნელოვანია, მოსწავლეებს დავეხმაროთ საჭირო რესურსებისა თუ ადამიანების მოძებნაში, შეხვედრების ორგანიზებაში. ასე რომ, საქმიანობა გაკვეთილის ფორმატიდან შეიძლება არასაგაკვეთილო, კლასგარეშე ფორმატში გადავიდეს. შეიძლება და სასურველიცაა მშობლების ჩართვა. თავისუფალი გაკვეთილისადმი მოსწავლეთა სერიოზული დამოკიდებულების ჩამოსაყალიბებლად მიზანშეწონილია ასეთი გაკვეთილების წინასწარ დაგეგმვა, სამუშაო გარემოს მოწყობა და წესებზე შეთანხმება.

გერმანიაში ასეთი გაკვეთილისთვის არსებობს ტერმინი „ღია გაკვეთილი (სწავლება)“. ის მოსწავლეებს სოციალური ფორმის, შინაარსისა და მეთოდოლოგიის არჩევის თავისუფლებას ანიჭებს. გათვალისწინებულია მათი სურვილები და ინტერესები, თუმცა მხარდამჭერები არიან უფროსები (მასწავლებლები, ადმინისტრაცია, მშობელთა გაერთიანება, თემი). ეს საქმიანობის კლასგარეშე ფორმაა, თუმცა შეიძლება საკლასო ოთახში, გაკვეთილზეც დაიწყოს. დროთა განმავლობაში ყალიბდება სტაბილური ჯგუფები, გაერთიანებული ერთი ინტერესით, და ისინი უკვე ნაკლებად არიან დამოკიდებულნი მასწავლებლებზე. ასეთ გაკვეთილებს ახასიათებს:

- ორგანიზაციული თავისუფლება (მოსწავლეები თავად განსაზღვრავენ დროს/ვადას, სივრცეს და იმას, ვისთან და რა ფორმით ითანამშრომლონ);
- მეთოდოლოგიური თავისუფლება (როგორ იმუშავებენ, რა მეთოდოლოგიურ მიდგომას გამოიყენებენ);
- შინაარსობრივი თავისუფლება (რა საკითხებზე სურთ მუშაობა);
- სოციალური თავისუფლება (თავად ადგენენ წესებს, თავად განსაზღვრავენ პრიორიტეტულ ღირებულებებს).

გერმანიაში „ღია გაკვეთილის“ ფორმებია: პროექტები, აღმოჩენით სწავლა, სემინარები, თვითმიმართული/დამოუკიდებელი სწავლა.

საფრანგეთშიც, გერმანიის მსგავსად, ასეთ გაკვეთილს „ღიას“ უწოდებენ. ეს არის ინოვაციური შინაარსითა და ინოვაციური მეთოდოლოგიით გამდიდრებული გაკვეთილი. ასეთი გაკვეთილისთვის საჭიროა გამდიდრებული სასწავლო მასალები კონკრეტულ თემაზე, თემის შესაბამისად საკლასო ოთახის მოწყობის გეგმა, ტექნოლოგიების გამოყენების მოკლე გზამკვლევი. გაკვეთილის თემა წინასწარ ეგზავნებათ როგორც მოსწავლეებს, ისე ყველა სხვა დაინტერესებულ პირს (სხვა მასწავლებლებს, მშობლებს). იგზავნება წასაკითხი და ვიზუალური მასალის ჩამონათვალიც. მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, მოიძიონ დამატებითი ინფორმაცია კონკრეტულ თემაზე ინტერესების შესაბამისად, ჩამოართვან ინტერვიუ საზოგადოების წარმომადგენლებს, იმ საკითხის ექსპერტებს, რომელზეც მუშაობენ, გამოიკვლიონ საზოგადოებრივი აზრი დასამუშავებელი თემის ირგვლივ და ა.შ.

ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა ყველგან მოსწავლეთა ჩართულობაა. სფეროებისა და მეთოდოლოგიის არჩევის შესაძლებლობა, განმსაზღვრელი შეფასების არარსებობა და აქცენტი განმავითარებელ უკუკავშირზე, მხარდაჭერასა და ხელშეწყობაზე ორიენტირებული სასკოლო გარემო უზრუნველყოფს ყოველგვარი ინტერესისა და შესაძლებლობის მოსწავლეთა ჩართვას. მეორე მთავარი მოთხოვნა იმას უკავშირდება, რამდენად უწყობს ხელს ასეთი გაკვეთილი მოსწავლის დამოუკიდებელ შემსწავლელად ჩამოყალიბებას. ყურადღება მახვილდება სოციალური უნარების განვითარებაზეც.

ასე რომ, თავისუფალი გაკვეთილი მოსწავლეებს მრავალმხრივ პერსპექტივას სთავაზობს. წარმატება ვუსურვოთ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში ამ ინიციატივას.

მაია ჯაღიაშვილი

საზოგადოება და მასწავლებელი

საზოგადოება მეტად უნდა იყოს ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, იცნობდეს რეფორმებს, აფასებდეს მასწავლებლის შრომას, ჰქონდეს ამ პროფესიის სიყვარული და პატივისცემა. მაშინ ალარ იქნება მცდარი წარმოდგენა ქართველ მასწავლებელზე.

რა განსაზღვრავს საზოგადოების თვალში მასწავლებლის ავტორიტეტს? უპირველეს ყოვლისა, თვით ამ საზოგადოების ინტელექტუალური და მორალურ-ზნეობრივი სახე. მასწავლებელი, როგორც ნებისმიერი ადამიანი, ირეკლავს იმ საზოგადოების ნაკლსა და ღირსებას, რომელშიც ცხოვრობს და საქმიანობს. გვახსენდება ნიკო ლორთქიფანიძის შესანიშნავი ნოველა „დაგვიანებული ყვავილები", რომელშიც წარმოჩენილია, როგორ ცდილობს მასწავლებელი სოფლის საზოგადოების გამოფხიზლებას, რათა მან სახსარი გაიღოს სკოლის შენობის ასაგებად შვილების მომავლისთვის. ბოლოს, როგორც იქნა, მასწავლებლის თავგამოდებამ ნაყოფი გამოიღო: „ეკლესიის გალავანში მაინც აიგო ისლით დახურული უჭერო და უიატაკო ქოხი – სკოლა". ხალხს უნდა შეეგნო, რომ განათლებაც რწმენასავით მნიშვნელოვანი იყო და ქრისტეც მოძღვარი იყო უპირველესად – ჭეშმარიტების გზის მასწავლებელი. ამ ჩვენს პედაგოგს კი, მიყრუებულ სოფელში რომ წამოსულა, მეგობრები და მშობლიური კერა მიუტოვებია, „მოსწავლეთა გამომეტყველება" ავიწყებს სიცივესა და სიღატაკეს. მერე კი „სოფელმა, ბავშვებმა შეიგნეს მასწავლებლის ამაგი. ერთ დღეს მოვიდნენ. ყვავილები, მტრედები და კრავები მოჰყავდათ ძვირფას მასწავლებელთან. მასწავლებელი იწვა. სახეზე სიმშვიდე გადაჰფენოდა. ბავშვთა ალერსით ვერ დატკბა. ყვავილთა სურნელება ვერ იგრძნო. მტრედების ღუღუნი ვერ გაიგონა. ხუჭუჭი კრავები ვერ დაინახა. ხალხი კი ახლა უხდიდა მადლობას და უცხადებდა აღტაცებასა და სიყვარულს".

საზოგადოებამ არ უნდა დააგვიანოს და უთხრას მასწავლებელს მადლობა, რომ უძლებს ათასგვარ გაჭირვებას და მაინც სკოლაში რჩება, რადგან ეს მისი არჩევანია – მომავალი თაობის აღზრდა. მადლობა იქნება გამოხატულება იმისა, რომ საზოგადოება აფასებს მასწავლებლის მცდელობას, გააუმჯობესოს, გარდაქმნას სწავლა-სწავლების პროცესი.

საზოგადოების ნაწილის აზრით, ქართველი მასწავლებლების მთავარი პრობლემა არაშემოქმედებითობა, გაუბედაობა და სიახლის შიშია. სწორედ ამგვარი თეზისი შევთავაზე მასწავლებლებს ტრენინგზე არგუმენტირებული ესეს დასაწერად. თან ისიც ვურჩიე, რომ თამამად ემსჯელათ საკუთარ გამოცდილებაზე. ანონიმური განხილვისას თვითონ პედაგოგებმა გამოარჩიეს ორი ნაწერი, რომელთაც ახლა გთავაზობთ. მათში გულწრფელადაა წარმოჩენილი ჩვენი დროის ორი შესანიშნავი ქართველი პედაგოგის მიერ დანახული პრობლემები. ეს მასწავლებლები მზად არიან, ფეხი აუწყონ თანამედროვეობას და ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ მათი მოსწავლეები იყვნენ განათლებულებიც და ზნეობრივებიც. ორი სხვადასხვა თაობის პედაგოგი წარმოდგება ჩვენ წინაშე – გულწრფელი განსჯითა და აქტუალურ თემებზე დაფიქრებით. ეს ნაწერები სარკესავით ირეკლავს ჩვენი პედაგოგების სატკივარს.

გულიკო ბიწაძემ, თბილისის 62-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, თავის ესეში დაწერა:

„საზოგადოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ქართველი მასწავლებლების მთავარი პრობლემა არაშემოქმედობითობა, გაუბედაობა და სიახლის შიშია.

რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი აზრი, საერთოდ, და კერძოდ, მასწავლებლისთვის?

ვფიქრობ, ძალიან მტკივნეულ საკითხზე ვიწყებ მსჯელობას.

ძნელია, იპოვო ოჯახი, რომელსაც შეხება არ აქვს მასწავლებელთან. დამოკიდებულება ყველგან სუბიექტურია. სამწუხაროდ, საზოგადოების დიდი ნაწილი ნაკლებადაა ინფორმირებული სკოლაში რეფორმების მიმდინარეობის შესახებ.

ჩემთვის საზოგადოებრივ აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს. რადგან ჩემს საქმეს ვაკეთებ სიყვარულით, ბუნებრივია, იგივე მინდა მივიღო საზოგადოებისგან, მაგრამ თუ ის ჩემში ვერ ხედავს კრეატიულს, გაბედულსა და მაძიებელს, ეს უარყოფითად აისახება ჩემს მოტივაციაზე. ეს კი საზოგადოების ინტერესებში არ უნდა შედიოდეს.

ჩემი მოღვაწეობის დასაწყისშივე ვეცადე, მოსწავლეობის დროინდელი პროტესტი გამეგრძელებინა სასწავლო პროგრამის მიმართ და გაკვეთილზე ტექსტები ჩემი შეხედულებისამებრ შემქონდა. მაშინ (70-იან წლებში), რევაზ ინანიშვილის ხსენებაც რომ არ იყო სკოლაში, მეთერთმეტე კლასში ვასწავლე ნოველა „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“. ფაქტობრივად, ჩემს თავგადასავალს ვყვებოდი და იმდენად მოულოდნელი იყო მოსწავლეების მსჯელობა მთავარი პერსონაჟის ფსიქოლოგიაზე, რომ ამგვარ დამოკიდებულებას დღევანდელი გათვითცნობიერებული მოსწავლისგანაც ვნატრობ.

მაშინ ჩემს დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას კინაღამ შეეწირა ჩემი პედაგოგიური კარიერა, მაგრამ მოაზროვნე დირექტორის წყალობით გადავრჩი. დღეს ვზრდი თავისუფალ პიროვნებას, მოაზროვნე ინდივიდს, რომელიც შეიძლება ბევრ რამეში არ მეთანხმება, მაგრამ სწორედ ეს არის საინტერესო. როცა მოსწავლე ახერხებს, მე – მისთვის ავტორიტეტი – გადამიყვანოს თავის აზრზე, ის ბედნიერია, ამაღლებული თვითშეფასებით წამოიძახებს: „იეს!“

საზოგადოებას, მასწავლებლის ნეგატიური შეფასების ნაცვლად, კარგი იქნებოდა, ხმა აემაღლებინა პედაგოგებისთვის უკეთესი პირობების შესაქმნელად. მასწავლებელს გამუდმებით სჭირდება შთაბეჭდილებების, ემოციების განახლება, თვალსაწიერის გაფართოება. დამისახელეთ ერთი შემთხვევა, როდესაც მასწავლებელი საზღვარგარეთ მიმავალი რომელიმე კულტურული ღონისძიების დელეგაციაში შედიოდა. რამდენი ისტორიკოსი იქნება რომში ნამყოფი? არადა, მთელი ცხოვრება უყვება ბავშვებს კოლიზეუმზე. მოვიფიქრე გარე დაკვირვების გაკვეთილის თემა: „ქართველთა ძვალთშესალაგი ლევილში“, – რომელშიც ჩემივე გადაღებული მასალის გამოყენებას ვაპირებ და მგონია, უფრო ემოციურად, დამაჯერებლად მოვყვები ამას, ვიდრე ის ჟურნალისტი, რომელსაც მთელი გადამღები ჯგუფი ახლდა. ეს არ არის შემოქმედებითობის, სიახლისა და გამბედაობის მაგალითი?! და მაინც, თუ საზოგადოებაში ასეთი აზრი არსებობს, ეს საზოგადოების პრობლემაა და არა ქართველი მასწავლებლისა.

საზოგადოება მეტად უნდა იყოს ჩართული სასკოლო ცხოვრებაში, იცნობდეს რეფორმებს, აფასებდეს მასწავლებლის შრომას, ჰქონდეს ამ პროფესიის სიყვარული და პატივისცემა. მაშინ აღარ იქნება მცდარი წარმოდგენა ქართველ მასწავლებელზე“.

ღია გოგოხია, ვლადიმირ კომაროვის თბილისის ფიზიკა-მათემატიკის 199-ე საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა, კი თავისი ნაფიქრი ამგვარად გაგვიზიარა:

„მასწავლებლებს ხშირად არაშემოქმედობითობას, გაუბედაობასა და სიახლეთა შიშს გვწამებენ. XXI საუკუნეა, განვითარებისა და ტექნოლოგიური საოცრებების ეპოქა. ყოველდღიურად უდიდესი აღმოჩენების მოწმენი ვხდებით. დღეს წიგნის მაგივრად კომპიუტერის ეკრანს შევყურებთ. წერილებიც აღარ მოაქვთ მტრედებს. ისინიც ელექტრონული გახდა, ხოლო მტრედები გალიებში სხედან. ყველაფერს რაღაც აკლია თითქოს... წერილებს – ზედ შერჩენილი თითების სითბო, წიგნს – წიგნის სუნი... მოკლედ, ინფორმაციული ბუმია. თუ წინათ ინფორმაციის ერთადერთი წყარო მასწავლებელი იყო, ახლა ის პროგრამირებულმა და დისტანციურმა სწავლებამ ჩაანაცვლა. ცოდნის ტესტებით შემოწმებაც შესაძლებელია მასწავლებლის გარეშე. ამიტომ მეტი შემოქმედებითობა, გამბედაობა და სიახლეებისკენ სწრაფვა გვმართებს, რათა ჩვენი ადგილი „მანქანამ“



მასწავლებელი, როგორც ნებისმიერი ადამიანი, ირეკლავს იმ საზოგადოების ნაკლსა და ღირსებას, რომელშიც ცხოვრობს და საქმიანობს. გვახსენდება ნიკო ლორთქიფანიძის შესანიშნავი ნოველა „დაგვიანებული ყვავილები“, რომელშიც წარმოჩენილია, როგორ ცდილობს მასწავლებელი სოფლის საზოგადოების გამოფხიზლებას, რათა მან სახსარი გაიღოს სკოლის შენობის ასაგებად შვილების მომავლისთვის.

არ დაიკავოს. ჩვენ წინ ახალი ამოცანაა: ულევი ინფორმაციის ათვისება, ბავშვის პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარება, მისი მოთხოვნილებებისა და ღირებულებების ჩამოყალიბება, ინფორმაციის თანამედროვე წყაროებთან მისაახლოებლად ახალი გზების მოძიების აუცილებლობა. არა, არ ვუფრთხი არც გამოწვევას, არც თანამედროვე მოთხოვნებს, არ მაქვს შიში სიახლისა, ამიტომ ჩემს ცნობიერებაში „შემოვუშვი“ ახალი ტერმინები: ტრენინგი, ტოლერანტობა, ემპათია, გაზომვადი, ვალიდური, განმსაზღვრელი, განმავითარებელი... ახალი საგანი – პროფესიული უნარები, ახალი სახელები: პიაჟე, კოლბერგი, გარდნერი... მათი თეორიები... მრავალმხრივი ინტელექტის თეორია... პატარა გოგონასავით ვიღელვე გამოცდაზე მასწავლებლობის უფლების მოსაპოვებლად... მერე – მასწავლებლის სქემა... კრედიტები... ინტეგრირებული და ინოვაციური გაკვეთილები... ესენი ქვეცნობიერად არსებობდა ჩემში, ოღონდ მაშინ მათ სხვა სახელები ერქვა, ან საერთოდ არაფერი ერქვა, უბრალოდ, ასე ვასწავლიდი. ტექნოლოგიურმა საუკუნემ კი ცოდნის ზღვად ქცეული ინფორმაციის მოსწავლის „თავში მოთავსება“ თორმეტ წელიწადში დააკისრა მასწავლებელს და ისიც – კათედრაზე არსებული ერთადერთი ლეპტოპითა და პროექტორით. ამბობენ, სოფლის სკოლებში ის ერთადერთიც აღარ აქვთო. არაფერს ვამბობ „ჯეოსელის კლასზე“, რომელსაც მხოლოდ უცხოელი სტუმრების საჩვენებლად ვიყენებთ. და, მიუხედავად ამისა, მაინც შევძელი ავყოლოდი ტექნოლოგიურ ბუმს, ისტ-ის გამოყენებით გაკვეთილების დაგეგმვას... ინტეგრირებულ გაკვეთილებს ხან ისტორიასთან, ხან უცხო ენასთან. თქვენ წარმოიდგინეთ, მათემატიკასა და ფიზიკასთანაც ვიპოვე საერთო, ბავშვებთან ერთად შევქმენი ანიმაცია ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურა „გულის“ მიხედვით. ასევე გადავიღე ფილმი: „ჩვენ, ენა და ქუჩა“, – რომელშიც ენის საჭირბოროტო საკითხებს შევეხე, უცხოელ პარტნიორებთანაც ვითანამშრომლე, ერთმანეთს ვირტუალურად გავაცანით ქვეყნის ტრადიციები, ხალხური თქმულებები, ხალხური მედიცინაც კი. ვამოგზაურე ეთნოგრაფიულ მუზეუმში, საქართველოს ყველა კუთხე მოვატარე, სამზარეულოშიც ვიტრიალე, თითქმის ყველა კერძი გავასინჯე... მერე ტალინში მიმიწვიეს, თავიანთი საჯარო სკოლები დამათვალიერებინეს, მოსწავლეები გამაცნეს... ჩემი ცოცხალი, თვალებში ცეცხლანთებული მოსწავლეები ვერ შევიცანი მათში, არ იგრძნობოდა ის ემოცია, რომელსაც მე ვგრძნობ და ვხედავ ქართველ მოსწავლეში. დიახ, არც მაშინ შემშინებია, როცა ჩემი ქვეყნის განათლების სამინისტრომ ვერ გადაწყვიტა, ბოლოს და ბოლოს, განათლების სისტემაში რა ცვლილებები შეეტანა, რა გზით ევლო... დიდხანს ვიარე უხეში ტეხილითა და ზიგზაგებით და არა კოხტა მრუდით, რაც ჩემთვის, მოსწავლეებისა და თავად სკოლისთვის რთული პროცესი აღმოჩნდა. მერე იყო სწავლა გამოცდისთვის, რაც ეხება სწორედ იმ ტიპის ტრენინგებს, როცა ჩვენ, მასწავლებლებს, გვამზადებდნენ ერთი კონკრეტული დღისთვის – სასერტიფიკაციო გამოცდისთვის ან ერთი კრედიტქულისთვის. რატომღაც ჰგონიათ, რომ მასწავლებელი, რომელიც გამოცდას ჩააბარებს და სერტიფიკატს აიღებს ან კრედიტქულას დააგროვებს, განსაკუთრებული და გამორჩეულია.

დიახ, მე მიმაჩნია, რომ, მიუხედავად ასაკისა, ვარ თანამედროვე მასწავლებელი, ხანდახან – უფრო თანამედროვეც, ვიდრე ჩემი მოსწავლეა, მაგრამ რა? ის, რაც იყო, აღარ არის... ის, რაც არის, მალე აღარ იქნება. იცვლება ადამიანი, იცვლება სამყარო. კულტურაც იცვლება... კულტურა, რომელიც ხალხშია. დრო ცვლის ყველას და ყველაფერს. ბავშვებს კი მასწავლებელი სჭირდებათ, რომელიც გაათბობს და არა უსულო რობოტი, რომელიც მასწავლებელს შეცვლის. მე, მასწავლებელს, არ მინდა, „მე“ მოკვდეს ჩემში. მინდა, საკუთარი თავის რწმენა მქონდეს და არა რაღაც „მეტალის გროვისა“, რომელიც არც ვიცი, როდის მიღალატებს. მასწავლებელი მჭირდება... ფერადი, მზისფერი, ზღვისსუნიანი, მხიარული და მგრძნობიარე. ირგვლივ ყველაფერი შეიცვალა: ადამიანი, ბუნება, დედამიწაც კი, რომელიც დიდი „ტექნიკური ბურთულა“ გახდა ჩემთვის. დღეს უკვირთ, როგორ ცხოვრობდნენო ტექნიკის გარეშე, როგორ უყვარდათ, როგორ მოძრაობდნენ ან როგორ ეკონტაქტებოდნენ ერთმანეთს. ტექნიკა არ არსებობდა, მაგრამ ააგო არსაკიძემ სვეტიცხოველი...

არა, არ ვუშინდები არც გამოწვევას, არც თანამედროვე მოთხოვნებს, არც შიში მაქვს სიახლისა, მაგრამ კორტასარის მოთხრობა წავიკითხე – „მშვიდობით, რობინზონ!“ – რომელიც მსგავს პრობლემაზეა: როგორ გადაასხვაფერა კრუზოს კუნძული XX საუკუნემ, როგორ შთანთქა ტექნიკურმა პროგრესმა ბუნება... ასე იქნება, სანამ „სწავლა სწავლისთვის“ არ გახდება პოპულარული. მანამდე კი ყველაფერი ილუზიაა: „იძირება გემი, მაგრამ ყველაფერი რიგზეა...“

ანა ჯანელიძე

ადრეული აღზრდა თუ განათლება?
ტერმინთა დემისტიფიკაცია დიალოგისთვის

საქართველოში ადრეული (სკოლამდელი) ასაკის ბავშვების განათლებასთან მიმართებით, ტრადიციულად, გამოიყენებოდა ტერმინი „აღზრდა". ქვეყნის უმაღლესი კანონი, კონსტიტუცია, დღემდე სწორედ ამ ტერმინს იყენებს (მუხლი 35, მე-3 პუნქტი). ტერმინის დამკვიდრებას, ბუნებრივია, განსაზღვრული სოციალური, კულტურული და ისტორიული გარემოებები განაპირობებს. ბოლო წლებში საქართველოში საჯარო განხილვებსა და საკანონმდებლო სივრცეში გაჩნდა ახალი ტერმინიც – „განათლება". საინტერესოა, რომ ახალმა ტერმინმა კი არ ჩაანაცვლა ძველი, არამედ ეს ორი ცნება იქცა ერთმანეთის შემავსებლებად, რომლებიც ერთიანობაში თითქოს უფრო სრულყოფილად ასახავს იმ პროცესებს, რაც სკოლამდელ დაწესებულებაში მიმდინარეობს (ან უნდა მიმდინარეობდეს). ამ კონტექსტში წარმოიშვა საინტერესო დისკუსია ტერმინებთან დაკავშირებით: ერთი მხრივ, სკოლამდელი განათლების დარგის გარეთ მყოფი ადამიანები მიესალმებიან „განათლების კომპონენტის დაბრუნებას" (?) საბავშვო ბაღებში, მეორე მხრივ კი ამ დარგში მომუშავე პრაქტიკოსების მხრიდან ისმის კრიტიკა, რომ „განათლება" შეუსაბამო ტერმინია, როდესაც საქმე ეხება ადრეული ასაკის ბავშვებს, ხოლო „აღზრდა" უფრო ზუსტად ასახავს განათლების ამ საფეხურის არსს. ამ უთანხმოების გადასალახავად და სფეროს მიზნების შესახებ საზოგადოებრივი კონსენსუსის მისაღწევად მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რას გულისხმობს თითოეული მხარე სხვადასხვა ტერმინში, რა მოლოდინები აქვთ ამ სფეროს მიმართ და რა მიმართებას ამჟღავნებს ყოველივე ეს თანამედროვე საერთაშორისო კვლევებსა და თეორიებთან. წინამდებარე სტატიაში შევეცდები, მოვახდინო ადრეული განათლების სფეროში საქართველოში დამკვიდრებული ტერმინების დემისტიფიკაცია, ანუ მათ გასააზრებლად შემოგთავაზებთ საწყის მსჯელობას შემდგომი დიალოგისთვის.

სკოლამდელი აღზრდა – ტრადიციული გააზრება

„აღზრდა" სკოლამდელ საფეხურთან მიმართებით ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში გავრცელებული ტერმინია, რომლის ისტორიული საფუძვლებიც გერმანულ-სკანდინავიურ სოციალურ-პედაგოგიურ საგანმანათლებლო მოდელებში შეგვიძლია ვეძიოთ. ანგლოსაქსური მიდგომისგან განსხვავებით, სადაც ფოკუსს „განათლება" (education) წარმოადგენდა, გერმანული და სკანდინავიური საგანმანათლებლო დისკურსისთვის ცენტრალური ცნება იყო „აღზრდა" (erzeihung, oppdragelse და სხვა). ტერმინი გულისხმობდა ბავშვის პიროვნებად, საზოგადოების წევრად ჩამოყალიბების, მისი სოციალიზაციის, საზოგადოებისთვის სასურველი და მისაღები ქცევების, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების ფორმირების პროცესს. სწორედ ამ კონტექსტში ორი ტერმინის შედარებისას წარმოიშობა სოციალურ-კულტურული „გაუგებრობა", რადგან იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს ანგლოსაქსური ტრადიციული „განათლება" ყოველგვარ „erzeihung"-ს მოკლებულია და მის არსს ბავშვისთვის მხოლოდ საგნობრივი შინაარსის, ცოდნის გადაცემა წარმოადგენს. თეორიული თვალსაზ-

რისით, აღნიშნული შეხედულება უსაფუძვლოა. მეტიც, აღსანიშნავია, რომ XX საუკუნეში ანგლო-ამერიკელ თეორეტიკოსთა და მკვლევართა ნაშრომები „განათლების“ – მრავალმხრივი, პიროვნების განვითარებაზე ორიენტირებული პროცესის შესახებ პოპულარობით სარგებლობდა კონტინენტურ ევროპაში (მაგ., ჯონ დიუი).

განათლება – სტრუქტურირებული აკადემიური სასწავლო პროცესის შიში

როგორც აღვნიშნეთ, თეორიული და კვლევითი თვალსაზრისით, „განათლება“ არ გულისხმობს მხოლოდ საგნობრივ-შინაარსობრივ სწავლებას და არათუ არ გამორიცხავს „აღზრდას“, არამედ უცილობლად მოიცავს მას. საქართველოს „ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები“ (2004) განათლების სწორედ ასეთ ხედვას გვთავაზობს:

> *„საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს, შექმნას ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. ამასთან ერთად განათლების სისტემა უვითარებს მოზარდს გონებრივ და ფიზიკურ უნარ-ჩვევებს, აძლევს საჭირო ცოდნას, ამკვიდრებს ცხოვრების ჯანსაღ წესს, მოსწავლეებს უყალიბებს ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებულ სამოქალაქო ცნობიერებას და ეხმარება მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში“.*

> მიზანშეწონილია „აღზრდის“ ჩანაცვლება ახალი ტერმინით – „განათლება“. უპირველეს ყოვლისა, კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი, რომ განათლების ჰოლისტური განმარტება მოიცავს „აღზრდის“ ტრადიციულ გააზრებას.

მაშინ, როდესაც ზოგად განათლებაში „საჭირო ცოდნის მიცემა“ განათლების მრავალმხრივი მიზნების მხოლოდ ერთი კომპონენტია, რაღას გულისხმობს „აღზრდა“, როდესაც საქმე ეხება ადრეული ასაკის ბავშვებს? რა არის ის გამორჩეული თავისებურება, რაც მხოლოდ „აღზრდისთვის“ არის დამახასიათებელი და განათლების ზემოთ მოცემულ საზღვრებს მიღმაა?

„აღზრდის“ ტრადიციული კომპონენტები ნამდვილად არ ხვდება ამ საზღვრებს მიღმა, თუმცა დიალოგის მხარეებს შესაძლოა ჰქონდეთ „აღზრდის“ განსხვავებული გაგებაც, რაც შესაძლოა გაუგებრობას იწვევდეს. მაგალითად, საქართველოში ისეთი მოსაზრებაც გამოთქმულა, რომ საბავშვო ბაღი „აღზრდის“ ადგილია, რადგან იქ ბავშვები იკვებებიან და იძინებენ. ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს ტერმინების „ზრუნვა“ და „აღზრდა“ აღრევასთან, რასაც, ბუნებრივია, არაფერი აქვს საერთო აღზრდა/განათლების დისკუსიასთან.

სკოლამდელი განათლების (განურჩევლად იმისა, რა სახელით მოიხსენიებდნენ) თეორიისა და პრაქტიკის უმთავრეს საფუძველს ისტორიულად სწორედ ბავშვის მრავალმხრივი – პიროვნული, სოციალური, ფიზიკური და შემეცნებითი – განვითარება წარმოადგენდა. სწავლა, განვითარება, ღირებულებების ჩამოყალიბება, სოციალიზაცია ერთიანი პროცესია. ეს სწორედ ის ხედვაა, რომელსაც ჩვენ არათუ სკოლამდელი, არამედ ზოგადი განათლებისგანაც კი ვითხოვთ. სკოლებს ნამდვილად შეუძლიათ, ბევრი რამ ისწავლონ საბავშვო ბაღებისგან იმის შესახებ, რას წარმოადგენს განათლება როგორც ინდივიდზე ორიენტირებული ერთიანი პროცესი, როდესაც საქმიანობა ისეა დაგეგმილი, რომ ბავშვი ინტერესით და ლაღად ერთვება მასში და მრავალმხრივად ვითარდება. მათემატიკის სწავლა არასოდეს არის მხოლოდ მათემატიკის სწავლა, ხოლო წახემსება – უბრალოდ შიმშილის მოკვლა. ყველა სიტუაცია, ყველა მოვლენა დაფიქრების, გააზრების, ურთიერთობის, თამაშის, ინტერესის, განვითარების, სწავლის წყაროა. საინტერესოა საქართველოში ბოლო დროს პოპულარული დისკუსია და აღტაცება განათლების ფინური მოდელით, სადაც განათლების ხედვა სწორედ ასეთ, ადამიანის განვითარების უწყვეტ და „ჰოლისტურ“ გაგებას ეფუძნება.

მაშ, რატომ არ არის საზოგადოებაში მიღწეული შეთანხმება იმის შესახებ, რომ განათლება არც ერთ საფეხურზე არ წარმოადგენს მხოლოდ აკადემიურ, შინაარსობრივ/საგნობრივ სწავ-

ლა-სწავლების პროცესს? ასეთი ცოდნის მიღება ყოველთვის არის განათლების ნაწილი, თუმცა არა ერთადერთი. მათ შორის – სკოლამდელ საფეხურზეც. ბავშვებს ადრეულ ასაკში უვითარდებათ მათემატიკური და წიგნიერების უნარ-ჩვევები, სწავლობენ მეცნიერულ კანონზომიერებებს, უყალიბდებათ ესთეტიკური ღირებულებები და იწყებენ კულტურის პროდუქტების აღქმას. ტვინის განვითარების კვლევები ცხადყოფს, რომ სიცოცხლის პირველი წლები სწავლის ყველაზე ინტენსიური პერიოდია, რომელზეც მომავალში დაშენდება უფრო კომპლექსური ცოდნა და საზროვნო უნარები. თუ „აღზრდა“ არ მოიაზრებს ბავშვის მიერ გარე სამყაროს შემეცნების, ახალი ცოდნის ათვისების კომპონენტს, თანამედროვე კვლევების პერსპექტივიდან ის უბრალოდ უგულებელყოფს ბავშვის განვითარების ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტს; ხოლო თუ „აღზრდა“ მოიაზრებს მას, მაშ, რა განსხვავებაა მასა და „განათლების“ ჰოლისტურ ცნებას შორის? პრობლემის არსი ის არის, როგორ ხდება ცნებების პრაქტიკული გააზრება. სკოლამდელი განათლების სფეროში მომუშავე ადამიანებისთვის „განათლება“, ტრადიციისამებრ, სკოლის აკადემიურ, სტრუქტურირებულ მიდგომასთან ასოცირდება. სამწუხაროდ, სკოლების უმრავლესობა მართლაც ასეთია. ისინი ფოკუსირებულნი არიან არა ბავშვის პიროვნულ, მოქალაქეობრივ, სოციალურ, შემეცნებით და ფიზიკურ განვითარებაზე, არამედ ვიწრო საგნობრივი ცოდნის სწავლა-სწავლების პროცესზე.

ამ კონტექსტში შესაძლოა გასაგები იყოს სკოლამდელი განათლების სფეროს პრაქტიკოსთა შიში, რომ საბავშვო ბაღებში „განათლების კომპონენტის დაბრუნება“ წარმოშობს საფრთხეს, ბაღი დაემსგავსოს სტრუქტურირებულ, აკადემიურ ცოდნაზე ორიენტირებულ, მრავალი ბავშვისთვის მოსაწყენ და უინტერესო გარემოს – სკოლას. თუ ამ შემთხვევაში განათლებას საზოგადოება „შინაარსის სწავლის“ ეკვივალენტად აღიქვამს, სკოლამდელი განათლების პრაქტიკოსებისთვის უცხო არ უნდა იყოს, რომ ბავშვები ადრეულ ასაკში ბევრ რამეს სწავლობენ. ამდენად, „განათლების კომპონენტის დაბრუნებაზე“ საუბარი უადგილო ჩანს, თუ ამას პროცესსა და შინაარსთან მიმართებით განვიხილავთ. ბავშვები სწავლას იწყებენ დაბადებიდან და არა მაშინ, როდესაც 3 ან 6 წელი შეუსრულდებათ, ხოლო სწავლის გაიგივება საგნობრივ საგაკვეთილო აკადემიურ პროცესთან საკითხის მეტისმეტად ზედაპირულ გააზრებაზე მიუთითებს. „განათლება“ საბავშვო ბაღებიდან არასოდეს წასულა, რომ დავაბრუნოთ. იმავდროულად, უნდა ითქვას, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ „დაბრუნება“ შესაძლოა განიხილებოდეს სკოლამდელ განათლებაში აღებული ახალი პასუხისმგებლობების კონტექსტში (სკოლამდელი განათლების სახელმწიფო სტანდარტების შექმნა და მონიტორინგი), თუმცა მნიშვნელოვანია, საზოგადოებისთვის ნათელი იყოს: ეს „განათლება“ და მასთან დაკავშირებული სტანდარტები არავითარ შემთხვევაში არ წარმოადგენს საგნობრივი სწავლების აკადემიურ პროცესს; ის ბავშვის მრავალმხრივ განვითარებასა და კეთილდღეობაზე მზრუნველ გარემოსა და პროცესს გულისხმობს.

სკოლამდელი განათლება მთლიანი პროცესია. მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებული მრავალი კვლევა ცხადყოფს, რომ სკოლამდელი განათლება ბავშვისა და საზოგადოებისთვის პოზიტიური შედეგების მომტანია მაშინ, როდესაც ბავშვის განვითარება, სწავლა და მასზე ზრუნვა ერთიან პროცესად არის მოაზრებული. წარმოუდგენელია მისი დაჩეხვა აღზრდად, სწავლად, თამაშად, ზრუნვად, ვინაიდან ყოველივე ეს ერთდროულად მიმდინარეობს და ერთი პროცესის ურთიერთგადაჯაჭვულ ასპექტებს წარმოადგენს. სამწუხაროდ, სკოლამდელი განათლების ასეთი აღქმა საქართველოში ჯერჯერობით არ არის დამკვიდრებული. ამის ნათელი მაგალითია სასკოლო მზაობის პროგრამა „თ-ა-მ-ა-შ-ი“-ს დანერგვის პროცესში ჩამოყალიბებული დამოკიდებულება, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგება ზემოთ გამოთქმულ დებულებას. კერძოდ, პროგრამის ფარგლებში 3 საათი განისაზღვრა მინიმალურ ყოველდღიურ დროდ იმ საგანმანათლებლო კონტექსტისთვის, სადაც პროგრამა არ ხორციელდება ტრადიციულ სრულდღიან საბავშვო ბაღში (მაგ., სკოლის ბაზაზე გახსნილი ე.წ. „სასკოლო მზაობის ჯგუფები“). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამა (როგორც ნებისმიერი ხარისხიანი სკოლამდელი განათლების პროგრამა), რა თქმა უნდა, ფოკუსირებულია ბავშვის მრავალმხრივ განვითარებაზე და არა საზოგადოებაში ტრადიციულად მოაზრებულ, სკოლისთვის საჭირო უნარ-ჩვევებზე (წერა-კითხვა, არითმეტიკა). პროგრამის ფარგლებში თამაში წარმოადგენს სწავლისა და განვითარების მთავარ სტრატეგიას და არა სტრუქტურირებულ, აღმზრდელის/მასწავლებლის მიერ მართულ პროცესს. ტრადიციულ სრულდღიან საბავშვო ბაღებში სას-

ზოგადი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად იქნებ მართებული იყოს მცდელობა – განათლების ჰოლისტური გააზრებით სკოლები დაემსგავსოს საბავშვო ბაღებს, როგორც ეს ფინეთის სახელგანთქმულ განათლების სისტემაში ხდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის დადგენილება # 84 (18.10.2004) ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების შესახებ. https://matsne.gov.ge/ka/document/view/11098
2. G. Biesta (2016): Who's Afraid of Teaching? Heidegger and the Question of Education 'Bildung'/'Erziehung'). *Educational Philosophy and Theory*. http://dx.doi.org/10.1080/00131857.2016.1165017
3. A. A. Frolov (2003) Social Education and the Legacy of A.S. Makarenko, Russian Education & Society, 45:11, 79-93.
4. B. B. Gundem & S. Hopmann (Eds). (1998). Didaktik and/or Curriculum. An International Dialogue. *Conclusion- Didaktik Meets Curriculum: Towards a New Agenda*. pp. 331- 354. Peter Lang.
5. Soviet Education (1980) Chapter 8: The Social Education Process in the School. *Soviet Education*, 22:9-10, 100-124. http://dx.doi.org/10.2753/RES1060-9393220910100
6. Raymond L. M. Lee. (2005). Bauman, liquid modernity and dilemmas of development. *Thesis Eleven* 83: 61-77.

კოლო მზაობის პროგრამის დანერგვისას გამოიკვეთა მოულოდნელი ტენდენცია: პრაქტიკოსები და მართვის რგოლის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ პროგრამა წარმატებით მიმდინარეობს ჯგუფებში სამი საათის განმავლობაში, ხოლო დანარჩენი დრო ბავშვები ჩვეულებრივ საალმზრდელო პროცესში არიან ჩართულნი (?). მსგავსი განცხადებები მიუთითებს, რომ სკოლამდელი განათლების სფეროში მომუშავე ადამიანების ხედვა არ ეფუძნება ჰოლისტურობისა და თანმიმდევრულობის პრინციპებს და ბევრი მათგანი სწავლას, განვითარებას, თამაშსა და აღზრდას ერთმანეთისგან დამოუკიდებელ პროცესებად მოიაზრებს.

რატომ „განათლება"?

უნდა ითქვას, რომ ქართული ტერმინის – „აღზრდის" ტრადიციული გაგება ბავშვს ობიექტად მოიაზრებს: ის ბავშვი კი არა, უპირველესად, „აღსაზრდელია", ვინც „აღმზრდელმა" თანმიმდევრული მეთოდური მიდგომებით საჭირო ყალიბის შესაბამისად უნდა „გამოძერწოს". *აღზრდა* მოიაზრება, როგორც სასრული პროცესი. *განათლება* კი მუდმივი და უწყვეტი პროცესია, სადაც *ბავშვი, მოზარდი, ზრდასრული* პროცესის აქტიური მონაწილენი არიან და ცვალებად, „თხევად თანამედროვეობაში" მუდმივად ვითარდებიან, სწავლობენ, გადააფასებენ, „აღიზრდებიან".

საერთაშორისო კვლევებისა და სამეცნიერო დიალოგის ფონზე, არსებობს კი დღეს აღზრდა-განათლებას შორის უთანხმოების რაიმე საფუძველი? მსოფლიოში ალბათ ძალიან იშვიათად შეხვდებით განათლების სპეციალისტს, რომელსაც მიაჩნია, რომ *განათლება* წმინდად კოგნიტიური ფოკუსის მქონე აკადემიურ სასწავლო პროცესს გულისხმობს. აქ მნიშვნელოვანია, ხაზი გავუსვათ *განათლების სპეციალისტს – ადამიანს, რომელიც ამ სფეროს მიზანმიმართულად სწავლობს,* რადგან, სამწუხაროდ, ამავე რწმენასა და შეხედულებებს ნაკლებად ვხვდებით გადაწყვეტილების მიმღებთა შორის (რომლებიც ხშირად განათლების სფეროს ძალიან ცუდად იცნობენ). განათლების სფეროში გასული საუკუნის 80-იან წლებში დაწყებული ტრანსატლანტიკური სამეცნიერო დიალოგისა და საერთაშორისო კვლევების შედეგად, ამ ტერმინებთან დაკავშირებით დღეს საერთაშორისო საგანმანათლებლო დისკურსში მეტი კონსენსუსია. მიუხედავად იმისა, რომ ისტორიულად მათი შინაარსი შესაძლოა განსხვავებული იყო, ადრეული ასაკის ბავშვების სწავლასა და განვითარებასთან მიმართებით ორივე ტრადიცია თეორიულ და კვლევით დონეზე მსგავს მიზნებსა და ამოცანებს ისახავს.

მნიშვნელოვანია, საქართველოში გაიმართოს ღია დისკუსია აღნიშნული ტერმინების თაობაზე. უამისოდ ძნელი იქნება, საზოგადოებას მართებული წარმოდგენა შეექმნას სკოლამდელი განათლების ზოგადი არსისა და მიზნების შესახებ.

როგორც ამ დისკუსიის მონაწილე მხარეს, მიმაჩნია, რომ მიზანშეწონილია „აღზრდის" ჩანაცვლება ახალი ტერმინით – „განათლება". უპირველეს ყოვლისა, კიდევ ერთხელ უნდა გაესვას ხაზი, რომ განათლების ჰოლისტური განმარტება მოიცავს „აღზრდის" ტრადიციულ გააზრებას. მეორე: ვინაიდან ქვეყანაში დამკვიდრებულია ტერმინი „განათლების სისტემა" (რომელიც არ გულისხმობს მხოლოდ შინაარსობრივი ცოდნის სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზების სისტემას და სოციალური პედაგოგიკის ასპექტებსაც მოიაზრებს), სკოლამდელი განათლება კი მისი განუყოფელი ნაწილია, სწორედ ტერმინ „განათლების" გამოყენება იქნება მართებული. სკოლამდელი განათლების სფეროში მონაწილე მხარეები პასუხისმგებლობას ხშირად, სამწუხაროდ, თავს არიდებენ მისთვის „აღზრდის" ფუნქციის მინიჭებით, რითაც სკოლამდელი განათლება კნინდება და წარმოჩნდება როგორც საგანმანათლებლო სისტემის ნაკლებმნიშვნელოვანი საფეხური.

მომავალ წლებში მნიშვნელოვანი იქნება, შევინარჩუნოთ სიფხიზლე იმ რეალური საფრთხის მიმართ, რომელიც სკოლამდელ განათლებაში „განათლების" უმართებულო გაგებას შეიძლება მოჰყვეს, ანუ საბავშვო ბაღში საგანმანათლებლო პროცესი დაემსგავსოს „ცუდ" სკოლას – გახდეს სტანდარტიზებული, სტრუქტურირებული, მასწავლებლის მიერ მართული და აკადემიურ ცოდნაზე ორიენტირებული. ამიტომ სკოლამდელი განათლების ტრადიციებს შესაძლოა აქტიური დაცვა დასჭირდეს საბავშვო ბაღებში. მეტიც, ზოგადი განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად იქნებ მართებული იყოს მცდელობა – განათლების ჰოლისტური გააზრებით სკოლები დაემსგავსოს საბავშვო ბაღებს, როგორც ეს ფინეთის სახელგანთქმულ განათლების სისტემაში ხდება.

მანანა ბოჰორიშვილი

როგორ მოვამზადოთ სტატია?

ოცდამეერთე საუკუნემ მასწავლებელი ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. ფაქტია, სასწავლო პროცესში ბევრი რამ ახლებურ მიდგომას მოითხოვს. ხშირია შემთხვევა, როდესაც მასწავლებელს სასწავლო მიზნის მისაღწევად წინასწარ დაგეგმილი თუ მყისიერად მოფიქრებული საინტერესო და კრეატიული მიდგომების გამოყენება უწევს. ამასთან, მასწავლებელი ხშირად კოლეგას აცნობს საკუთარ პრაქტიკაში არსებულ წარმატებულ თუ პრობლემურ სიტიუაციებს. ეს გაზიარება ხან კათედრის დონეზე მიმდინარეობს, ხან სკოლის დონეზე, ხან კი უფრო ფართო პროფესიულ ჯგუფებში.

პროფესიული განვითარების ერთ-ერთი აქტივობა სტატიის დაწერაა.

კარგი სტატიის დასაწერად საჭიროა:

1. **თემის შერჩევა;**
2. **სათაურის შერჩევა;**
3. **სტატიის სტრუქტურის განსაზღვრა;**
4. **ტექსტის სიმარტივე;**
5. **კონკრეტულობა, ლაკონიურობა, საინტერესოობა;**
6. **სტატიის შემოწმება პლაგიატზე.**

რას გულისხმობს კარგად დაწერილი სტატია?

კარგად დაწერილი სტატიის წაკითხვისას უნდა იგრძნობოდეს, რომ მასწავლებელი კარგად იცნობს სტატიაში წარმოდგენილ საკითხებს და გააზრებული აქვს მათი მნიშვნელობა სკოლაში სწავლა-სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად. ასევე მნიშვნელოვანია, ამ საკითხების ირგვლივ მასწავლებელს ჰქონდეს პრაქტიკული გამოცდილებაც. კერძოდ, განსაზღვრული ხნის განმავლობაში საკუთარ პრაქტიკაში იყენებდეს სიახლეს; იცნობდეს მის ძლიერ და სუსტ მხარეებს; შეეძლოს განსაზღვრული სახის რჩევების მიცემა კოლეგებისთვის.

სტატიაში შესაძლოა აღწერილი იყოს საკითხის შესახებ არსებული გამოცდილება როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. ამისთვის მასწავლებელმა უნდა შეისწავლოს ლიტერატურა და დაწეროს მისი მიმოხილვა.

თუ სტატიის მიზანი ფართო აუდიტორიის ყურადღების მიპყრობაა, საჭიროა იმ საკვანძო სიტყვების ეფექტური შერჩევა, რომელთა საშუალებითაც გამარტივდება საძიებო სისტემებში სტატიის პოპულარიზაცია. არსებობს არაერთი საძიებო სისტემა, მაგ., Yandex Wordstat. *საქართველოში სტატიების სიმცირის გამო საძიებო სისტემები ჯერჯერობით ეფექტური არ არის.*

რითია მნიშვნელოვანი კარგი სათაური?

სათაური უნდა ასახავდეს სტატიის შინაარსს და, იმავდროულად, იზიდავდეს პოტენციური მკითხველის ყურადღებას. სათაური არ უნდა იყოს გრძელი – სასურველია, არ აღემატებოდეს 5 სიტყვას.

სტატიისთვის კარგი **სათაური** ძალიან მნიშვნელოვანია. თუ სტატია საიტისთვის იწერება, მაშინ მის სათაურში აუცილებლად უნდა იყოს **საკვანძო**

სიტყვები, რომელთა საშუალებითაც გამარტივდება საძიებო სისტემებში სტატიის პოპულარიზაცია.

როგორი უნდა იყოს სტატიის სტრუქტურა?

სტატიას უნდა ჰქონდეს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

- შესავალი (რას ეხება სტატია);
- ძირითადი ნაწილი (შინაარსი);
- დასკვნა (შეჯამება).

რატომ უნდა იყოს სტატია კონკრეტული და ლაკონიური?

სტატიის წერისას უმჯობესია შემოვიფარგლოთ 2000-4000 სიმბოლოთი, რაც არ აღემატება A4 ფორმატის 3-4 გვერდს. წინააღმდეგ შემთხვევაში მკითხველთა დიდი ნაწილი უბრალოდ უარს იტყვის მის წაკითხვაზე. მიუხედავად ამისა, თუ თემა მოითხოვს, უმჯობესია, გადავაჭარბოთ ნორმას, ვიდრე შევამციროთ მასალა და შევკვეცოთ სტატიის საინტერესო ნაწილი.

რატომ უნდა იყოს სტატიის ტექსტი მარტივად გასაგები, გრამატიკულად გამართული, სასიამოვნო საკითხავი?

წერის დასრულების შემდეგ კრიტიკულად გადახედეთ ნაწერს და შეასწორეთ შეცდომები. რადგან გრამატიკული შეცდომები რთულად გასაგებს ხდის სტატიას და მკითხველში უსიამოვნო განცდას იწვევს.

როგორ შევამოწმოთ სტატია პლაგიატზე?

ამის გაკეთება შეგიძლიათ არაერთი საიტისა და სპეციალური პროგრამის, მაგალითად, Plagiarism Checker-ის საშუალებით.

როგორ შევადგინოთ აბსტრაქტი

აბსტრაქტი არის ინფორმაციული აბზაცი, რომელიც მოკლედ ასახავს სტატიის თემატიკას და საკვლევ საკითხს. სტატიის სპეციფიკიდან გამომდინარე, ეს შეიძლება იყოს:

სტატია აკადემიური და მეთოდური ჟურნალის მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს. აკადემიურ ჟურნალში წარსადგენი სტატიები შინაარსისა და მიზნის მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავდება. სტატიის მიზანი შეიძლება იყოს:

- **ახალი მიგნებების წარდგენა,**
- **არსებული ლიტერატურის განხილვა;**
- **კვლევის შედეგების მიმოხილვა;**
- **სხვა.**

შესაბამისად, სტრუქტურა და ფორმატი იმაზეა დამოკიდებული, რა მიზანს ისახავს სტატია.

მაგალითად, არსებობს ზოგადი მოთხოვნები, რომლებსაც უნდა შეესაბამებოდეს **ჩიკაგოს** აკადემიური სტილის მიხედვით შესრულებული ყველა სტატია.

აკადემიური სტილის მიხედვით შესრულებული სტატია უნდა მოიცავდეს შემდეგ სტრუქტურულ ელემენტებს:

1. **თავფურცელი;**
2. **აბსტრაქტი;**
3. **შესავალი;**
4. **ძირითადი ნაწილი;**
5. **დასკვნა;**
6. **ლიტერატურა.**

როგორ შევადგინოთ თავფურცელი

თავფურცლის სწორი ფორმატისთვის იხ. ნიმუში

- მნიშვნელოვანი მონაცემები;
- კვლევის მეთოდი;
- მიზანი;
- ძირითადი მიგნებები;
- დასკვნები და სხვა.

აბსტრაქტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 300 სიტყვას.

აბსტრაქტის დაფორმატებისას გამოიყენება შემდეგი პარამეტრები:

- შრიფტი: Unicod-ში კოდირებული, მაგ., Sylfaen ან მსგავსი;

სტატიის სრული სათაური

ავტორის სახელი და გვარი

ინსტიტუციის სახელწოდება

საკონტაქტო ინფორმაცია

სტატია მომზადდა ჟურნალ „ჟურნალის სახელწოდება“-ში წარსადგენად

თბილისი, 2017

- შრიფტის ფორმა და ზომა: სათაური – 14, გამუქებული და სწორი; აბსტრაქტის ტექსტი – 12 და სწორი;
- ველები: მარჯვენა ველი _ 2 სმ, მარცხენა ველი – 2.5 სმ, ზედა ველი – 2 სმ, ქვედა ველი – 2 სმ;
- ტექსტის კიდეების გასწორება: ორივე მხარეს;
- სტრიქონებს შორის დაშორება: 1.5;
- სათაურსა და ტექსტს შორის დაშორება: 2 სტრიქონი;
- აბსტრაქტის გვერდიდან იწყება გვერდების ნუმერაცია. დანომრეთ გვერდები არაბული ციფრებით.

ნიმუში

აბსტრაქტი

აბსტრაქტის ტექსტი ქართულ ენაზე _____
_____
_____
_____
_____

ძირითადი საძიებო სიტყვები: _____ , _____, _____.

Abstract

The text of the abstract in English _____
_____
_____
_____

Key Words: _____ , _____, _____.

როგორ დავწეროთ შესავალი

სტატიის შესავალი არის სტატიის საკვანძო საკითხების ზოგადი მიმოხილვა. მაგალითად, როდესაც სტატია კვლევის შედეგებს გვაცნობს, შესავალში შეიძლება აღწერილ იქნეს:

- კვლევის მიზანი;
- ჰიპოთეზა;
- პრობლემის გადაჭრის საშუალება;
- სამიზნე აუდიტორია;
- და სხვა.

თუ სტატია არ ეხება კვლევას, შესავალში შეიძლება აღწერილ იქნეს:

- სტატიის მიზანი;
- განხილული საკითხის შინაარსი;
- შემოთავაზებული სიახლე;
- სამიზნე აუდიტორია;
- და სხვა.

ავტორი შესავალში ნათლად უხსნის მკითხველს იმ პრობლემისა თუ საკითხის არსს, რომელსაც ეხმაურება სტატია, ასევე წარმოადგენს საკითხთან დაკავშირებულ ლიტერატურას.

როგორ დავწეროთ ძირითადი ნაწილი

სტატიის ძირითად ნაწილში გაშლილია სტატიის ძირითადი საკითხები და თემატიკა. ძირითადი ნაწილი შეიძლება დაიყოს ქვეთავებად.

სტატიის ძირითად ნაწილში შეიძლება წარმოდგენილ იქნეს თვალსაჩინოებებიც (ცხრილები, გრაფები, სურათები და სხვა), მაგრამ, სასურველია, მცირე რაოდენობით.

თვალსაჩინოება დასათაურებული უნდა იყოს. შეიძლება, ახლდეს შენიშვნაც, რომელიც უნდა განთავსდეს თვალსაჩინოების ქვემოთ. თუ თვალსაჩინოება განსხვავებული ფორმატის ფაილია (GIF, TIFF, JPEG ან სხვა), სამეცნიერო ჟურნალის გამომცემლობამ შესაძლოა მოითხოვოს თვალსაჩინოების დანართის სახით წარმოდგენაც.

გთავაზობთ სტატიის ძირითადი ნაწილის სარეკომენდაციო შინაარსს:

- ლიტერატურის მიმოხილვა;
- კვლევის მეთოდოლოგია ან შეთავაზებული ახალი მიდგომის დეტალური აღწერა;
- ძირითადი მიგნებები ან შეთავაზებული მიდგომის ძლიერი და სუსტი მხარეები.

როგორ დავწეროთ დასკვნა

სტატიის დასკვნით ნაწილში, მანამდე წამოყენებულ და განხილულ მოსაზრებათა შეჯამებაზე დაყრდნობით, უნდა გაკეთდეს დასკვნა. *დასკვნა მოკლედ უნდა აჯამებდეს მანამდე წარმოდგენილ საკითხებს და განსაზღვრავდეს ახალ მოსაზრებას.*

როგორ მივუთითოთ გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი/ბიბლიოგრაფია

სტატიას უნდა დაერთოს გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი/ბიბლიოგრაფია, სადაც წარმოდგენილი იქნება სტატიაში გამოყენებული წყაროები.

მაია ფირჩხაძე

როგორ შევუქმნათ მოსწავლეებს პირობები ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების დამოუკიდებელი შეფასებისთვის

ისტორიის სწავლებაში თანამედროვე გამოწვევები მხოლოდ ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენას არ გულისხმობს. უფრო და უფრო აქტუალური ხდება მოსწავლეთა შორის დამოუკიდებელი ისტორიული აზროვნების ფორმირება. დასახული მიზნები თავისთავად გულისხმობს შემდეგ პირობებს:

- მოსწავლეთა კვლევითი და არგუმენტირების უნარების სტიმულირებას;
- არსებული მოცემულობების განმტკიცებას;
- ახალი ცოდნის ფორმირებასა და გამოცდილებების შეძენას;
- პიროვნული თვისებების განვითარებას;
- რაც მთავარია, სწავლების შესაფერისი მეთოდებისა და ხერხების მოძიებას.

მოსწავლეთა დამოუკიდებელი წარმოდგენების ფორმირებისთვის პირობების შესაქმნელად აუცილებელია, გამოვიყენოთ სასწავლო საქმიანობის მრავალფეროვანი ფორმები, ისეთი აქტივობები, რომლებიც დააინტერესებს მოსწავლეებს: გაკვეთილი-მოგზაურობა; გაკვეთილი-კონფერენცია; გაკვეთილი-გამოფენა და სხვ. მოსწავლეთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სათამაშო სიტუაციებიც, რამდენადაც ეს საკუთარი მოსაზრებების რეალიზების საშუალებას იძლევა.

ეფექტურია განმავითარებელი სწავლის პრინციპების გამოყენება და ცოდნის დაუფლება შემოქმედებითი დავლებების გადაწყვეტის გზით. მიზნისა და შედეგების შესაბამისად, მასწავლებელი შეარჩევს საგაკვეთილო მასალას და გაკვეთილის ფორმას, რომლებიც ერთგვარი „ბიძგის“ როლს შეასრულებს განსაზღვრული პრობლემის გადაჭრასა და მოსწავლეთა აზროვნების გააქტიურებაში. განმავითარებელი სწავლის პრინციპები ისეთი სიტუაციების მოდელირების საშუალებასაც გვაძლევს, რომლებიც საკუთარი პოზიციების ჩამოყალიბებაში დაეხმარება მოსწავლეებს. ამ დროს მასწავლებელი არ გამოთქვამს საკუთარ აზრს, ის ხელს უწყობს მოსწავლეთა აზრებისა და იდეების გენერაციას.

თუმცა ზოგჯერ წარმოიშობა ისეთი პრობლემაც, როგორიცაა ისტორიული აზროვნების სხვადასხვა საფეხურის შესაბამისი სასწავლო ამოცანების სწორად განსაზღვრა. აღსანიშნავია, რომ დაწყებით საფეხურზე მასწავლებლები თავად ასრულებენ ამ სამუშაოს – ახდენენ მიზნისა და პრობლემის ფორმულირებას და მოსწავლეებს ამის შემდეგ ავარჯიშებენ მსგავსი სამუშაოს შესრულებაში. რაც შეეხება სწავლის საბაზო და საშუალო საფეხურებს, აქ მოსწავლეებმა აღნიშნული ოპერაციების შესრულება უკვე თავად უნდა შეძლონ. უმთავრესია ტექსტურ ინფორმაციასთან (სქემა, ნაწარმოები, მხატვრული ლიტერატურა, სახელმძღვანელოს ტექსტი, გრაფიკი, სტატია, დოკუმენტი, პლაკატი და ა.შ.) როგორც სწავლის ძირითად საშუალებასთან, შემეცნების დამოუკიდებელ ობიექტთან, ამა თუ იმ თემის შესწავლის ძირითად საშუალებასთან მუშაობის უნარები.

www.mastsavlebeli.ge

განათლება – თავისუფლებაა!

www.mastsavlebeli.ge



ზვიად კვარაცხელია

თანატოლი თანატოსი

დიდი და პატარა კლასელები

მამაჩემმა და მისმა მეგობარმა ამას წინათ ერთი თანაკლასელი გაიხსენეს, მესამე- თუ მეოთხეკლასელი ბიჭი, რომელსაც მამის თოფი გაუვარდა და მძიმედ დაჭრილი ვერ გადაარჩინეს. სევდიანი ამბავი იყო: ორმოცდაათს გადაცილებული კაცები იგონებდნენ ადრეულ ბავშვობაში დაღუპულ ადამიანს, რომელსაც, ბედი რომ ჰქონოდა, მათ წლოვანებამდე მაინც უნდა მოეყარა და მათსავით ცოლ-შვილიც შეიძლებოდა ჰყოლოდა. ბევრი აღმართი უნდა დაეძლია და ბევრ თავდაღმართზე დაშვებულიყო, ის კი პირველივე ხიფათს შეადნა სანთელივით. ისეთმა ხიფათმა მოძებნა, უფრო დიდი ასაკის ხალხს რომ აეკიდება ხოლმე. ცოდვილთა საძებრად გამოსული, გზააბნეულ ბალღს წააწყდა და გაიყოლა.

უნახავი შვილთაშვილი

მინდოდა, ბაბუაჩემს ჩემი შვილი ენახა – თავისი პირველი შვილთაშვილი, რომლის დაბადებასაც მოესწრო, მაგრამ ვერ შევძელი, მისთვის ეს სიხარული პირადად გამეცნო, ნიკო სოფელში წამეყვანა. რამდენიმე თვით დავიგვიანე. მძიმე განცდაა, როცა შენთვის ძალიან ძვირფასი ადამიანები ვერასდროს შეხვდებიან ერთმანეთს.

საფლავში მიმაქვს...

რომ ამბობენ, რაც გაქვს, წუთისოფელში დახარჯე, იმქვეყნად რას წაიღებო, არაა მთლად მართალი. მჯერა და ვერავინ გადამარწმუნებს, რომ არიანე ჭანტურიამ მთელი თავისი ნიჭი, უნიკალური მეხსიერება და გამოცდილება საფლავში წაიღო, იმიტომ კი არა, რომ აქ ღირსეული მემკვიდრე არ დარჩენია. არა! სულ რომ ბეჯითი სტუდენტების არმია ჰყოლოდა, ვერ წარმომიდგენია, მისი შეცვლა, მისი გამეორება ვინმეს შესძლებოდა. განუმეორებელიო, რომ იტყვიან, კი გაცვდა ეს სიტყვა, მაგრამ არიანე ჭანტურიაზე ზედგამოჭრილი იყო.

ფოტო ფოიეში

ნაცნობისგან გამიგონია: ავარიაში დაიღუპა უნიჭიერესი და ძალიან წესიერი ბიჭი – მასწავლებლებსაც რომ უყვართ, ბეჯით კლასელებსაც და ისეთებსაც, სწავლისთვის მაინცდამაინც რომ არ იდებენ თავს. ყველას დასწყდა გული და ამ მწუხარების გამოსახატავად მოსწავლეებმა გადაწყვიტეს, სკოლის შესასვლელში დაღუპულის ფოტო გამოეკრათ.

მათ გადასარწმუნებლად დირექტორის ვერც ერთმა არგუმენტმა ვერ გაჭრა. ცხელ კვალზე ტრაგედიას შეუძლია, იოლად დაჯაბნოს საღი აზრი და რაციონალური მსჯელობა. მოსწავლეები (განსაკუთრებით – გარდაცვლილის კლასელები) აგრესიულად მოითხოვდნენ ფოტოს გამოკვრას.

კონფლიქტი ქართულის მასწავლებლის ერთმა ჯადოსნურმა ფრაზამ განმუხტა, რომელიც მან ამბოხებულ მოსწავლეებს უთხრა: ვიცი, ბრაზობთ, სურათის ჩამოკიდების უფლებას რომ არ გაძლევენ, მაგრამ მერწმუნეთ, დრო რომ გავა, იმ ფოტოს ჩამოხსნა მოგვიწევს და გული მაშინ უფრო მეტად დაგვწყდებაო.

ერთ ასაკში

ის კია ბებერი, ძველი და შებერტყილი, მაგრამ ჩემთან რომ მოვა, მინდა, ჩემი ასაკისა იყოს და ისეთი მიმზიდველი, როგორც ნინო კირთაძეა, სიკვდილის როლს რომ თამაშობს „მეტეოიდიოტში“ (ნანა ჯორჯაძის ფილმში).

ჩემი ასაკის ხალხთან არასდროს მიჭირდა საერთო ენის გამონახვა და თუ ძალიან მოვინდომებ, იქნებ ჩემი ასაკის სიკვდილთანაც მოვახერხო ერთი-ორი სიტყვის გაცვლა. საინტერესოა, მას რა ეხსომება ან მე რით გავაკვირვებ; იდუმალ რაღაცებზე ვკითხავ თუ აქეთ ჩამეძიება, ამხელა კაცმა მანქანის ტარება როგორ არ იციო; ეჭვი მაქვს, ბოლომდე ვერც ის ამიხსნის, რატომ ჩავაბარე იურიდიულ ფაკულტეტზე, რადგან ფილოლოგიურზე რატომ არ ჩავაბარე, თვითონაც კარგად ვიცი; იმასაც გავახსენებ, იქამდეც რომ ბევრჯერ შევხვედრივართ და ერთი შეხვედრა განსაკუთრებით მახსოვს – ენაარეულმა და ხელფეხმოწყვეტილმა, ოპერაციის წინ ჩემს ძმას ვუჩურჩულე, თუ ასეთი დავბრუნდი, ევთანაზია გამიჩალიჩე-მეთქი; და ბოლოს იქნებ სექსითაც დავკავდეთ მე და ჩემიტოლა სიკვდილი, როგორც დათო (მერაბ ნინიძე) შვრება იმავე „მეტეოიდიოტში“...

ლელა პოტორაშვილი

ლიტერატურული დღიური როგორც სასწავლო აქტივობა

როგორ დაიბადა იდეა

ზაფხულის არდადეგებზე mastsavlebeli.ge-ზე სტატიის სათაურმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. ავტორი, ნინო ლომიძე, საინტერესოდ წერდა ლიტერატურული დღიურის შესახებ. ძირითად პრობლემად ასახელებდა იმას, რომ ბავშვებს ხშირად უჭირთ პერსონაჟების სახელების დამახსოვრება, სიუჟეტის გადმოცემა, სათაურის გააზრება, ლიტერატურული დღიური კი შესანიშნავი გზაა სხვადასხვა დეტალზე ორიენტირებისთვის და თვითგანვითარებაზე დასაკვირვებლადო. სტატიას დართული ჰქონდა დღიურის გარკვეული ქარგა.

ინდივიდუალიზმი

ლიტერატურული დღიურის იდეა ძალიან მომეწონა. გადავწყვიტე, სასწავლო პროცესის დაწყებისას სამოქმედო გეგმაში შემეტანა როგორც ერთ-ერთი აქტივობა. წერილს კიდევ ერთხელ მივუბრუნდი, დავამუშავე და მიზნები ჩამოვწერე. სხვის იდეებს ცვლილებები და ინდივიდუალური შტრიხებით გამრავალფეროვნება უხდება, ამიტომ გადავწყვიტე, რამე განსხვავებული მომეფიქრებინა.

დღიურის ფორმა

იმავე ზაფხულს ნაჭრების უცნაურ დახლთან მოვხვდი – გადავსებული იყო ჭრელი გობელენებითა და ფერადი ხავერდებით. ჩამოვდექი და ფიქრი დავიწყე, რაში შეიძლებოდა მათი გამოყენება. მაშინ მომაფიქრდა დღიურის ყდების ამ ნაჭრებით გაფორმება. შევარჩიე სხვადასხვა ფერის გობელენი და რაჭის გზას გამოვუყენე. ნაჭრები შემოვაცვით რვეულებს და მათაც მოიხდინეს საინტერესო იერ-სახე.

დღიურისთვის ჩვენეული ქარგა შევიმუშავეთ, რომელმაც საბოლოოდ ასეთი სახე მიიღო:

ავტორი – მოკლე ინფორმაცია მის შესახებ, მისი სურათი;

სათაური – რატომ შეურჩია მწერალმა ამ ნაწარმოებს ეს სათაური; შევქმნათ ნახატი, რომელიც სათაურს შეესაბამება;

სიუჟეტი – სიუჟეტი არის ძალიან მოკლე შინაარსი წიგნში განვითარებული მოვლენებისა; შევქმნათ ნახატი წიგნის სიუჟეტის მიხედვით;

პერსონაჟები – ამოვწეროთ მთავარი და არამთავარი პერსონაჟების სახელები და გვარები; დავახასიათოთ/აღვწეროთ/დავხატოთ თითოეული მათგანი; პარალელი გავავლოთ სხვა ლიტერატურული ნაწარმოებების გმირებთან (საერთო თვისებები, თავგადასავლები და ა. შ.);

ეპოქა – მოვიძიოთ ცნობები ნაწარმოების დაწერისა და მასში ასახული ეპოქის შესახებ;

ქუჩები – ამოვწეროთ ქუჩებისა და ქალაქების სახელები; შევეცადოთ, ისინი ჩვენი ფანტაზიით დავხატოთ; მოვიძიოთ ფოტომასალა ინტერნეტში, ამოვბეჭდოთ და ჩავაკრათ დღიურში;

ჟანრი – მოვიძიოთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომელი ჟანრისაა წიგნი;

შენიშვნა: დავიხმაროთ მასწავლებელი.

ეპიზოდი, რომელიც ყველაზე მეტად დამამახსოვრდა

- მოკლედ აღვწეროთ მისი შინაარსი;
- დავწეროთ მიზეზი, რატომ შევარჩიეთ;
- შევქმნათ ნახატი ეპიზოდის მიხედვით;

ფრაზები – ამოვიწეროთ საინტერესო ფრაზები;

წინადადებები – ზოგჯერ გვხვდება წინადადებები, რომლებიც ლექსების სტრიქონებს მოგვაგონებს, ვეძებოთ ისინი და ამოვწეროთ; მათზე დავწეროთ თავისუფალი თემები; შევქმნათ ნახატები;

რეცენზია – წიგნის მოკლე აღწერილობა. **გაითვალისწინეთ:** რეცენზია არ უნდა შეიცავდეს ისეთ დეტალებს, რომ სხვამ წიგნის წაკითხვის ინტერესი დაკარგოს.

შთაბეჭდილებები და პარალელები საკუთარ ცხოვრებასთან, წიგნებთან, ფილმებთან, ადამიანებთან, მუსიკასთან;

- რომელი სხვა ნაწარმოები გაგახსენათ ამ წიგნმა?
- წელიწადის რა დროს კითხულობდით?
- სად და როდის კითხულობდით?
- რატომ გადაწყვიტეთ მისი წაკითხვა?
- ყველაზე მეტად რომელ ადამიანს გახსენებთ ეს წიგნი?

რჩევა: შეგიძლიათ, დღიური გააფორმოთ ფოთლებით, ყვავილებით, დაამზადოთ საინტერესო სანიშნები, თქვენი კვალი დატოვოთ ფურცლებზე.

პროცესი

როგორც ხდება ხოლმე, ნებისმიერი მეთოდისა და აქტივობის ასათვისებლად მოსწავლეებს გარკვეული დრო სჭირდებათ, ამიტომ თავდაპირველად მუდმივი ყურადღებისა და თვალისდევნების რეჟიმში მყავდნენ, რომ პატარ-პატარა სირთულეებს არ შეეშინებინათ და გული არ აცრუებოდათ.

ამ ყოველივეს გათვალისწინებით ნაბიჯ-ნაბიჯ დავიწყე მოქმედება.

შევიკრიბეთ სკოლის მედიათეკის ოთახში, ქარგის თითოეული საფეხური განვიხილეთ, ამოვუბეჭდე განმარტებები და სახლში გავატანე, შემდეგ ეს ჭრელ-ჭრელი რვეულები დავურიგე და ერთად განვსაზღვრეთ, რამდენი ფურცელი დასჭირდებოდა ავტორს, სათაურს, პერსონაჟებს, საყვარელ ეპიზოდებს, ფერად ფურცლებზე დავაწერეთ შესაბამისი მნიშვნელობები და რვეულის კიდეზე კიბეებივით ჩამოვამწკრივეთ.

რადგანაც პედაგოგიკის წარმატების უპირობო მიზეზი პირადი მაგალითია, ამიტომ მეც მათთან ერთად შევქმენი ჩემი დღიური. ასეთი ამბებით გამოწვეული სამზადისი, ფუსფუსი და ერთად ყოფნა ყველაზე სასიამოვნოა მასწავლებლისთვისაც და მოსწავლეებისთვისაც. პროცესი თავისთავად მოიცავს კეთებით სწავლებას, უვითარდებათ შემოქმედებითი და ლოგიკური უნარ-ჩვევები, არაფორმალური გარემო ამაღლებს მოტივაციას, ერთმანეთს ეხმარებიან და განსხვავებულ გარემოში ურთიერთობას სწავლობენ, უმაღლდებათ წიგნიერების დონე და, რაც მთავარია, სწავლობენ პრობლემების მართვას.

კავშირი სასწავლო პროცესთან

ცარიელი დღიურები დავინაწილეთ და სახლებში გამოვამგზავრეთ, რომ კითხვის პარალელურად შეგვევსო და ასე ნელ-ნელა მათ ფურცლებზე დავაბინავეთ სხვადასხვა ავტორი, სათაური, პერსონაჟი, საყვარელი ეპიზოდი.



დღიურების ერთმანეთისთვის ჩვენება ლიტერატურულ კაფეში გადავწყვიტეთ, რომელსაც ჩვენს პატარა სკოლაში ყოველ ორ თვეში ერთხელ ვაწყობთ.

საინტერესოა, რომ მოსწავლეთა ასაკის შესაბამისად მოფიქრებული ქარგის მიუხედავად, დღიურს ერთნაირი ხალისითა და მონდომებით აწარმოებდნენ მეორეკლასელი თეკლა თუ მეცხრეკლასელი თამუნა და გიორგი.

ყველაფერს ადვილად გაართვეს თავი, მაგრამ რეცენზიისა და ჟანრის გაგება-გააზრება გაუჭირდათ და აქილევსის ქუსლის სტატუსი მიანიჭეს.

არადა, ერთ-ერთი საინტერესოდ და სპონტანურად მოფიქრებული რეცენზიის გამო ახლაღა შემომეკითხა ბავშვობაში ვერწაკითხული „გულივერის მოგზაურობა“. იცით, რისთვის უნდა წაიკითხოთ გულივერი? იმისთვის, რომ მიხვდეთ: არსებობენ ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც ზემოდან დაყურებთ და ისეთებიც, რომლებიც ჩვენ დაგვყურებენ ზემოდანო, – საუბრისას მითხრა მერვეკლასელმა თამუნამ და ინტერესი გამიღვივა.

გაგრძელება

ორი თვე უკვე გავიდა და მეათედ ვიკრიბებით ლიტერატურულ კაფეში „მირამისი“. წიგნის წარდგენის ფორმად ისევ ლიტერატურული დღიური ავირჩიეთ. ამჯერად პერსონაჟებისთვის განკუთვნილ გვერდებს ესტუმრებიან: ანა ფრანკი, ბიძია თომა, ჰოლდენ კოლფილდი, კაპიტანი ნემო, ჰარი პოტერი, ატიკუსი და ჭყიტა, რობინზონ კრუზო, ექიმი აიბოლიტი, ცქნაფი და ნინცო, ბიულერბიუელი ბავშვები და კუნძულ სალტკროკას მცხოვრებლები...

ლიტერატურული დღიურების მიხედვით სლაიდშოუს აწყობაც მოგვაფიქრდა, რაც თანამედროვე ტექნოლოგიების ათვისებასა და სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებას შეუწყობს ხელს.

დასკვნითი აბზაცისთვის

ასე რომ, mastsavlebeli.ge ერთ-ერთი საინტერესო საგანმანათლებლო ვებპორტალია ინტერნეტსივრცეში. ინსპირაციის წყაროდ ნებისმიერი სტატია შეიძლება გვექცეს, მერე კი ჩვენი ინდივიდუალიზმით შევაზავებთ და სასწავლო პროცესს გავახალისებთ.

ნინა საღლობელაშვილი

იყავი მასწავლებელი

გიორგი მთაწმინდელის სახელობის დედათა მონასტრის წინამძღვარი (ამ მონასტერთან არსებული ძეგვის სარეაბილიტაციო ცენტრი-თავშესაფარი ერთი კეთილი და ნათელი ადგილია მთელ დედამიწაზე), დედა მარიამ ჯაფარიძე, თავის საუბრებში გამუდმებით გვიმეორებდა ხოლმე: „დღეს მასწავლებლობა გმირობის ტოლფასია, წადით სკოლებში მასწავლებლებად!“

დედა მარიამის სიტყვა ჩემთვისაც და ვისაც მისთვის ერთხელ მაინც მოუსმენია, ყველასათვის ძვირფასია და, რაც მთავარია, საყურადღებო. მასწავლებლობა ბავშვობაში ჩემი დიდი ოცნებაც იყო და რა ფერადი კოშკები არ ამიგია, როცა ჩემს თავს ამ როლში წარმოვიდგენდი, მაგრამ როცა ისე მოხდა, რომ მართლა მომიწია საკლასო ოთახში შესვლა და პირადად შევეხე ამ დიდ, რთულ და, გნებავთ, იდუმალ მდგომარეობას, მაშინღა მივხვდი, რომ მხოლოდ ოცნება არა კმარა, არც ლაღი და ფერადი წარმოდგენები, რომ მასწავლებლობა დიდი ნიჭია და, ის ან გაქვს, ან არა.

მასწავლებლობა მადლიცაა და, რაც უნდა თანამედროვე შესატყვისები მოვუძებნოთ, ის მაინც გულისხმობს იმაზე მეტს, გაცილებით მეტს, ვიდრე მხოლოდ პროფესია, საქმე, სამსახური.

ამიტომაა ხოლმე, რომ ასეთ – მადლიან მასწავლებელს როცა შეხვდები, ქალაქის, გინდაც ყველაზე მიყრუებული სოფლის სკოლაში გადააწყდები, გული გინათდება და ისეთი განცდა გიჩნდება, აი, თენგიზ აბულაძის „ნატვრის ხეში“ რომაა – ბორის წიფურიას გმირი, ქორია, წყაროზე დახრილ ლიკა ქავჟარაძის გმირს – მარიტას რომ დაინახავს და უნებურად პირჯვარს გადაიწერს.

მემინახავს ასეთი მასწავლებლები. მათ ერთ საქციელშიც კი იმხელა ძალა ყოფილა, იმხელა სათქმელი გამხელილა, ხშირად ერთად აღებულ მთელ განათლების სისტემას რომ უდრის ან აღემატება კიდეც.

ასეთი მასწავლებლების მხრებზე დგას სახელმწიფოც და მომავალიც, რაც უნდა პათეტიკურად ისმოდეს, და ასეთ მასწავლებლობას გულისხმობს ხოლმე დედა მარიამი, როცა ყველა ჩვენგანს სკოლისკენ მიგვითითებს...

ორი წელი ვასწავლიდი ჩემს ყოფილ სკოლა-გიმნაზიაში, ჩემმა ყოფილმა დირექტორმა, არაჩვეულებრივმა პედაგოგმა მერი აფხაზავამ, სრული თავისუფლება მომცა, პროგრამის შედგენაც მე მომანდო, სწავლის მეთოდისა და ხერხის არჩევაც და შემიშვა რამდენიმე კლასში „საზღვარგარეთის ლიტერატურის“ მასწავლებლად. სახელი კი მეტისმეტად ხმამაღლა ჟღერდა, მაგრამ სინამდვილეში მთელი ჩემი ამოცანა იმ რამდენიმე მნიშვნელოვანი წიგნის ბავშვებისთვის გაცნობა და შეყვარება იყო, რომლებიც სკოლაში არ ისწავლება და, ჩემი აზრით, სწორედ იმისთვის დაიწერა, რომ გაცხოვრონ და გაგაუკეთესონ.

მიუხედავად იმისა, რომ კლასებში, გიმნაზიის პირობებიდან გამომდინარე, 15 მოსწავლეზე მეტი თითქმის არ იყო, ჩემი ორწლიანი შრომა და ძალისხმევა მაინც იმას შეელია, რომ ორმოცდა ან სამოცდარამდენიღაც ბავშვიდან მხოლოდ სამი თუ ოთხი მიმიხვდა, რა გვინდოდა მე და წიგნებს მათგან. ეს სამი და ოთხი იყო მთელი ჩემი მომნუსხველი აუდიტორია და დღემდე არიან ჩემი საუკეთესო მეგობრები, რომლებთან ერთადაც უკვე დიდ და სერიოზულ ცხოვრებისეულ ამბებს ვიყოფ.

დასკვნა ერთმნიშვნელოვანი და მარტივი გამოვიდა: მე არ აღმომაჩნდა საკმარისი უნარი, ვყოფილიყავი ისეთი მაწავლებელი, რომელიც ორმოცდა ან სამოცდარამდენიღაც ბავშვს ერთდროულად გაუღვივებდა კითხვისა და ფიქრის სიყვარულს. ვიღაცები ამას ახერხებენ, ვიღაცებს ეს გამოსდით. ჰოდა, მასწავლებლობაც მათი მადლი და ხვედრია!

მე იმ ჩემი სამი-ოთხი კეთილი და ერთგული მსმენელ-მკითხველით ვიხეტიალებ ლიტერატურისა და ფიქრის სამყაროში. ვინ იცის, სადმე, რომელიმე მეტაფიზიკურ სივრცეში ან მდგომარეობაში, ჩვენც გავმრავლდეთ და მთელი სამყარო მოვიცვათ!

მასწავლებლობა კი ცოტათი ჯადოქრობაცაა და თუ პაწაწინა ფოკუსები არ იცი, დიდ სცენაზე არ უნდა გახვიდე - იქ ისეთი „მაყურებელი“ გელოდება, ვერაფერს რომ ვერ გამოაპარებ და თუ ძალიან მოინდომა, სიყალბეს და ხარვეზს არც გაპატიებს.

მე ვიცნობ ასეთ კეთილ ჯადოქრებს.

ერთი მათგანი, მაგალითად, დღესაც ასწავლის ერთ სკოლაში დაწყებით კლასებს. ერთხელ, ზამთარში, შუა გაკვეთილზე, როცა დაფასთან იდგა და რომელიღაც განტოლებას ხსნიდა, ერთი მოსწავლე, ჩუმი, წყნარი და უცნაური გოგონა, წამოდგა, უნებართვოდ მივიდა ფანჯარასთან, უნებართვოდ ჩამოეყრდნო რაფას, თავი ხელისგულს ჩამოადო და დაიწყო ფანჯარაში უნებართვოდ ცქერა... მოსწავლეებმა მაშინვე გააპროტესტეს მისი საქციელი და მასწავლებელი ფანჯრისკენ მიატრიალეს – გოგონამ ხმამ ქცევის წესები დაარღვია! მასწავლებელმა ჯერ გოგოს შეხედა, მერე ფანჯარას, მერე საჩვენებელი თითი ტუჩებთან მიიდო და მკაცრად დაიჩურჩულა:

„ჩუ!.. ვერ ხედავთ, ის თოვას უსმენს!“

ძვირფასო მასწავლებლებო, მე ვიცი, რა ძნელია დღეს მასწავლებლობა, რამდენი ტანჯვა, განსაცდელი, პრობლემა და წუხილი ახლავს თან, რამდენი გასამართლებელი მიზეზი არსებობს იმისა, ვინმემ ეგ ტვირთი ცოტათი მაინც რომ შეგიმსუბუქოთ, მაგრამ გაიხსენეთ, რომ ოდესღაც თქვენც იყავით ბავშვები და შესაძლოა ყველაფერს სხვაგვარად ხედავდით. ვინ იცის, რამდენი ოცნება ან რამდენი სათქმელი გქონდათ, მსმენელი და გამზიარებელი კი, ვინც იმ დროს ყველაზე მეტად გჭირდებოდათ, არ იყო; გაიხსენეთ, როგორები გინდოდათ ყოფილიყვნენ თქვენი მასწავლებლები, ან იქნებ სწორედ თქვენივე მასწავლებლის მიბაძვით აირჩიეთ ეგ პროფესია, ხშირად გაიხსენეთ ისინი, თქვენი ოცნებები და სათქმელებიც ხშირად გაიხსენეთ და იგრძნობთ, როგორ შემოვა თქვენში სიმსუბუქე, ზოგი მადლს რომ ეძახის და ზოგიც - წყალობას; ირწმუნეთ, რომ ახლა სწორედ თქვენ ხართ ის მთავარი, ყველაზე მნიშვნელოვანი, ვინც აქ და ახლა მომავალ თაობას სჭირდება.

ზამთრის თოვაში ან გაზაფხულის ყვავილობისას, საკლასო ოთახის ფანჯარასთან, შუა გაკვეთილზე, ყოველთვის დგას ერთი მოსწავლე, რომელსაც მხოლოდ თქვენ ხედავთ, უფრო მეტიც – იმასაც ხედავთ, რასაც ის ასე დაჟინებით და საიდუმლოებით აღსავსე თვალებით გასცქერის...

ეს უწყინარი ჯადოქრობაა, ყველა თქვენგანში ცხოვრობს ეს კეთილი ჯადოქარი.

ცხოვრებაც ამის გამოა უფრო საინტერესო. ცხოვრება – ცოდნის გაცემა და მიღება, სწავლა და მასწავლებლობა...

> როდესაც გვსურს, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების დამოუკიდებელი შეფასებისთვის პირობები შევქმნათ და ორიენტირებული ვართ განმავითარებელ სწავლაში ტექსტის აქტიურ გამოყენებაზე, დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ გაკვეთილზე ტექსტურ ინფორმაციასთან მუშაობის სხვადასხვა ეტაპს.

როდესაც გვსურს, ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების დამოუკიდებელი შეფასებისთვის პირობები შევქმნათ და ორიენტირებული ვართ განმავითარებელ სწავლაში ტექსტის აქტიურ გამოყენებაზე, დიდი ყურადღება უნდა დავუთმოთ გაკვეთილზე ტექსტურ ინფორმაციასთან მუშაობის სხვადასხვა ეტაპს: ტექსტის შერჩევას, განზოგადებას, შეპირისპირებას, ძირითადი აზრის გამოყოფას და ავტორის პოზიციის განსაზღვრას, ინტერპრეტაციას და ინფორმაციის ტრანსფორმაციას. ინფორმაციის გარდაქმნაში მოიაზრება „საკუთარი ტექსტის შექმნაც", რომელიც გულისხმობს მოსწავლის მიერ საკუთარი შეხედულების ჩამოყალიბებას, პრობლემის საკუთარ ხედვას. ამ ყოველივეს საფუძველზე კი მოხდება ტექსტის საბოლოო „ათვისება" და მოსწავლეები ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების დამოუკიდებლად შეფასებასაც შეძლებენ.

ისტორიის გაკვეთილებზე, განმავითარებელი სწავლის ფარგლებში, ტექსტთან მუშაობის წარმატებას უზრუნველყოფს ორი ფაქტორი:

- მასწავლებლის მიერ გაკვეთილზე მოსწავლის საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შექმნილი პირობები;
- მოსწავლის რეალური საშუალება – დამოუკიდებლად შეიძინოს, აითვისოს ტექსტთან მუშაობის მიდგომები და „მიიღოს", „დაეთანხმოს" ტექსტთან მუშაობის ყველა პირობას: **ა)** გამოყოს ინფორმაცია, გაიაზროს და გარდაქმნას ის; **ბ)** შეადგინოს, ჩამოაყალიბოს საკუთარი აზრი იმ ინფორმაციის შესახებ, რომელიც მოცემულია ტექსტში; **გ)** მოიყვანოს შესაბამისი არგუმენტები და მტკიცებულებები.

მაგრამ რამდენად შესაძლებელია გაკვეთილზე ერთსა და იმავე დროს ცოდნის გადაცემაც და უნარების შეძენაც? ალბათ შესაძლებელია, თუ რეალურად გამოვიყენებთ მათ კონკრეტული მიმართულებით. მოსალოდნელი შედეგის წარმოდგენა შეიძლება კითხვარების სისტემის გამოყენებითაც, რომელზეც გაკვეთილის დაწყებამდე უნდა დაფიქრდეს მასწავლებელი:

- რა უნდა ასწავლოს მოსწავლეს კონკრეტულ გაკვეთილზე?
- რით გამოიხატება მისი ხელმძღვანელობა კონკრეტული დავალების შედგენის დროს?
- როგორი პირობები უზრუნველყოფს გაკვეთილზე მოსწავლეთა ეფექტურ მუშაობას?
- და სხვა.

ნებისმიერ სიტუაციაში პრობლემის დასმა და სასწავლო ამოცანის გადაწყვეტა მოსწავლეებისგან მოითხოვს ინფორმაციის ობიექტურ ანალიზს, რომელიც წარმატებით განხორციელდება:

1. ისტორიის გაკვეთილებზე ისტორიულ წყაროებზე მუშაობის გააქტიურებით;
2. სხვადასხვა სამეცნიერო შეხედულების გაცნობით (რომლებზე დაყრდნობითაც მოსწავლეებს შეეძლებათ ამა თუ იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკური პრობლემის შესახებ საკუთარი შეხედულების გამომუშავება), ისტორიული ინფორმაციის დამოუკიდებლად გააზრებით და ანალიტიკური აზროვნებით (მაგალითად, როდესაც მოსწავლეებს უნდა შევასწავლოთ რომის იმპერიის მიერ გალიის დაპყრობა, შეგვიძლია შევარჩიოთ ნარატიული მასალა ისტორიული თხზულებებიდან ან ისტორიული წყაროების ნაწყვეტები, გავაცნოთ სხვადასხვა პერიოდის ისტორიკოსების შეხედულებები აღნიშნულ საკითხებზე და ვავარჯიშოთ ისტორიული მოვლენების დამოუკიდებელ ანალიზზე. ცხადია, იგულისხმება სტანდარტის მოთხოვნების გათვალისწინება);
3. ასევე მნიშვნელოვანია ალგორითმის გამოყენება და საწყისი სიტუაციის წარმოდგენა. მაგალითად, როდესაც საუბარია რომის მიერ გალიის დაპყრობაზე, გაკვეთილის მსვლელობისას შეიძლება გამოვყოთ საწყისი წინააღმდეგობა: „შედარებით მცირერიცხოვანი რომაული არმია დაიპყრობს უზარმაზარ ქვეყანას, განა ეს გასაოცარი არ არის?!" – რასაც მოჰყვება გაკვეთილის სასწავლო ამოცანის ფორმულირება:

- როგორ მოახერხეს რომაელებმა გალიის დაპყრობა?
- ჩამოაყალიბეთ გალიაში რომაელების წარმატების რამდენიმე (სამი, ოთხი...) მნიშვნელოვანი მიზეზი;

და ა.შ.

კითხვაზე პასუხის გასაცემად მოსწავლეები დამოუკიდებლად გაეცნობიან სახელმძღვანელოს ინფორმაციას, მერე კი მიღებული შედეგების კონტროლისა და კორექციის დროც დადგება. პასუხებში მოსწავლეები აუცილებლად მოიხსენიებენ იულიუს კეისრის მხედართმთავრულ ნიჭს, ასევე - რომაელების სამხედრო აღჭურვილობას, გალების გათიშულობას, დაქუცმაცებულობას, გალი დიდებულების გადასვლას რომაელების მხარეზე და ა.შ.

განვიხილოთ გაკვეთილზე მოსწავლეთა შორის ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების დამოუკიდებელი შეფასებისთვის სათანადო პირობების შექმნის **კონკრეტული მაგალითი** „ძველი რომის“ მიხედვით და საწყისი სიტუაციის წარმოდგენით: „შედარებით მცირერიცხოვანი რომაული არმია დაიპყრობს უზარმაზარ ქვეყანას, რაც თავისთავად გასაოცარია. როგორ მოხდა ეს?“

საფეხური: საშუალო

გაკვეთილის ტიპი: ახალი მასალის ახსნის გაკვეთილი

თემა: ძველი რომი. ბრძოლა გალიისთვის

გაკვეთილის ორგანიზება: ჯგუფური მუშაობა

გაკვეთილის საგანმანათლებლო მიზანი: ისტორიულ წყაროებზე დამოუკიდებელი მუშაობის, ინფორმაციის ანალიზის, ლოგიკური აზროვნებისა და დასკვნების გამოტანის უნარის ფორმირება, საკომუნიკაციო უნარების გააქტიურება

სასწავლო ამოცანა: 1) განვიხილოთ რომის ისტორიის ძირითადი ეტაპები და იულიუს კეისრის ხელისუფლებაში მოსვლის მიზეზები; 2) დავახასიათოთ კეისრის დამპყრობლური პოლიტიკა გალიაში; 3) გამოვყოთ მისი მმართველობის ძირითადი ნიშნები; 4) შევისწავლოთ ძირითადი ცნებები და დავიმახსოვროთ თარიღები: *დიქტატორი, პართია, გალია, ალპები, რუბიკონი, ძვ.წ. 44 წელი, ბრუტუსი, ძვ.წ. 49 წელი* და ა.შ. 5) შევაფასოთ იულიუს კეისარი როგორც პოლიტიკური მოღვაწე.

გაკვეთილის მიმდინარეობა:

1-ლი აქტივობა: შესავალი მინილექცია

> მოსწავლეთა დამოუკიდებელი წარმოდგენების ფორმირებისთვის პირობების შესაქმნელად აუცილებელია, გამოვიყენოთ სასწავლო საქმიანობის მრავალფეროვანი ფორმები, ისეთი აქტივობები, რომლებიც დაინტერესებს მოსწავლეებს: გაკვეთილი-მოგზაურობა; გაკვეთილი-კონფერენცია; გაკვეთილი-გამოფენა.

მე-2 აქტივობა: დავალებები ჯგუფური მუშაობისთვის – ტექსტის „აღდგენა“ ცნებების დახმარებით და „საკუთარი“ ტექსტის შექმნა

I ჯგუფის ცნებები – არმია; სამხედრო; მაგრამ; მიაღწია; გადასახადები; არასაკმარისი ანაზღაურება; ხელისუფლება; მოწინააღმდეგე; მხედართმთავარი; გამარჯვება; კარასუსი; მტრები; ამის შემდეგ; გაიუსი; მჭევრმეტყველი; კეისარი; ყველგან; ცნობილი; ბრძოლა; სიმდიდრე; დიდება; ის იბრძოდა; მან შეძლო; სიყვარული; პომპეუსი; ორივე სარდალი; არჩევნები; არჩევა; იმედი ჰქონდა; მიზანი; გამოიყენებდა; სერიოზული მოწინააღმდეგე; რომაელი ღარიბები; კონსული; მომხრეები; მოწინააღმდეგეები და სხვ.

II ჯგუფის ცნებები – გალია; იყოფოდა ორად; დიდხანს; დაპყრობა; რომაელები; მათ ეკუთვნოდათ; არც ისე დიდი; მხოლოდ; ოლქი; კეისარმა გადაწყვიტა; დაპყრობა; ფართო; რომის; პროვინცია; ჯარისკაცები; დიდება; ოქრო; გადმოცემა; სიყვარული; რწმენა; კრასუსი; შური; სურვილი; გალია; აღმოსავლეთი; პართია; წინააღმდეგ; მოლაპარაკება; სიკვდილი; პომპეუსი; შიში; დაითანხმა; ბრძანა; სენატი; დაშალა; რომი; შეუიარაღებელი; უარი; „სამშობლოს მტერი“ და ა.შ.

III ჯგუფის ცნებები – სენატის გადაწყვეტილება; შეტყობინება; რუბიკონი; მდინარე; საჯარო გამოსვლა; „წილი ნაყარია“; შეკრება; პომპეუსი; ჯარი; გაქცევა; ბალკანეთის ნახევარკუნძული; პომპეუსის არმია დაიშალა, თავად პომპეუსი მალე დაიღუპა; ძვ. წ. 49 წელი; კართაგენი; დიქტატორი; სენატი; მთელი ცხოვრება; წოდება; ხელისუფლება; მმართველი; რომის მბრძანებლები; გამოსახულია მონეტებზე; კრასუსი; კეისარი; ოქრო; ტახტი; მოაგონებდა; კეისრის მკვლელობა; ძვ. წ. 44 წელი; მცველი; მეგობარი; შეთქმულები; დარტყმა; მახვილი; ბრუტუსი.

ჯგუფები ასრულებენ მითითებულ სამუშაოს.

მე-3 აქტივობა: ახალი მასალის განმტკიცება – „რა იყო მოცემული მოვლენების მიზეზები?“ (პასუხში ჩანს რომის იმდროინდელი პრობლემების ობიექტური და სუბიექტური მიზეზები); „რომელ წელს მოვიდა იულიუს კეისარი ხელისუფლების სათავეში?“; „რა წოდება მისცა სენატმა კეისარს?“ (პასუხები კონკრეტულია: ძვ. წ. 49 წ; დიქტატორი); „გამოთქვით მოსაზრება კეისრის მკვლელობის შესახებ – შესაძლებელი იყო თუ არა ამის თავიდან აცილება?“

მე-4 აქტივობა: **შედეგები** (სავარაუდო პასუხი: „ძვ. წ. I ს-ში რომის სახელმწიფოში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები; რომს აღარ მართავდა სახალხო კრება, მას მხოლოდ კეისარი მართავდა; სენატმა ფორმალური შინაარსი მიიღო; კეისრის პოლიტიკა ეწინააღმდეგებოდა მდიდარი რომაელებისა და სენატორების ინტერესებს, რომელთაც ამის გამო მოკლეს კიდეც იგი; მიუხედავად ამისა, კეისრის სამხედრო წარმატებების შედეგად რომის რესპუბლიკა ძველი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა“).

მე-5 აქტივობა: **საშინაო დავალება** – „სახელმძღვანელოზე დაყრდნობით შეადგინეთ მოცემული თემის კონსპექტი“.

ამგვარი დამოკიდებულებით ისტორიის მასწავლებელი შექმნის პირობებს მოსწავლეთა მიერ ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების დამოუკიდებელი შეფასებისთვის. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს ოპერაცია უნდა შესრულდეს თანდათანობით, მარტივით დაწყებული და უფრო რთულით დამთავრებული. თუ რომელიმე მოსწავლეს უკვე აქვს ამ ოპერაციების (ან რომელიმე მათგანის მაინც) შესრულების უნარი, მაშინ ინფორმაციასთან მუშაობა მისთვის შეიძენს ინტელექტუალურ-შემოქმედებით ხასიათს და ინფორმაციულ ნაკადში არ დაიბნევა, დანარჩენებისთვის კი ეს იქნება ამ უნარების პროვოცირებისა და ფორმირების კარგი მაგალითი, რაც შემდგომ საგაკვეთილო საქმიანობებში განმტკიცდება.

ქეთევან კობაღაძე

როგორ ვასწავლოთ

თავდაპირველად მინდა გამოვეხმაურო ყველა იმ ავტორს, რომელიც აფრთხილებს მშობლებს, რომ თუ ზედმიწევნით არ შეასრულეს მათი მითითებები, მეთოდი ვერ იმუშავებს. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ მინდა ვთქვა: რაც უნდა ცუდად ასწავლიდეთ შვილს, ეს მაინც აჯობებს საერთოდ არაფრის სწავლებას.

ახლა, მოდი, განვიხილოთ, რა უნდა გვახსოვდეს თავად ბავშვის შესახებ, მერე კი გადავიდეთ საკითხზე „როგორ ვასწავლოთ“.

1. რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით მეტი ინფორმაციის ათვისება შეუძლია;
2. ხუთ წელზე ნაკლები ასაკის ბავშვს შეუძლია, ძალიან სწრაფად აღიქვას ესა თუ ის ინფორმაცია;
3. რაც უფრო მეტ ინფორმაციას ითვისებს პატარა, მით უფრო მეტი რჩება მის მეხსიერებას;
4. ხუთ წელზე ნაკლები ასაკის ბავშვს შემეცნების დიდი წყურვილი აქვს;
5. მას შეუძლია ყველაფრის სწავლა, თუ სწავლის პროცესს წარმართავთ გულწრფელად, ხალისით და, რაც მთავარია, ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით;
6. ყველა ბავშვი ლინგვისტური უნარების მქონე პატარა გენიოსია, რომელსაც შეუძლია ისწავლოს იმდენი უცხო ენა, რამდენის სწავლებასაც შეძლებთ.

ინტელექტუალური განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა კითხვა. კითხვა – ეს ადამიანის თავის ტვინის უმაღლესი ფუნქციაა. დედამიწაზე მცხოვრები ყველა ცოცხალი არსებიდან კითხვა მხოლოდ ადამიანს შეუძლია. გარდა ამისა, კითხვის უნარზეა დაფუძნებული ადამიანის მთელი შემდგომი განათლება.

ადამიანის ინტელექტი ეფუძნება ცოდნას, რომლის გარეშეც მისი არსებობა შეუძლებელია. ჩვენ მიერ შემუშავებული სწორი სწავლების პრინციპები გამოსადეგია კითხვის, მათემატიკისა და თქვენ მიერ არჩეული ნებისმიერი საგნის სასწავლებლად. თითოეული ჩვენგანი საკუთარი განათლების პროდუქტია, ამიტომ შვილების სწავლებისას ძალაუნებურად ვუშვებთ შეცდომებს და ვაიძულებთ აკეთონ ის, რისი კეთებაც ბავშვობაში თავადაც გვძულდა.

ნებისმიერ მშობელს ემახსოვრება მასწავლებლის წითელი კალამი, რომლითაც ის შეცდომებზე მიგვითითებდა და პრაქტიკულად ისე გამოდიოდა, რომ მართებულ პასუხებს არად დაგიდევდათ, ამიტომ თუ გინდათ, შვილის სწავლებისას შედეგს მიაღწიოთ, დაივიწყეთ ყველაფერი, რაც თავად გადაგხდათ თავს სწავლის პროცესში.

რა ასაკიდან დავიწყოთ სწავლება?

პასუხი მარტივია: დაბადებისთანავე. ჩვენ ხომ ვესაუბრებით ახალშობილს? ეს კი ავითარებს მისი სმენის აპარატს. ბავშვისთვის ინფორმაციის ვიზუალური ფორმით მიწოდებაც შეგვიძლია, რისთვისაც შესაბამის ბარათებს გამოვიყენებთ. ამით მას მხედველობით შეგრძნებებს განვუვითარებთ.

სწავლების პროცესში მნიშვნელოვანია ორი რამ:

- მშობლის ურთიერთობა და დამოკიდებულება;
- სასწავლო მასალის მოცულობა და მისი მიწოდების რიგითობა.

მშობლის ურთიერთობა და დამოკიდებულება. თუ ნამდვილად გსურთ, ასწავლოთ შვილს, დაიწყეთ ახლავე. გამორთეთ ტელეფონი და კარზე დაკიდეთ წარწერა: „კვალიფიციური დედა მუშაობს – გთხოვთ, არ შეაწუხოთ!“

ის დაბადებისთანავეა ჩადებული.

არსებობს უსაფრთხოების კანონი, რომელიც მუდამ უნდა ახსოვდეს ყველა მშობელს. *„თუ თქვენ ან თქვენს შვილს არ გაინტერესებთ სწავლის პროცესი, შეწყვიტეთ მეცადინეობა“* – სავარაუდოდ, თქვენ მას არასწორად წარმართავთ. უპირველეს ყოვლისა, დაისვენეთ და გაიხსენეთ, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ თამაშია, რომელშიც წაგებული არ უნდა არსებობდეს.

გენელია. მშობელმა უნდა აღჭურვოს შვილი ზუსტი, მკაფიო, არაორაზროვანი ინფორმაციით და ბავშვი ნამდვილად შეძლებს მის ათვისებას.

ყოველთვის უთხარით ბავშვს სიმართლე. ბავშვები დარწმუნებულნი არიან, რომ ის, რასაც მშობლები ეუბნებიან, სრული სიმართლეა. ნუ მისცემთ შვილს საბაბს, ეჭვი შეეპაროს თქვენს სიმართლეში და ნურც სხვებს მისცემთ ამის უფლებას. თუ პატარას მოტყუებას დაიწყებთ, შესაძლოა, მისი სიყვარული

არსებობს უსაფრთხოების კანონი, რომელიც მუდამ უნდა ახსოვდეს ყველა მშობელს. „თუ თქვენ ან თქვენს შვილს არ გაინტერესებთ სწავლის პროცესი, შეწყვიტეთ მეცადინეობა“ – სავარაუდოდ, თქვენ მას არასწორად წარმართავთ. უპირველეს ყოვლისა, დაისვენეთ და გაიხსენეთ, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ თამაშია, რომელშიც წაგებული არ უნდა არსებობდეს.

შემეცნება ცხოვრების უდიდესი თავგადასავალი და ყველაზე საინტერესო განმავითარებელი თამაშია, ამიტომ უმთავრესია, გვახსოვდეს: „სწავლების პროცესისგან სიამოვნება უნდა მიიღონ როგორც მშობლებმა, ასევე ბავშვებმაც“. მშობლებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ შემეცნება არ არის რუტინული სამუშაო. ის პრივილეგიაა და არა სასჯელი. თავად ბავშვებში

პატივისცემა და ნდობა. შვილები მშობლებს სავსებით ენდობიან. ასევე უნდა იქცეოდნენ მშობლებიც. ბავშვები კარგად გრძნობენ მშობლის დამოკიდებულებას. ჩვენ გვჯერა, რომ ბავშვებს ცოდნის მიღების ყველაზე დიდი სურვილი აქვთ, ამიტომ მშობლებმა მათ ეს შესაძლებლობა უნდა მისცენ. ურთიერთნდობის გარეშე სწავლების პროცესი წარმოუდ-

შეინარჩუნოთ, მაგრამ პატივისცემას დაკარგავთ.

როდესაც ბავშვი კითხვას გისვამთ, უპასუხეთ გულწრფელად. ამ შემთხვევაში ის დაასკვნის, რომ ყველაფერი იცით და ულევ ინფორმაციას ფლობთ. როდესაც ბავშვი უფროსს ენდობა, ის უამრავ ორიგინალურ და რთულ კითხვას სვამს. თუ იცით პასუხი, დაუყოვნებლივ უპა-

სუხეთ, თუ არა, გულწრფელად უთხარით ეს, მაგრამ მერე აუცილებლად მოიძიეთ ინფორმაცია და ესაუბრეთ ამაზე.

თამამად გამოხატეთ საკუთარი მოსაზრება, რადგან ბავშვს სურს მისი ცოდნა. არასოდეს დაივიწყოთ, რომ პატარას მხოლოდ ინფორმაციას კი არ აწვდით, არამედ იმასაც ასწავლით, როგორ ასწავლოს მომავალში საკუთარ შვილებს.

საუკეთესო დრო სწავლებისათვის. არასოდეს დაუწყოთ შვილს რამის სწავლება, თუ ის ან თავად თქვენ რაიმე მიზეზით თავს უბედურად გრძნობთ ან თუ ბავშვი გაღიზიანებულია, მშიერია, დაღლილია. ასეთ დღეებში სასურველია, სწავლება რამდენიმე ხნით გადადოთ და შესაფერის მომენტს დაელოდოთ.

შესაფერისი გარემო. იმისთვის, რომ სწავლის პროცესში ბავშვის ყურადღება არაფერმა მიიქციოს, სასურველია, შექმნათ გარემო, რომელიც თავისუფალი იქნება ყოველგვარი გამღიზიანებლისგან.

მეცადინეობის ოპტიმალური ხანგრძლივობა. მცირე ასაკის ბავშვების მეცადინეობა ძალიან ცოტა ხანს უნდა გაგრძელდეს. ვფიქრობთ, გამოცდილი მშობლები თავად მიხვდებიან, როდის არის სასურველი მეცადინეობის შეწყვეტა.

გახსოვდეთ, რომ თქვენ ხართ მასწავლებელი და არა ბავშვი, ამიტომ არ მისცეთ მას უფლება, შეცვალოს თქვენ მიერ დადგენილი პროგრამა და რიტმი. მართალია, პატარა მსოფლიოში საუკეთესო მოსწავლეა; სამაგიეროდ, თქვენ მსოფლიოში საუკეთესო მასწავლებელი ხართ. თუ მოახერხებთ და ყოველთვის იმაზე ადრე შეწყვეტთ მეცადინეობას, ვიდრე ბავშვი მოითხოვს, მას უფრო მეტად გაუძლიერებთ სწავლისადმი თანდაყოლილ ლტოლვას.

სწავლების ხერხი და მანერა. რის სწავლებასაც უნდა ცდილობდეთ კონკრეტულ მიკროგაკვეთილზე, გახსოვდეთ, რომ ენთუზიაზმი ყველაფრის გასაღებია. არ გაურთულოთ ცხოვრება საკუთარ შვილს. ესაუბრეთ მას ხმამაღლა, მკაფიოდ და მხიარულად. ამ დროს ისინი საშრობივით ისრუტავენ თქვენს ინფორმაციას. ბავშვებს უყვართ, როდესაც სწავლება მიმდინარეობს საკმაოდ სწრაფად, ამიტომ სადემონსტრაციო მასალაც სწრაფად უნდა აჩვენოთ.

უფროსებისაგან განსხვავებით, ბავშვები სულაც არ თვლიან, რომ შემეცნების პროცესი მძიმე და აუტანელია. წარმატების მისაღწევად საჭიროა სწრაფი მოქმედება, რადგან სისწრაფე სიამოვნებას ანიჭებს პატარას, ხოლო შენელება კლავს ბავშვის თანდაყოლილი შემეცნების უნარს. სასწავლო მასალა უნდა იყოს მკაფიო და ნათელი. ბავშვებისათვის სულაც არ არის აუცილებელი რაღაცის დიდხანს თვალიერება - ისინი ყველაფერს სწრაფად ისრუტავენ. სწავლების პროცესში შესაძლოა ენთუზიაზმი ჩაგიქრეთ, ქმედებებში – ავტომატიზმი, ხმაში კი სიუხეშე შეგეპაროთ. როგორც კი მსგავს რამეს შეამჩნევთ, სასწრაფოდ ეცადეთ მის გამოსწორებას, ეს თქვენი პატარისათვის ძალზე მნიშვნელოვანია.

ახალი მასალის ათვისება. ახლა მინდა ვისაუბრო იმაზე, რომ ბავშვები სხვადასხვა სისწრაფით ითვისებენ კითხვას, თვლას და ა.შ. მშობელი იმისთვისაც უნდა იყოს მზად, რომ სწავლების პროცესში ბავშვი იქნება წამყვანი და არა თვითონ. ზოგჯერ შესაძლოა გაგაოცოთ შვილის შემეცნებითმა „შიმშილმა“ და ათვისების სისწ-

> ინტელექტუალური განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროა კითხვა. კითხვა – ეს ადამიანის თავის ტვინის უმაღლესი ფუნქციაა. დედამიწაზე მცხოვრები ყველა ცოცხალი არსებიდან კითხვა მხოლოდ ადამიანს შეუძლია. გარდა ამისა, კითხვის უნარზეა დაფუძნებული ადამიანის მთელი შემდგომი განათლება.

რაფემ. ახალი ინფორმაცია – სწორედ ეს არის ყოველი პროგრამის არსი, როდესაც ბავშვის ადრეულ განვითარებაზეა საუბარი. მასზეა დამოკიდებული წარმატება. როდესაც ახალი ინფორმაცია ბევრია, თქვენ და თქვენი შვილი თავს ისე კარგად იგრძნობთ, რომ ვერც კი მიხვდებით, როგორ გავა დრო. ბავშვის პირადი სამყარო მუდამ გაფართოვდება – ესაა მისი ცხოვრების ყოველი დღის მიზანი.

ჩვენ ისეთ სასწავლო გარემოში აღვიზარდეთ, სადაც ფაქტების 100%-ით დამახსოვრებას გვთხოვდნენ. ამისთვის საჭირო იყო მუდმივი გამეორება, რის შედეგადაც ყოველგვარ ინტერესს ვკარგავდით როგორც თავად ფაქტების, ასევე სწავლის მიმართაც. საბედნიეროდ, არსებობს განსხვავებული მეთოდიც, რომლის მიხედვითაც ბავშვს ვაწვდით გაცილებით მეტ ფაქტს და არ ვაიძულებთ მათ სრულყოფილად დამახსოვრებას. ნაცვლად ამისა, ვუღვივებთ თანდაყოლილ ცნობისმოყვარეობას. სწორედ ესაა პატარა ბავშვების სწავლების საიდუმლო.

აქვე მინდა გაგაფრთხილოთ, რომ ყოველთვის მზად უნდა იყოთ მიდგომის შესაცვლელად. ბავშვები ხომ განუწყვეტლივ იზრდებიან. როდესაც ბავშვს პირველად შევამჩნევთ, რომ რაღაც ისეთს აკეთებს, რაც მანამდე არასდროს გაუკეთებია, ვხვდებით, რომ პატარა უკვე რაღაცნაირად განსხვავებულად უყურებს სამყაროს. როცა თქვენ აითვისებთ სწავლებისადმი ახალ მიდგომას, მიხვდებით, რომ თქვენს პატარას უკვე რაღაც განსხვავებული სურს. უფროსებს კარგად გაკვალული გზებით სიარული უყვართ, პატარები ყოველთვის სიახლეებისკენ მიილტვიან.

ორგანიზებულობა და თანამიმდევრულობა. სწავლების დაწყებამდე საჭიროა საკუთრი ქცევისა და სასწავლო მასალის თანამიმდევრულობის კონტროლი. ეს დაგეხმარებათ, მეტი სიამოვნება მიიღოთ სწავლებისაგან. იმისათვის, რომ თქვენ მიერ დასახულმა სწავლების გეგმამ სარგებლობა მოიტანოს, კარგი იქნება საშუალო ინტენსივობის პროგრამის შერჩევა. თუ რაიმე ობიექტური მიზეზის გამო მეცადინეობის შეჩერება მოგიხდათ და მოგვიანებით მოახერხეთ მისი გაგრძელება, სწავლება ზუსტად იმავე ადგილიდან უნდა განაახლოთ.

ტესტირება. ნუ შეამოწმებთ თქვენი შვილების წარმატებას. ბავშვებს უყვართ შემეცნების პროცესი, მაგრამ არ უყვართ, როდესაც ამოწმებენ. ტესტირება დიდ სტრესთან არის დაკავშირებული. რაც უფრო ხშირად შეამოწმებთ ბავშვს, მით უარესად ისწავლის ის. რა არის ტესტი? ეს არის მცდელობა, გაიგოთ, რა არ იცის თქვენმა შვილმა. ფაქტობრივად, ეს ბავშვის მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულების გამომჟღავნებაა: ის ხვდება – არ გჯერათ, რომ იცის, სანამ ამას არ დაგიმტკიცებთ. ნუ დაუწყებთ შემოწმებას ბავშვს და ნურც სხვებს შეამოწმებინებთ მის ცოდნას. ტესტირების ნაცვლად გამოიყენეთ უნარების გამოვლენის მეთოდი, რომლის მიზანია, ბავშვს მივცეთ შესაძლებლობა, საკუთრი ცოდნის დემონსტრირება მოახდინოს, ოღონდ მხოლოდ სურვილის შემთხვევაში.

სასწავლო მასალის მომზადება. ბავშვის სწავლებისათვის განკუთვნილი მასალები ძალიან მარტივია. ისინი იმ სპეციალისტებმა შექმნეს, რომლებიც ბავშვის ტვინის განვითარების საკითხებს სწავლობენ. მასალა უნდა იყოს მარტივი, ადვილად გასაგები. ბავშვებს არ უყვართ განმეორება, განვლილ მასალასთან მიბრუნება, ის მათთვის მოსაწყენი ხდება. კიდევ ერთხელ გაგიმეორებთ: არასოდეს მიუბრუნდეთ განვლილ მასალას.

დასკვნის სახით ჩამოვაყალიბებთ ბავშვის ადრეული სწავლების ძირითად პრინციპებს:

- სწავლა დაიწყეთ რაც შეიძლება ადრეული ასაკიდან;
- ასწავლეთ სიამოვნებით;
- ენდეთ და პატივი ეცით საკუთრ შვილს;
- ასწავლეთ მხოლოდ მაშინ, როცა თქვენც და მასაც ამის სურვილი და განწყობა გექნებათ;
- შექმენით შესაფერისი სასწავლო გარემო;
- მანამდე შეწყვიტეთ მეცადინეობა, სანამ ბავშვი გთხოვთ ამას;
- ხშირად მიაწოდეთ ახალი მასალა;
- მთავარია, იყოთ თანამიმდევრული და მობილიზებული;
- არ შეუმოწმოთ ბავშვს ცოდნა;
- საგულდაგულოდ მოამზადეთ სასწავლო მასალა;
- გახსოვდეთ უსაფრთხოების ძირითადი წესი: თუ თქვენ ან თქვენს შვილს არ გაინტერესებთ, შეწყვიტეთ მეცადინეობა. სავარაუდოდ, რაღაცას არასწორად აკეთებთ.

მარიამ გოდუაძე

აზროვნება და განწყობა – ორი სინჯარის ეფექტი

ძველ ჩინეთში რომ გვეცხოვრა და იქაურ სკოლაში შესვლა მოგვესურვებინა, ზღურბლთან აუცილებლად მოგვაწვდიდნენ წყლით სავსე ორ სინჯარას და სითხის ერთიდან მეორეში გადასხმას მოგვთხოვდნენ. როგორ გადავასხამდით? რა დაგვჭირდებოდა ამ არცთუ რთული ამოცანის შესასრულებლად?

უპირველეს ყოვლისა, დაფიქრება და იმის გააზრება, რა ხერხით შევძლებდით პრობლემის გადაჭრას. ყველა მსგავს შემთხვევაში ჩვენს გონებაში მექანიკურად იწყება ინფორმაციის გადამუშავების პროცესი, რომლის მიზანია პრობლემის გადაჭრა, დასკვნების გამოტანა და გადაწყვეტილების მიღება. სწორედ ეს არის აზროვნება – შემეცნებითი ფსიქიკური პროცესი, რომელიც გონებაში მიმდინარეობს, მაგრამ რომლის შედეგიც ქცევაში ვლინდება. აზროვნებისას ვამყარებთ მიზეზშედეგობრივ კავშირებს და მიმართებებს გარე სამყაროს მოვლენებსა და ობიექტებს შორის, ვაზროვნებთ წინარე ცოდნის გამოყენებით და ამ დროს სიტუაციის შესაბამისადაც ვიქცევით.

ფსიქოლოგების თანახმად, აზროვნება თავს იჩენს მაშინ, როდესაც თვალსაჩინო ინფორმაცია ხარვეზიანი და არასრულია და ამ ხარვეზების აღმოფხვრაა საჭირო. სწორედ ამ ამოცანას ემსახურება აზროვნება, რომელიც მიმართებათა განცდისა და აღქმის შემდგომ შემეცნებით პროცესად გვევლინება და რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია გაგების მოთხოვნილება, რომელიც განპირობებულია რაიმე ამოცანასთან დაკავშირებული გაურკვევლობის შემცირების შინაგანი მოთხოვნილებით. ადამიანის აზროვნების ფსიქოლოგიისთვის ცენტრალური სწორედ ამოცანის გადაწყვეტის პრობლემაა. „ამოცანა“ ადამიანის აზროვნების ობიექტია და ეს ტერმინი ვიურცბურგის სკოლის წარმომადგენლებს შემოუტანიათ აზროვნების ფსიქოლოგიაში.

კითხვებზე: როგორ დავიჭიროთ კატა ბნელ ოთახში, მით უფრო - მაშინ, როდესაც ის იქ არ არის? ან როგორ გადავასხათ წყალი ერთი სინჯარიდან მეორეში, როდესაც ორივე სავსეა? – ყოველ ჩვენგანს როგორც სუბიექტს დასჭირდებოდა არა მხოლოდ პრობლემის გადაჭრა, არამედ თვით პრობლემის სტრუქტურის შეცვლა. ამ ტიპის ამოცანის ფსიქოლოგიური და ინფორმაციული სტურუქტურა ერთმანეთს არ ემთხვევა და არც შემეცნებითი პროცესი მიმდინარეობს ნეიტრალურად. ადამიანი მას განიცდის იმის მიხედვით, როგორ იგებს ამოცანას, რა დონის მიღწევის მოთხოვნილება აქვს, წარმატებით მიდის წინ თუ სხვადასხვა ტიპის, მაგ., ემოციურ, დაბრკოლებას აწყდება. ამდენად, აზროვნების თეორიაში უყურადღებოდ ვერ ტოვებენ მისი ემოციურ-მოტივაციური მხარის მნიშვნელობას. მით უმეტეს, რომ მთელი პროცესის ემოციური შეფასება განსაზღვრული ინდიკატორის როლს ასრულებს ამოცანის გადაწყვეტაში.

ლეონარდ ბლუმფილდი „ენის“ შესავალში ერთად მოსეირნე ჯეკისა და ჯილის შემთხვევას გვიყვება. ჯილის განწყობა ღობის მიღმა არსებული ვაშლების მიმართ ჯეკში ახალი ქმედების ბიძგს

ბადებს. ის ღობეზე ხტება და ჯილისთვის ვაშლს წყვეტს. ამგვარად, ჯილის მიერ თუნდაც ერთი შორისდებულით მიცემული სტიმული ჯეკისთვის ახალი რეაქციის საფუძველია და, იმავდროულად, სააზროვნო ამოცანის წარმატებით გადაწყვეტის იმგვარი გზა, რომელიც შემდგომ ახალ პოზიტიურ რეაქციებს, ქმედებებს დაუდებს სათავეს.

რამ განაპირობა ამ შემთხვევაში ამოცანის გადაჭრის წარმატება? ჯილის ადგილას ვინმე ნილი ან მაქსი რომ ყოფილიყო, იქნებ ჯეკს ვაშლებისთვის გულგრილად ჩაევლო. რატომ არის, რომ ერთნაირ პირობებში (ერთნაირი სიტუაცია, ცოდნის ერთი დონე და ა.შ.) ერთნი აგვარებენ პრობლემას, სწვდებიან გაურკვეველ მიმართებებს, მეორენი კი – ვერა? ან რატომ არის, რომ ერთი და იგივე პიროვნება ერთ შემთხვევაში წარმატებით ახერხებს პრობლემის გადაჭრას, სხვა შემთხვევაში კი იმავე სირთულის ამოცანის წინაშე უძლურია?

„ყოველთვის იკვეთება რაღაც, რაც აზროვნებას განაპირობებს და ბიძგს აძლევს. საზოგადოდ, მოწოდება აზროვნებისკენ, რომელიც არ უკავშირდება წონასწორობის დამრღვევ რაიმე პრობლემას, უაზრო და აბსურდული რჩევა იქნებოდა“, – ვკითხულობთ აზროვნების შესახებ ჯონ დიუის საეტაპო ნაშრომში (1909). აზროვნების ამ „ბიძგს“, მოტივს თუ საფუძველს ან იმ სუბიექტურ ფაქტორს, რომელიც პიროვნებას ამოცანის გადაწყვეტაში უშლის ხელს და აფერხებს ან, პირიქით, ბიძგს აძლევს მისი აზროვნების პროცესს, სხვაგვარად განწყობას უწოდებენ.

დიმიტრი უზნაძის განწყობის თეორიის თანახმად, განწყობა ისეთი არაცნობიერი ფსიქიკური ფენომენია, რომელიც წინ უსწრებს ცნობიერ ფსიქიკურ პროცესებს და მათი აღმოცენების პირობასაც წარმოადგენს. განწყობა სუბიექტის მზადყოფნაა, იმოქმედოს განსაზღვრული მიმართულებით, რომელსაც, ერთი მხრივ, სუბიექტის აქტუალური მოთხოვნილება, მეორე მხრივ კი სათანადო ობიექტური სიტუაცია ქმნის. შესაბამისად, განწყობა არის მიზანმიმართული ქცევის აღმოცენებისა და განხორციელების საფუძველი.

> იმისთვის, რომ სინამდვილის რაღაც მონაკვეთი აზროვნების საგნად გადაიქცეს, აუცილებელია ამ მონაკვეთის ობიექტივაცია. განწყობის თეორიის თანახმად, ობიექტივაციის აქტი აზროვნების ფსიქოლოგიური პირობაა.

აქტუალურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პროცესში ქცევისას შექმნილ დაბრკოლებას, შეჩერების მომენტს, რომელიც პიროვნებისგან პრაქტიკული დამოკიდებულების ნაცვლად შემეცნებითი დამოკიდებულების დამყარებას მოითხოვს, დ. უზნაძე ობიექტივაციის აქტს უწოდებს. ეს კი ისეთი შეჩერებაა, როდესაც ინდივიდი წყვეტს ქცევას და ცდილობს გაერკ-



> პედაგოგები, რომლებიც აზროვნებას განწყობასთან აკავშირებენ, ააქტიურებენ და სწორად წარმართავენ ამ შემეცნებით პროცესს და, იმავდროულად, მოსწავლეებსა თუ სტუდენტებს ანალიზის, სინთეზისა და შემოქმედების უნარებსაც უვითარებენ.

ვეს, რა უშლის ხელს მის განხორციელებაში, სად წარმოიშობა დაბრკოლება. ამრიგად, იმისთვის, რომ სინამდვილის რაღაც მონაკვეთი აზროვნების საგნად გადაიქცეს, აუცილებელია ამ მონაკვეთის ობიექტივაცია. განწყობის თეორიის თანახმად, ობიექტივაციის აქტი აზროვნების ფსიქოლოგიური პირობაა.

ამრიგად, ზემოთ ნახსენები სინჯარები, ვაშლები თუ კატები სუბიექტებისთვის ის ობიექტებია, რომლებიც კონკრეტულ განწყობებს ქმნიან და ამ განწყობებით ახალ ქმედებებს უდებენ სათავეს. „ყველაფერი, რასაც მასწავლებელი აკეთებს, ისევე როგორც მისი მოქმედების ინდივიდუალური მანერა, ბავშვს სტიმულს აძლევს ამა თუ იმ რეაქციისთვის, ხოლო თითოეული რეაქცია, თავის მხრივ, მას ამა თუ იმ განწყობას უღვიძებს. საგნის მიმართ სიმპათია თუ ანტიპათია ბავშვს იმისდა მიხედვით უჩნდება, რამდენად მოსწონს ან არ მოსწონს მასწავლებელი, თუმცა, ცხადია, ამას ვერ აცნობიერებს და საკუთარ განწყობას თავად საგნების სიყვარულითა თუ უსიყვარულობით ხსნის“, – ამგვარი დამოკიდებულება საფუძველს აძლევს ჯონ დიუის, დაგმოს ისეთი სასწავლო სივრცე, სადაც ენობრივი შეცდომები, ზერელე და მიფუჩეჩებული დასკვნები, სტანდარტული, არაორიგინალური პასუხებისა და მსგავსი მოვლენების უყურადღებოდ დატოვება ან უკომენტაროდ მიღება პირდაპირ უწყობს ხელს მავნე ტენდენციების გაღვივებასა და მუდმივ ჩვევებად მათ ჩამოყალიბებას, რადგან აქ არ არსებობს არავითარი განწყობა და აზროვნების მიზანმიმართული მიმდინარეობა დაბრკოლებულია.

აზროვნებაში განწყობის ეფექტი XX საუკუნის სხვა ფსიქოლოგებმაც აღიარეს. ლაჩინსის (1942), ნაიტის (1983) და მათ შემდგომ კვლევებში გამოყენებულია არაერთი სპეციალური ექსპერიმენტული ტექნიკა, მეთოდი თუ ამ მეთოდების მოდიფიცირებული ვარიანტები. ა. ლაჩინსის ცდაში ცდის პირს ეძლევა ჭურჭლის ტევადობის გასაზომი 10 საგანწყობო ამოცანა, რომელთა გადაჭრა ერთი ხერხითაა შესაძლებელი (B-A-2C). პირველი საგანწყობო ამოცანების შემდეგ ცდის პირებს ეძლევათ საკონტროლო ამოცანები. პირველი ორი ამოცანა კრიტიკულია, მათი გადაწყვეტა შეიძლება როგორც საგანწყობო ხერხით, ასევე უფრო მარტივადაც (A+C ან A-C). მესამე საკონტროლო ამოცანა ჩაქრობის ამოცანაა, მისი გადაწყვეტა მხოლოდ მარტივი გზითაა შესაძეელი (A-C). ბოლო ორი



ამოცანა ისევ კრიტიკულია, მათი გადაწყვეტა შეიძლება როგორც რთული, ისე მარტივი ხერხითაც. აღმოაჩინეს, რომ პირდაპირ საკონტროლო ამოცანების მიწოდებისას ცდის პირები მარტივი გზით წყვეტდნენ მათ; თუ საკონტროლო ამოცანებს საგანწყობო უძღვოდა წინ, ცდის პირები გადაწყვეტის რთულ ხერხს მიმართავდნენ; იმ ამოცანას კი, რომლის გადაწყვეტა მხოლოდ მარტივი გზით იყო შესაძლებელი, ცდის პირთა 3/4 საერთოდ ვერ წყვეტდა. ა. ლაჩინსი მიიჩნევს, რომ ეს არის „განწყობის ეფექტი". საგანწყობო ამოცანების ზეგავლენით სუბიექტი ვერ ახერხებს ამოცანის გადაწყვეტის ადეკვატური ხერხის პოვნას. შემდგომი ექსპერიმენტებით დადგინდა, რომ განწყობის ეფექტი მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული, კერძოდ, საგანწყობო ცდების რაოდენობაზე, იმაზე, რამდენი დრო აქვს პირს ამოცანის გადასაწყვეტად, შეჯიბრების სიტუაციაზე, პირის ასაკსა და სქესზე, მის შინაგან მდგომარეობაზე.

ტერმინ „განწყობის ეფექტს" ლაჩინსი სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებდა არა მხოლოდ სუბიექტის, არამედ სხვადასხვა ამოცანის შემთხვევაშიც. მის კვლევებში ყოველთვის ხაზგასმულია ის გარემოება, რომ განწყობის ეფექტი აფერხებს აზროვნების მიზანმიმართულ მიმდინარეობას, ხელს უშლის ამოცანის ადეკვატურ გადაჭრას[1].

პედაგოგები, რომლებიც აზროვნებას განწყობასთან აკავშირებენ, ააქტიურებენ და სწორად წარმართავენ ამ შემეცნებით პროცესს და, იმავდროულად, მოსწავლეებსა თუ სტუდენტებს ანალიზის, სინთეზისა და შემოქმედების უნარებსაც უვითარებენ. ედუარდ დე ბონოს „აზროვნების ექვსი ქუდი" არის მეთოდი, როგორ ისწავლო აზროვნების ცალკეული ასპექტებისთვის ყურადღების მიქცევა ისე, რომ ამ შემეცნებითმა პროცესმა სრულყოფილებას მიაღწიოს. ფერადი თუ მოძრავი სიმულაციები, ბგერითი და ტაქტილური სასწავლო ეფექტები, აღმოჩენის გზით სწავლება არასრული ჩამონათვალია იმ საშუალებებისა, რომლებიც ტექნოლოგიურ ერაში უნდა გამოვიყენოთ პედაგოგებმა მოსწავლეთათვის მასტიმულირებელი სასწავლო განწყობის შესაქმნელად. მით უმეტეს, რომ ეს ჯერ კიდევ საუკუნეების წინათ იყო შესაძლებელი წყლით სავსე სინჯარებით, სწავლის წინ ლოცვით თუ კარღია სამისნოებზე მკაფიო წანაწერებით: „სიბრძნე გავა".

მთავარია, ზღურბლთან მდგომი პატარა ჩინელივით ორიდან ერთი, ძველი სინჯარა აუცილებლად დავცალოთ და მასში ჯერ თვითონვე ჩავასხათ ახალი წყალი როგორც სიბრძნე, კეთილგანწყობა და განთლებით ნათელღება, რათა ვიაზროვნოთ და ვააზროვნოთ, განვეწყოთ და განვაწყოთ და მცირედით მაინც მივუახლოვდეთ შემოქმედების მარადიულ ენერგე(ნ)იას.

[1] დ. უზნაძის განწყობის სკოლაში აზროვნებას ექსპერიმენტულად ნ. ელიავა (1964) იკვლევდა. იგი ცდილობდა განწყობის თეორიის პოზიციიდან აზროვნების ფსიქოლოგიის ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემების ინტერპრეტაციას, როგორიცაა აზროვნების პროცესში გამოცდილების ჩართვა, გადანაცვლების პრობლემა, ამოცანის გადაწყვეტის პროცესი, წინათ განმტკიცებული განწყობის მოქმედება ახალ პირობებში და ა.შ (თამარ გაგოშიძის მიერ მომზადებული რიდერებიდან).

ინგა ღომაძე

თვითსწავლება

თვითსწავლება სწავლების მოწინავე ფორმაა. დამოუკიდებლად სწავლების წარმატებით ორგანიზებისთვის ტრადიციული ფორმების გამოყენება დაგჭირდებათ.

როგორ შეიძლება, ისწავლონ მოსწავლეებმა თქვენი მინიმალური მონაწილეობით? „მეთოდოლოგიური კომპლექსებით სწავლების", „დისტანციური სწავლების" და სასწავლო კომპიუტერული პროგრამებით სწავლების მეთოდების არსი ის გახლავთ, რომ მასწავლებლის საჭიროებას სასწავლო მასალა ჩაენაცვლება. მაგრამ თვითსწავლება (თს) რადიკალურად განსხვავებულ მიდგომას იყენებს: აქ არ არის არც მასწავლებელი, არც სპეციალურად შემუშავებული სასწავლო პროგრამა. მოსწავლეები თავად სწავლობენ და ერთმანეთს ასწავლიან. ეს სასწავლო-საინფორმაციო (სსტ) და საინფორმაციო-კომუნიკაციური ტექნოლოგიების (სკტ) გამოყენების საუკეთესო ვარიანტია.

თვითსწავლებისთვის, ჩვეულებრივ, ისეთ თემას არჩევენ, რომელიც მასწავლებელს არ უსწავლებია. ამასთან, ყოველთვის ფასდება თვითსწავლების შედეგები. მოსწავლეებს ეძლევათ დამოუკიდებელი სამუშაოების სერია, რაც გულისხმობს სწავლების შედეგებისადმი მზარდ პასუხისმგებლობას, სანამ ისინი დამოუკიდებლად მუშაობას არ ისწავლიან. პროცესის მსვლელობისას მათ ეხმარებიან დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევების გამომუშავებაში, მაგრამ არა კონკრეტული თემის ათვისებაში. დასაწყისისთვის მასწავლებელს შეუძლია მიუთითოს შესაფერისი ინფორმაციის წყაროები და აწარმოოს სამუშაოს მონიტორინგი, მაგრამ საბოლოო მიზანი სრული დამოუკიდებლობის მიღწევაა. მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ შესაბამისი სასწავლო რესურსების შერჩევა, საკუთარი ნაკლოვანებების აღმოჩენა და გამოსწორება, საკუთარი შრომის შედეგიანობის შეფასება მათივე დადგენილი სტანდარტებით.

თვითსწავლება ამცირებს ზედმეტად ვრცელი შინაარსის მოკლე ხანში გავლის აუცილებლობის უარყოფით ეფექტს. მისი გამოყენება რეკომენდებულია ნებისმიერი კურსის შესასწავლად. ეს მეთოდი იოლი გამოსაყენებელი არ არის, მაგრამ კარგად მუშაობს, თუ საკმაო ყურადღება დაეთმობა დავალების შემუშავებას, მონიტორინგსა და სამუშაოს შეფასებას. ასევე მნიშვნელოვანია დავალებების შერჩევა მოსწავლეთა შესაძლებლობების მიხედვით. თვითსწავლება საგანმანათლებლო და საორგანიზაციო უპირატესობების მდიდარი კომპლექსია, რომელსაც ქვემოთ განვიხილავთ.

თვითსწავლების გამოყენება

შეარჩიეთ თემა, რომელიც ფაქტებზეა ორიენტირებული, არ შეიცავს ურთიერთსაწინააღმდეგო მომენტებს და უზრუნველყოფილია საჭირო რესურსებით, ანუ ხელთ გვაქვს კარგი სახელმძღვანელოები, საიტები, ვიდეოფილმები. თემა ისე დაყავით ნაწილებად, რომ მოსწავლემ ისინი, მაგალითად, ორი-ოთხი კვირის განმავლობაში აითვისოს. სანამ დამოუკიდებელი სწავლებისთვის დავალების შერჩევას შეუდგებოდეთ, შეაფასეთ, რა სასწავლო რესურსები მოიპოვება კონკრეტული სამუშაოსთვის.

პედაგოგების ნაწილი დამოუკიდებელი სწავლებისთვის საჭირო მასალას კლასში

წარადგენს, რათა მოსწავლეები რთულ თემაზე მუშაობისთვის მოემზადონ. ამ შემთხვევაში რთული მასალის ათვისებისას მოსწავლეები დამოუკიდებლები არ არიან.

თვითსწავლებისთვის საჭირო თემის შერჩევა

ნებისმიერი თემის ასათვისებლად საჭირო დავალებათა კომპლექტი შეიძლება იყოს ინსტრუქციული და არაინსტრუქციული.

ინსტრუქციული დავალებები ითვალისწინებს პედაგოგის მიერ დეტალურად შემუშავებულ ეტაპებსა და კითხვარებს, რომლებსაც პასუხი უნდა გაეცეს მას შემდეგ, რაც მოსწავლეები გაეცნობიან სასწავლო ტექსტის მითითებულ გვერდებს. ისინი იღებენ მკაფიო ინსტრუქციებს იმის თაობაზე, რისი შესწავლაა აუცილებელი.

ნაკლებად ინსტრუქციული დავალებები ითვალისწინებს კონსპექტების შექმნას მასწავლებლის მიერ მიცემულ ლიტერატურაზე დაყრდნობით ან წაკითხულ ტექსტზე ორიენტირებულ კითხვებზე პასუხის გაცემას.

არაინსტრუქციული დავალებები ითვალისწინებს მოცემულ თემაზე კონსპექტის მომზადებას, როცა მოსწავლეები სასწავლო პროგრამაზე არიან ორიენტირებულნი.

რაც უფრო ინსტრუქციულია დავალება, მით უფრო ნაკლებია ალბათობა, მოსწავლეები სამუშაოს რომელიმე ეტაპზე შეფერხდნენ ან დავალების არასწორი ინტერპრეტირება მოახდინონ, ამიტომ დასაწყისისთვის სწორედ ასეთი დავალებების მიცემა ჯობს.

დავალების შესასრულებლად გამოყოფილი დრო და სირთულის ხარისხი

დამოუკიდებლად სწავლების მთავარი პრობლემა ის არის, რომ როცა მოსწავლე „იჭედება“, მას არავინ ეხმარება, ამიტომ დავალებები მეტ-ნაკლებად იოლი უნდა იყოს. ფაქტობრივი მასალის მოძიება, დამუშავება და შესწავლა იდეალური ვარიანტია.

თვითსწავლება ამცირებს ზედმეტად ვრცელი შინაარსის მოკლე ხანში გავლის აუცილებლობის უარყოფით ეფექტს. მისი გამოყენება რეკომენდებულია ნებისმიერი კურსის შესასწავლად. ეს მეთოდი იოლი გამოსაყენებელი არ არის, მაგრამ კარგად მუშაობს, თუ საკმაო ყურადღება დათმობა დავალების შემუშავებას, მონიტორინგსა და სამუშაოს შეფასებას.

დასაწყისისთვის შესთავაზეთ შედარებით მცირე დავალება, რომლის შესასრულებლად მოსწავლეებს ერთი-ორი კვირა დასჭირდებათ. ქვემოთ მოცემულია სამუშაოს შესრულების სახელმძღვანელო თანმიმდევრობა:

- შეადგინეთ და დაბეჭდეთ ჩანაწერები მიმოხილვისთვის, მათ შორის – „მეხსიერების რუკა“;
- მიღებული ჩანაწერები შეადარეთ, სულ ცოტა, ორი სხვა მოსწავლის ჩანაწერებს;
- ერთმანეთს ურჩიეთ, რა გზითაა შესაძლებელი კონსპექტების გაუმჯობესება, გაითვალისწინეთ ის რჩევები, რომლებიც სასარგებლო მოგეჩვენათ;
- შეამოწმეთ ერთმანეთი იმის გასარკვევად, რამდენად კარგად იმახსოვრებთ საკუთარი კონსპექტების შინაარსს.

მოსწავლეებს სწრაფად ბეზრდებათ დავალებები, რომლებიც მარტო უნდა შეასრულონ ან რომლებიც „წაიკითხე-დაწერე“ ტიპისაა. შეეცადეთ, გამოიყენოთ ქვემოთ აღწერილი ტიპის დავალებები როგორც უფრო სერიოზული დამოუკიდებელი სამუშაოს ნაწილი:

- მოცემულ თემაზე ან მის რომელიმე ასპექტზე პრეზენტაციის მომზადება და წარდგენა. კლასი ჯერ მთელ თემას ითვისებს, მერე კი მოსწავლეები 5 წუთის განმავლობაში სათითაოდ წარმოადგენენ თემის ერთ-ერთ ასპექტს. საპრეზენტაციო თემა მხოლოდ მას შემდეგ ცხადდება, რაც კლასი სრულად აითვისებს მასალას;
- თემასთან დაკავშირებული ადგილის, მაგალითად, მაღაზიის ან დასასვენებელი ცენტრის, დათვალიერება;
- სასწავლო ვიდეოფილმის ნახვა;
- სასწავლო კომპიუტერული პროგრამის გამოყენება;
- სახელმძღვანელოს მოცემული თავის წაკითხვა და მოკლე შინაარსის გადმოცემა კლასში განხილვის მოსამზადებლად;
- მოცემული დავალების წყვილებში ან ჯგუფურად განხილვა, საკუთარი და სხვისი მოსაზრებებისა და დასკვნების ჩაწერა, ამ ჩანაწერების საფუძველზე მნიშვნელოვანი საკითხების განსაზღვრა შემდგომი დისკუსიებისა და დებატების მოსამზადებლად.

დანომრეთ დავალებები და ისე დაალაგეთ, რომ მათ შორის მეტ-ნაკლებად რთული ბოლოში აღმოჩნდეს, რათა მოსწავლემ უფრო მარტივი დავალების შეუსრულებლობა არ გაამართლოს.

რა სახის დავალებაც უნდა მისცეთ, სამწუხარო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მოსწავლეებს უნდა მოსთხოვოთ მასალის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა და სთხოვოთ, წერილობით ანგარიშებში არ ჩაურთონ წიგნიდან ან ინტერნეტიდან ამონარიდები (გარდა ილუსტრაციებისა).

დავალების შედგენა უმჯობესია ისე, რომ მისი შესრულება სახელმძღვანელოში მოცემულ თანმიმდევრობას მიჰყვებოდეს. თვითსწავლების წარმატება თუ წარუმატებლობა კონკრეტული დავალების თავისებურებებზეა დამოკიდებული. დავალებები ადაპტირებული უნდა იყოს ყველა ჯგუფისთვის.

თვითშეფასება

თვითსწავლებისას არ ფასდება სამუშაო, რომელსაც მოსწავლეები ასრულებენ სასწავლო ამოცანების გადასაწყვეტად და მიზნის მისაღწევად. მხოლოდ სამუშაოს დასრულების შემდეგ ხდება შეფასება, რამდენად გაართვა ან ვერ გაართვა თავი მოსწავლემ მოცემულ ამოცანას. ხარისხის გასაკონტროლებლად ყველაფრის კონტროლი აუცილებელი არ არის.

მნიშვნელოვანია იმის გათავისება, რომ მოსწავლეები ვერ აითვისებენ თვითშეფასების

უმნიშვნელოვანეს უნარს, თუ თავად არ შეაფასეს საკუთარი ნამუშევარი. ამასთანავე, გირჩევთ, ჩაიწეროთ თვითშეფასებისთვის მათ მიერ შერჩეული მიდგომები. სასარგებლო კითხვა, რომელიც დავალების ბოლოს უნდა დაუსვათ, ასეთია: „როგორ მიხვდებით, რომ ტესტისათვის კარგად ხართ მომზადებული?“

რჩევები, რომლებიც თვითშეფასების პროცესში გამოგადგებათ:

- მოსწავლეებს თვითშეფასებისთვის შესთავაზეთ კითხვები, რომლებიც მათ საკუთარი პროგრესისა და იმის შეფასებაში დაეხმარება, გაიგეს თუ არა თემა. კითხვები – გასაგებად ფორმულირებული, საკმაოდ იოლი, არაფორმალური ენით დაწერილი, პასუხები კი ადვილად შესამოწმებელი უნდა იყოს. შეგიძლიათ მოსთხოვოთ მოსწავლეებს, გაჩვენონ, რომ დავალება შესრულებულია, მაგრამ არ გაუსწოროთ.
- მოსწავლეებს შესთავაზეთ „წაიკითხე-დახურე-ჩაიწერე-შეამოწმე“ ტიპის დავალება ან დავალება ურთიერთშეფასებაზე.
- გაეცით პასუხი კითხვებს; სთხოვეთ მოსწავლეებს, შეამოწმონ ერთმანეთი ან საკუთარი თავი.
- სამუშაოს დასრულების შემდეგ მიეცით მოსწავლეებს პასუხების ნიმუშები ან ამოხსნილი მაგალითები, რომლებსაც თვით- ან ურთიერთშეფასებისთვის გამოიყენებენ.
- სთხოვეთ მოსწავლეებს, ჩამოაყალიბონ და შეაფასონ თვითშეფასების საკუთარი სტრატეგია როგორც თვითსწავლების დავალების ნაწილი. კარგი იქნება, თუ მოსწავლეები წარმოადგენენ თვითშეფასების მაგალითებს. თვითსწავლება გამყარებული უნდა იყოს არა მხოლოდ კონსპექტებით, არამედ თვითშემოწმებისა და თვითშესწორების სამუშაო მაგალითებითაც.
- შესთავაზეთ მოსწავლეებს მასწავლებლის როლში ყოფნა, მაგალითად, დააკისრეთ პასუხისმგებლობა პარტნიორის წარმატებაზე ტესტის ან დავალების შესრულებისას.

თავდაპირველად მოსწავლეთა მიერ თვითშეფასებისთვის გამოყენებული მეთოდების მონიტორინგი აუცილებელია, მაგრამ თანდათან მოსწავლეებს სულ უფრო მეტი თავისუფლება უნდა მივცეთ. შედეგად ზოგი მათგანი იმედგაცრუებას იგრძნობს, მაგრამ ამის გამო უკან ნუ დაიხევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერასდროს ვერაფერს ისწავლიან.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი, რომელიც ხშირად ყურადღების მიღმა რჩება: მოსწავლეები ორიენტირებულნი არიან მხოლოდ იმაზე, რაც უნდა შეფასდეს, ამიტომ თუ აფასებთ კონსპექტს და არა თემის ათვისების ხარისხს, სუსტი მოსწავლეები კონსპექტის შექმნას უფრო მეტ ძალისხმევას დაახარჯავენ, რაც არასასურველია. როცა ფასდება მხოლოდ დასახული ამოცანების შესრულების ხარისხი, მოსწავლეებიც სწორედ ამაზე იქნებიან ორიენტირებულნი და მოსამზადებელ სამუშაოსაც ამოცანის შესრულების საშუალებად განიხილავენ. ეს მართებული მიდგომაა.

რესურსები

რესურსების ჩამონათვალი შეიძლება თავად მიცემული დავალების ტექსტში იყოს გაწერილი, თუმცა ეს ჯგუფის თავისებურებაზეა დამოკიდებული.

- ყუთში მოათავსეთ თქვენს ხელთ არსებული თემასთან დაკავშირებული ყველა რესურსი: წიგნები, ჟურნალები, საგაზეთო მასალა და სხვა. ამ ყველაფრის გამოყენება შეიძლება კლასში ან ბიბლიოთეკაში, მაგრამ სახლში წაღება არ შეიძლება. შეგიძლიათ სთხოვოთ მოსწავლეებს, შეავსონ ყუთში მოთავსებული მასალა – ამას, ჩვეულებრივ, სიამოვნებით აკეთებენ ხოლმე;
- ისეთი წიგნები, რომელთა მხოლოდ ერთი ეგზემპლარი გაქვთ, შეგიძლიათ ბიბლიოთეკის სტენდზე განათავსოთ;
- მოსწავლეებს მიაწოდეთ ინტერნეტში არსებული სასარგებლო მასალა და შესთავაზეთ მისი შევსება, მაგრამ წინასწარ შეამოწმეთ;
- მოსწავლეებს მიაწოდეთ ვიდეოფილმები, დისკები, სასწავლო-კომპიუტერული პროგრამები და ა.შ.;
- მიაწოდეთ თემის მოკლე რეზიუმე და დაავალეთ მისი განვრცობა.

რა თქმა უნდა, შეგიძლიათ, უბრალოდ მისცეთ საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი ან მოუნიშნოთ კონკრეტული გვერდები, მაგრამ ამის გაკეთებას არ გირჩევთ. თქვენი ამოცანაა, მოსწავლეებს საჭირო რესურსების მოძიების უნარ-ჩვევები განუვითაროთ. მოძიებული ლიტერატურის ჩამონათვალი შეიძლება შესრულებული სამუშაოს ანგარიშის ერთ-ერთ მოთხოვნად ჩაითვალოს. შეგიძლიათ, მოსწავლეებს შეაფასებინოთ რესურსების მოძიების თქვენეული უნარი და თქვენი და მათი ჩამონათვალი შეადარებინოთ.

თეა ურუშაძე

როგორ გავხადოთ დაუვიწყარი სადამრიგებლო კლასთან პირველი და ბოლო შეხვედრა

სადამრიგებლო კლასთან ურთიერთობა, მოსწავლეთა შესახებ ყველაფრის ცოდნა, ქცევის წესების ჩამოყალიბება ნებისმიერი დამრიგებლისთვის მნიშვნელოვანია. დამრიგებელზეა დამოკიდებული, როგორ წარმართავს სიტუაციას.

ყველას გვინდა, ზღაპრული ცხოვრებით ვიცხოვროთ; არ აქვს მნიშვნელობა, დიდები ვართ თუ პატარები – ვაქციოთ ჩვენი მოსწავლეები ზღაპრის პერსონაჟებად, ჩვენც ჩავერთოთ ამ თამაშში და ზღაპრის ერთ-ერთი პერსონაჟი განვასახიეროთ.

ვიზრუნოთ იმაზე, რომ ოთახში, სადაც კლასის საათი ტარდება, იყოს რამდენიმე დაფა. კლასის საჭიროებიდან გამომდინარე, ჩვენი ზღაპრის გმირები თვითონვე შევქმნათ. ეს გმირები შეიძლება იყვნენ:

1. დედა თაგვი, რომელსაც თავზე ეწერება ფრაზა: „მოდი, ერთად გავართვათ თავი ამ რთულ ამოცანას!“
2. დიდი წრუწუნა – „ვიცხოვროთ მეგობრულად!“
3. ტომი – „ჯერი, მოდი, ერთად გავართვათ თავი ამ რთულ ამოცანას!“
4. გმირი ჭოგრიტით.

ამ ტიპის პერსონაჟები შეგვეფერება ჩვენ, მასწავლებლებს – მოსწავლეებმა ჩვენი თანადგომა უნდა იგრძნონ.

როგორი უნდა იყოს ნახატები კლასის საათისთვის, რომელიც ემსახურება მოსწავლეების გაცნობას და მათი ინტერესების გაგებას?

მოსწავლეებს ვაჩვენოთ:

1. მოცეკვავე წრუწუნა;
2. იხვი დონალდი ფოტოაპარატით;
3. სპანჯბობი ფუნჯითა და პალიტრით;
4. მიკი მაუსი ბურთით;
5. მინი მაუსი ბურთით;
6. ჭადრაკის ფიგურებზე მეოცნებე პატრიკი;
7. ბარბი მიკროფონით;
8. ჩექმებიანი კატა მიკროფონით.

მთავარია, ამ ნახატებს ჰქონდეს ყველა ის მახასიათებელი, რაც მოსწავლის ინტერესს შეესაბამება.

დაფაზე ნახატები მაგნიტით ისე დავამაგროთ, რომ არ ჩანდეს. რომ არ აგვერიოს, ყველა დავნომროთ. დავიწყოთ იმ პერსონაჟებით, რომლებსაც ჩვენ განვასახიერებთ და ვიკითხოთ: „ვინ შეიძლება იყოს ეს?“ თუ მოსწავლეები ვერ გამოიცნობენ, მივანიშნოთ და მივახვედროთ.

დავიწყოთ იმ პერსონაჟების გადმობრუნება, რომლებიც ბავშვებს წარმოადგენენ. ჩავინიშნოთ, რომელთან გააიგივებენ თავს. წავახალისოთ, შევაქოთ კარგი გატაცებებისთვის, კლასგარეშე აქტიურობისთვის.

შედეგად გვეცოდინება, ვინ რითია დაკავებული და ბავშვებიც დადებითად განეწყობიან ჩვენ მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქმედება თითქოსდა არასერიოზულია, ვმართოთ სიტუაცია ისე, რომ ყველა მოსწავლემ თავი სერიოზულ გარემოში

იგრძნოს. სასურველია, ჩვენი ბოლო პერსონაჟი იყოს გმირი ბევრი წიგნით. ამით ბავშვებს საკუთარ სურვილს დავანახებთ.

მეორე კლასის საათი დავუთმოთ ქცევის წესების შემუშავებას და იმის გააზრებას, რა არის კარგი და რა – ცუდი.

დასაწყისი რომ ეფექტური გამოგვივიდეს, გავიხსენოთ ყოფილი მოსწავლეები, რომლებიც წარმატებულნი არიან, პროექტორით ვაჩვენოთ საინტერესო ადგილებში გადაღებული მათი ფოტოები; აღვნიშნოთ, თუ გვაქვს მათთან ურთიერთობა, გავაცნოთ მოსწავლეებს მათი აზრი კარგ საქციელზე, წიგნიერებაზე და ასე შემდეგ.

დავიწყოთ ზღაპრის პერსონაჟების შემოყვანა.

პირველი პერსონაჟი იყოს სამთავიანი გველეშაპი. ის შევუსაბამოთ წარმატებულ მოსწავლეებს და გამოვთქვათ სურვილი, რომ ბავშვები ასეთები გახდნენ (სამი თავი ნიშნავს მრავალმხრივ განათლებას).

ამის შემდეგ წინასწარ მომზადებული ნახატები დავყოთ კატეგორიებად. ეს კატეგორიებია:

1. რა არის ცუდი გაკვეთილზე?
2. რა არის ცუდი შესვენებაზე?
3. რა არის კარგი გაკვეთილზე?
4. რა არის კარგი შესვენებაზე?

ცუდი პერსონაჟები შეიძლება იყვნენ:

- მეოცნებე ბარბი ფრაზით: „რა ჩახლართულია ყველაფერი“!
- „აბა, დამაცადეს“ მგელი ფრაზით: „რა ჩახლართულია ყველაფერი!“
- წრუწუნა ბალიშით ანუ ძილზე ოცნება;
- ვარდისფერი დათუნია ფრაზით: „ამას რა დაითვლის, ჯობია, ცოტა წავუძინო“;
- პინოქიო ფრაზით: „სად არ დადიან ეს ჭიანჭველები!“ ანუ მოუსვენრობა;
- დონალდი ფრაზით: „ჩემი ტვინი ამას ვერ აიტანს!“
- ტომი და ჯერი ფრაზით: „ხან ესაო, ხან ისაო“ ანუ გადალაპარაკება;
- ციყვი ფრაზით: „რიცხვებს ციფრებით ვერ ვწერ და ამ სამკუთხედებით რა გავიგო!“
- პლუტო ფრაზით: „რა სასაცილო ამოცანაა!“
- არხეინად მყოფი გუფი ფრაზით: „ვაა, მგონი, ადვილია!“
- დონალდი ფრაზით: „ეჰ, ახლა ბურთი მომცა!“
- ჯერი ფრაზით: „მგონი, გამოვიცანი. უცოდინარ ტომის კი არ ვგავარ!“ ანუ დაცინვა.

კარგი პერსონაჟები შეიძლება იყვნენ:

- საყვარელი სპილუკა ფრაზით: „ნეტავი რა რიცხვია?“
- პლუტო ფრაზით: „უნდა დავფიქრდე“;
- გუფი ფრაზით: „დაფიქრებაა საჭირო“;
- მიკი მაუსი ფრაზით: „მაინც გამოვიცნობ!“
- რომელიმე ლამაზი გმირი კითხვის ნიშნებით თავზე;
- ტომი და ჯერი. ტომი უხსნის ჯერის რთულ საკითხებს (წყვილებში მუშაობის დროს).

ამჯერად ნახატები ხელში გვეჭიროს და ბავშვებს მივცეთ საშუალება, თავად გადაწყვიტონ, კარგია ეს თუ ცუდი. დაფა დაყოფილია 4 ნაწილად. ბავშვების გადაწყვეტილებით, ნახატებს სათანადო ადგილას ვამაგრებთ.

ბოლოს შევიმუშაოთ ქცევის წესები და თვალსაჩინო ადგილას გამოვაკრათ.

სკოლის დამთავრების დღეს შეგვიძლია მოსწავლეები ბავშვობაში დავაბრუნოთ. ამჯერად ჩვენი ნახატები რებუსებად უნდა ვაქციოთ. დავფიქრდეთ სახასიათო ნიშნებზე: ვინ იყო კლასის პაპარაცი? კლასის ბარბი, რომელიც საჭესთან პირველი დაჯდა? გოგონა ან ვაჟი – ყოველთვის მოწესრიგებული? პოეტი? მუსიკოსი? მოცეკვავე? მსახიობი? კლასის ხულიგანი? სპორტით გატაცებული? წიგნის ჭია? განსაკუთრებული იუმორის მქონე? მელომანი?

ნახატები დავნომროთ და დაფაზე მივამაგროთ.

ვიქონიოთ რამდენიმე დაფა. ერთ-ერთი საჭადრაკო დაფა უნდა იყოს, რომელზეც მივამაგრებთ წარმატებების, ექსკურსიების, კლასის ღონისძიებების, მნიშვნელოვანი მომენტების ამსახველ ფოტოსურათებს. იქვე მოვათავსოთ წარწერა: „ცხოვრება საჭადრაკო დაფაზე თამაშს ჰგავს - ხან მოიგებ, ხან წააგებ. გისურვებთ, ღირსეულად გააგრძელოთ თამაში“.

დავიწყოთ ზღაპრის მოყოლა. პირველ ფურცელზე, რომელსაც გადმოვაბრუნებთ, იქნება ტექსტი: „იყო და არა იყო რა, იყო ერთი ანცი და მოუსვენარი მეოთხე კლასი...“

ყველას გვინდა, ზღაპრული ცხოვრებით ვიცხოვროთ; არ აქვს მნიშვნელობა, დიდები ვართ თუ პატარები – ვაქციოთ ჩვენი მოსწავლეები ზღაპრის პერსონაჟებად, ჩვენც ჩავერთოთ ამ თამაშში და ზღაპრის ერთ-ერთი პერსონაჟი განვასახიერეთ.

ავუხსნათ მოსწავლეებს, რომ რებუსებად ქცეული ზღაპრის გმირების გამოცნობა ელით. ისინი შეიძლება იყვნენ:

1. მოცეკვავე წრუწუნა;
2. დონალდი ფოტოაპარატით;
3. სპანჯბობი ფუნჯით და პალიტრით;
4. მიკი მაუსი ბურთით;
5. მინი მაუსი ბურთით;
6. ჭადრაკის ფიგურებზე მეოცნებე პატრიკი;
7. ბარბი მიკროფონით;
8. ჩექმებიანი კატა მიკროფონით;
9. დავალებების შესასრულებლად მუდამ მზად მყოფი დონალდი (ანუ ვინმე მოწესრიგებული);
10. მგელი „აბა, დამაცადედან";
11. წრუწუნა ფრაზით: „დღეს საჭიდაოდ მივდივარ";
12. საყვარელი სპილუკა ფრაზით: „ნეტავი რა რიცხვია"?
13. პლუტო ფრაზით: „უნდა დავფიქრდე!"
14. გუფი ფრაზით: „დაფიქრებაა საჭირო"!
15. მიკი მაუსი ფრაზით: „მაინც გამოვიცნობ!"
16. ტომი და ჯერი. ტომი უხსნის ჯერის რთულ საკითხებს (რომელიმე ორი კარგი მეგობარი);
17. მძინარე წრუწუნა, რომელიც ძილშიც კი მუსიკოსობაზე ოცნებობს (მელომანი მოსწავლე)

და ასე შემდეგ.

> „არ არსებობს ორი ერთნაირი კლასი, ორი ერთნაირი მოსწავლე, ამიტომ შერჩეული გმირები მოსწავლეებს უნდა მოვარგოთ, უნდა ვიპოვოთ და დავინახოთ განსხვავებები. მთავარია, არავინ გამოგვრჩეს, არ დავივიწყოთ, რომ ეს მათი ბოლო დღეა მოსწავლის ამპლუაში.

მასწავლებლის გარეშე სასკოლო ცხოვრება წარმოუდგენელია, ამიტომ ჩავრთოთ მასწავლებლებიც და ვისაუბროთ მათ შესახებ. დავიწყოთ საკუთარი თავით.

აი, ჩვენი გმირის შესაძლო ვარიანტები:

1. დედა თაგვი ფრაზით: „მოდი, ერთად გავართვათ თავი ამ რთულ ამოცანას!“
2. დიდი წრუწუნა ფრაზით: „ვიცხოვროთ მეგობრულად!“
3. ტომი და ჯერი ფრაზით: „ჯერი, მოდი, ერთად გავართვათ თავი ამ რთულ ამოცანას!“
4. გმირი ჭოგრიტით.

მოსწავლეები მაშინვე ამოიცნობენ ჩვენს გმირს.

გამოვყოთ მასწავლებლების სამეული, რომელსაც შევუსაბამებთ ზღაპრის გმირებს, მაგალითად, გოჭუნებს ან კეთილ ფერიებს.

სამეული შეიძლება გამოვიყენოთ მოსწავლეების შემთხვევაშიც. შეგვიძლია, ისინი დავყოთ: მოცეკვავეთა, მეოცნებეთა, სისხლის გამშრობთა, პოეტთა, ლიტერატორთა, ინტელექტუალთა სამეულებად. ესეც ერთგვარი რებუსი იქნება.

ვიქონიოთ შავი ყუთი, რომელშიც მოვათავსებთ შავ სათვალეებს და სათამაშო თოფებს. დავსვათ კითხვა: „რა დევს შავ ყუთში?“ თუ აქ მოთავსებული ნივთები იდეურად შეესაბამება წარმატებულ მოსწავლეებს, პასუხები, სავარაუდოდ, ასეთი იქნება: წიგნი, რვეული, უბის წიგნაკი... გადმოვაბრუნოთ ჩვენი ზღაპრის ბოლოსწინა ფურცელი, რომელზეც გამოსახული იქნება შავსათვალიანი ძაღლუკა თოფით ხელში, თავზე ფრაზით: „ხომ დავბომბეთ საგანმანათლებლო სივრცე!“ ვთხოვოთ მოსწავლეებს იმავეს განსახიერება. ამ კადრს დავარქმევთ: „საგანმანათლებლო სისტემის „მაგარი“ ბიჭები და გოგონები“.

ბოლო ფურცელზე კი ეწერება: ,,ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა“.

არ არსებობს ორი ერთნაირი კლასი, ორი ერთნაირი მოსწავლე, ამიტომ შერჩეული გმირები მოსწავლეებს უნდა მოვარგოთ, უნდა ვიპოვოთ და დავინახოთ განსხვავებები. მთავარია, არავინ გამოგვრჩეს, არ დავივიწყოთ, რომ ეს მათი ბოლო დღეა მოსწავლის ამპლუაში. სასურველია, წარმოდგენაში სკოლის დირექტორიც ჩავრთოთ – ეს იქნება პერსონაჟი ხელში ტრაფარეტით: „მეამაყებით!“ ან „გილოცავთ!“

ირმა კახურაშვილი

SIMPLE – ფინური განათლების ხიბლი

> ფინეთში მშობლიურ და მასწავლებლურ უმეტესობას მიაჩნია, რომ მცირე ასაკის ბავშვმა თამაშს ბევრი დრო უნდა დაუთმოს. თამაში ხელს უწყობს ბავშვის სოციალურ, ემოციურ და ფიზიკურ განვითარებას. ბავშვების უმეტესობა სკოლაში შვიდი წლის ასაკში შეჰყავთ, მანამდე კი, თუ ის რამეს სწავლობს, მხოლოდ თამაშ-თამაშით.

რამდენიმე წლის განმავლობაში ფინეთში მცხოვრებმა ამერიკელმა მასწავლებელმა, ორი წიგნის: Lost in Finland და Teach Like Finland: 33 Simple Strategies for Joyful Classrooms – ავტორმა და ბლოგერმა ტიმ უოკერმა, დაადგინა, რატომ ხიბლავს მსოფლიოს ფინეთის განათლების სისტემა. პასუხი ამ კითხვაზე უფრო მარტივი აღმოჩნდა, ვიდრე ვინმეს წარმოედგინა.

„19 წლის რომ ვიყავი და ჩემს ფინელ შეყვარებულს ჯერ კიდევ არ ჰქონდა ჩემი ცოლის სტატუსი, ჰელსინკიში ჩავედი და მის ნათესავებს ვესტუმრე. პოტენციურმა სიდედრმა ეგრევე მკითხა: „რა მოგწონთ ყველაზე მეტად ფინეთში?“ დიდხანს არ მიფიქრია, ვუპასუხე, რომ ქვეყნის სიმარტივე მომწონდა. ის მოიღუშა. როგორც ჩანს, ასეთმა განმარტებამ გაანაწყენა, მაგრამ დავარწმუნე, რომ მისი სამშობლოსადმი კრიტიკულად განწყობილი სულაც არ ვიყავი. ფინეთი ჩრდილოეთის ქვეყანაა. ამიტომ ავუხსენი, რომ ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საუნებისა და საზაფხულო აგარაკების რაოდენობამ, ახალბედა მშობლებისთვის აუცილებელი ნივთების სასაჩუქრე კომპლექტმა და ტყე-ველზე თავისუფლად გადაადგილების შეუზღუდავმა შესაძლებლობამ. ფინეთი ქვეყანაა, სადაც ადამიანებმა იციან, როგორ უნდა იცხოვრონ უბრალოდ და კარგად.

2013 წელს ბოსტონიდან ფინეთში გადმოვბარგდი. მაშინ ფინურ სკოლებზე არაჩვეულებრივ შეფასებებს ვისმენდი და მეგონა, ამ ქვეყანას და მის წარმატებულ მოსწავლეებს საერთაშორისო აღიარება ძვირად ღირებულმა სასწავლო აღჭურვილობამ და სწავლების უახლესი მეთოდების დანერგვამ მოუტანა, მაგრამ როგორც კი ჰელსინკიში დაწყებითი სკოლის მასწავლებლად დავინიშნე, ეს მცდარი წარმოდგენა გამიქარწყლდა.

გავიდა დრო და ფინური განათლების სისტემის აღწერისთვის ექვსასოიანი აკრონიმი შევადგინე – SIMPLE (უბრალო). ის ასე იშიფრება: **Sensible (გონივრული), Independent (დამოუკიდებელი), Modest (მოკრძალებული), Playful (მხიარული, თამაშ-თამაშით), Low-stress (ნაკლებსტრესული), Equitable (თანასწორუფლებიანი).**

SENSIBLE (გონივრული) – ფინეთში მოსწავლეთა წარმატება საბაზისო მეთოდების წყებით მიიღწევა. მაგალითად: სასკოლო დღის განმავლობაში ყოველი 45 წუთის შემდეგ მოსწავლეები 15 წუთს ისვენებენ. მრავალი კვლევა ცხადყოფს, რომ ხანგრძლივი დასვენება სკოლაში ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურობას გაკვეთილის მსვლელობისას.

ფინეთი ქვეყანაა, სადაც მოსწავლეებს, განურჩევლად მათი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსისა, უფასო და ნოყიერ სადილს აჭმევენ. ასევე უფასოა სკოლაში დაგეგმილი კლასგარეშე აქტივობები: ექსკურსიები, მუზეუმებში სტუმრობა და სხვა. უფასოა სახელმძღვანელოები, საკანცელარიო მასალა, ნოუთბუქები და პლანშეტები. საჭიროების შემთხვევაში ბავშვებს უფასოდ ემსახურება სკოლის ავტობუსი.

ფინური სკოლების 90% ჩართულია ეფექტიან პროგრამაში (KiVa), რომელიც ხულიგნობისა და თანატოლებისადმი სასტიკი მოპყრობის წინააღმდეგაა მიმართული. საქმე ის არის, რომ სკოლის მასწავლებლები ბავშვების კონფლიქტებში ნაკლებად ერევიან და ცდილობენ, ყველა მხარემ პრობლემა საუბრით მოაგვაროს. საკუთარი თავის სიტყვიერად დაცვას ბავშვები სკოლაში სწავლობენ. ფინეთში ბავშვებზე არ ამბობენ: „სულელია, დებილია, იდიოტია, არაფერი ესმის". აგრესიულ ბავშვზეც კი არავინ იტყვის, რომ ის აგრესიულია, იტყვიან, რომ ის „ზედმეტად აქტიური ან მოჩხუბარია".

ფინეთის სკოლების 70% ნაციონალურ ინიციატივაში – „მოძრავ სკოლაშია" ჩართული. პროგრამა ბავშვთა ფიზიკური აქტივობის გაზრდას ემსახურება.

ბავშვები უფროსების მეთვალყურეობის გარეშე დადიან ქალაქში. სკოლაშიც მასწავლებელი არავის დაჰყვება ფეხდაფეხ. მოსწავლეები თვითონ ჩადიან და სადილობენ სასადილოში. სკოლიდანაც მარტოები ბრუნდებიან შინ. ასეთი რამ ჩემს ქვეყანაში არ ხდებოდა. ფინურ სკოლებში მასწავლებლები მოსწავლეებს ბევრ თავისუფლებას აძლევენ. მასწავლებელს შეუძლია, ბავშვს პროექტის შესრულება დაავალოს, მაგრამ ჩაბარების ზუსტი ვადა არ მისცეს. დედლაინს არ აქვს მნიშვნელობა. სწავლების ასეთი პრაქტიკა არა მხოლოდ ადგება შემოქმედებით პროცესს, არამედ ბავშვს კრიტიკული აზროვნების უნარსაც უვითარებს.

INDEPENDENT (დამოუკიდებელი) – ჰელსინკიში ახალი გადასული ვიყავი, როდესაც რამდენიმე ფაქტმა გამაოგნა. მცირე ასაკის ფინეთის სკოლის სისტემა განთქმულია იმით, რომ მასწავლებელს როგორც პროფესიონალს უსაზღვროდ ენდობიან. კლასებში მასწავლებლე-

ფინეთი არის ქვეყანა, სადაც მოსწავლეებს, მათი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მიუხედავად, უფასო და ნოყიერ საჭმელს აჭმევენ. ასევე, უფასოა სკოლაში დაგეგმილი კლასგარეშე აქტივობები: ექსკურსიები, მუზეუმებში სტუმრობა და სხვა. უფასოა სახელმძღვანელოები, საკანცელარიო მასალა, ნოუთბუქები და პლანშეტები. საჭიროების შემთხვევაში, ბავშვებს უფასოდ ემსახურება სკოლის ავტობუსი.

ბიც არ არიან რამით შეზღუდულები. ეს მათთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია და ერთ-ერთი მიზეზია საიმისოდ, რომ პროფესიაში დიდხანს დარჩნენ.

ბავშვის დამოუკიდებლობის საკითხი დღის წესრიგში სკოლამდე დგება. ის მარტო სეირნობს ეზოში, ცდილობს, თვითონ ჩაიცვას ტანსაცმელი. მოზარდ ასაკში, რასაკვირველია, დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული რისკფაქტორები და „აკრძალული ხილის" დაგემოვნების სურვილი იზრდება, მაგრამ უფროსი თაობა ამის მოგვარებას დაშინებითა და ჩხუბით კი არა, საუბრით, ახსნა-განმარტებით ცდილობს. ალკოჰოლის, თამბაქოს, ნარკოტიკების ბავშვებისთვის შეთავაზება კანონით იკრძალება.

მშობლებს მიაჩნიათ, რომ სკოლამ ბავშვს დამოუკიდებლად ცხოვრება უნდა ასწავლოს. დამოუკიდებლად ცხოვრება კი საღ აზროვნებას გულისხმობს. აზროვნების უნარის განვითარება ფინური განათლების სისტემის მთავარი ამოცანაა. სკოლაში არავის აინტერესებს საზეპიროებისა და ფორმულების ზუთხვა. მთავარია, ბავშვმა ისწავლოს, როგორ უნდა ისარგებლოს ლექსიკონებით, ტექსტებით, ინტერნეტით, პლანშეტით, ანუ იმ რესურსით, რომელიც მიმდინარე პრობლემების გადაჭრაში დაეხმარება.

MODEST (მოკრძალებული) – როდესაც ფინეთში გადავედი საცხოვრებლად, მეგონა, სკოლებში უახლეს სასწავლო მეთოდებს გავეცნობოდი, კლასები ტექნიკურად საოცრად აღჭურვილი დამხვდებოდა, შენობები კი ბრწყინვალედ გარემონტებული. დარწმუნებული ვიყავი, რომ სწორედ ასეთი უნდა ყოფილიყო მსოფლიოში ყველაზე გამართული განათლების სისტემა – ზედმიწევნით კეთილმოწყობილი გარემოთი, მაგრამ აღმოვაჩინე, რომ სკოლების უმეტესობა მოკლებულია ამ ელემენტებს. რასაკვირველია, სწავლების მოწინავე მეთოდები, თანამედროვე გაჯეტები და გაპრიალებული დერეფნები ფინეთშიც არის, მაგრამ ეს არ გახლავთ პირველხარისხოვანი. ფინეთში მთავარი დაბალანსებული სასწავლო გეგმა, კომპეტენტური მასწავლებელი და ის კეთილგანწყობილი სასკოლო გარემოა, რომელიც ბავშვებზე დადებითად მოქმედებს. ისინი სკოლაში თავს კომფორტულად გრძნობენ.

PLAYFUL (თამაშ-თამაშით) – ფინეთში მშობელთა და მასწავლებელთა უმეტესობას მიაჩნია, რომ მცირე ასაკის ბავშვმა თამაშს ბევრი დრო უნდა დაუთმოს. თამაში ხელს უწყობს ბავშვის სოციალურ, ემოციურ და ფიზიკურ განვითარებას. ბავშვების უმეტესობა სკოლაში შვიდი წლის ასაკში შეჰყავთ, მანამდე კი, თუ ის რამეს სწავლობს, მხოლოდ თამაშ-თამაშით.

თამაშით სწავლება უმცროს კლასებშიც გრძელდება. პირველ- და მეორეკლასელები დღეში საშუალოდ სამ საათს სწავლობენ. გაკვეთილებს შორის ხანმოკლე შესვენებები აქვთ. დღის მეორე ნახევარს, როგორც წესი, გახანგრძლივებულ ჯგუფებში ატარებენ და დრო თამაშში გაჰყავთ.

ფინელ მოსწავლეებს საშინაო დავალებას იშვიათად აძლევენ. ბავშვებმა კარგად უნდა დაისვენონ – აქ ასეთი წესია. მშობლებმა შვილებთან ერთად გაკვეთილები კი არ უნდა ამზადონ, არამედ, როცა თავისუფალი დრო აქვთ, მუზეუმში, ლაშქრობაში, აუზზე იარონ.

LOW-STRESS (დაბალსტრესიანი) – ბევრ ფინურ სკოლაში ვყოფილვარ და რაც თვალში მომხვედრია, მშვიდი და უშუალო სასკოლო გარემოა. ფინელებმა იციან, რომ სტრესი უარყოფითად მოქმედებს სწავლებაზე, ნაკლებსტრესული ატმოსფერო კი ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც პედაგოგებისთვის, ისე მოსწავლეებისთვისაც. მაგალითად, ყველა სკოლა ჩართულია სახელმწიფო ელექტრონულ სისტემა «Wilma»-ში. ის ელექტრონული დღიურის მსგავსია, რომელშიც მშობლები პირადი კოდებით შედიან და რომლის მეშვეობითაც პედაგოგები მშობლებს ბავშვის სასკოლო ცხოვრებას აცნობენ. აქვე თავიანთ შენიშვნებს ტოვებენ: ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი, ექიმი.

EQUITABLE (თანასწორუფლებიანი) – ფინეთში პრაქტიკულად ყველა სკოლა საჯაროა, ძალიან ცოტას თუ ნახავთ კერძოს. ეს უზრუნველყოფს სწავლების მაღალ სტანდარტს. არ აქვს მნიშვნელობა, მოსწავლე ქალაქში ცხოვრობს თუ სოფლად – მას ყველგან აქვს საშუალება, ისწავლოს კარგ სკოლაში, იყოს კვალიფიციური მასწავლებლების ხელში, მიჰყვეს გონივრულად შედგენილ სასწავლო გეგმას, აითვისოს ხარისხიანი სასწავლო მასალა და ნორმალურად იკვებოს სკოლის სივრცეში.

ნინო კაპანაძე

ინტერაქტიული სწავლება – მრავალმხრივი დიალოგი

ინტერაქტიული მეთოდები განათლების თანამედროვე მიდგომების რეალიზების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტებია. თეორეტიკოსები ინტერაქტიულ სწავლებას შემეცნებითი საქმიანობის ორგანიზების სპეციალურ ფორმასაც უწოდებენ. ეს ფორმა ისახავს სავსებით კონკრეტულ და პროგნოზირებად მიზანს: სწავლებისათვის შექმნას კომფორტული პირობები, როდესაც მოსწავლე შეიგრძნობს საკუთარ წარმატებულობას, ირწმუნებს საკუთარ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, პრაქტიკულ უნარებს, რომლებსაც შემდეგ პრობლემების მოსაგვარებლად გამოიყენებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ინტერაქტიული სწავლება დიალოგური სწავლების ფორმაა, რომლის მიმდინარეობისას ხორციელდება ინტერაქცია როგორც მოსწავლეებსა და მასწავლებელს, ასევე მოსწავლეებს შორის.

ინტერაქტიული მეთოდებით სწავლების ამოცანებია:

- მოსწავლისთვის ინტერესის გაღვიძება;
- სასწავლო მასალის ეფექტური ათვისება;
- დასახული სასწავლო ამოცანის გადაწყვეტის გზებისა და ვარიანტების დამოუკიდებლად მოძიება მოსწავლეთა მიერ (შეთავაზებული ვარიანტებიდან ერთის არჩევა ან განსხვავებული გზის შეთავაზება არგუმენტებზე დაყრდნობით);
- მოსწავლეთა თანამშრომლობის, გუნდში მუშაობის უნარების განვითარება, განსხვავებული თვალსაზრისის მოსმენის უნარის განვითარება, ერთმანეთის სიტყვის თავისუფლების, ღირსების პატივისცემა;
- მოსწავლეთა მიერ თვალსაზრისის ჩამოყალიბებისა და ურთიერთობის უნარების განვითარება;
- ცხოვრებისეული და საგნობრივი უნარების ფორმირება.

ინტერაქტიული მეთოდების გამოყენების დროს მასწავლებლის როლი მნიშვნელოვნად იცვლება. ის ცენტრალური ფიგურა კი აღარ არის, არამედ არეგულირებს პროცესს, ახდენს მის ზოგად ორგანიზებას, წინასწარ ამზადებს სათანადო დავალებებს,

> ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება მასწავლებლისგანაც და მოსწავლეებისგანაც განსაზღვრულ უნარებსა და გამოცდილებას ითხოვს. მთავარი კი მაინც ის არის, რომ მასწავლებელმა დომინანტის როლის დათმობა შეძლოს. ეს აუცილებელია, რათა საგაკვეთილო სივრცეში მოსწავლეებს თავიანთი როლისა და მნიშვნელოვნების განცდა გაუჩნდეთ.

თემებსა თუ კითხვებს ჯგუფებში სამუშაოდ, უწევს კონსულტირებას, თვალს ადევნებს დროის ლიმიტის დაცვას და დასახული გეგმის შესრულების მიმდინარეობას. ცდილობს, „უჩინრად“ შეაშველოს ხელი მოსწავლეთა მიერ ახალი ცოდნის მიგნებისა და აგების პროცესს. მოსწავლეებს უწევთ კომუნიკაცია ერთმანეთთან, დასახული ამოცანების ერთობლივი გადაწყვეტა, კონფლიქტების მოგვარება, თანმხვედრი პოზიციების მიგნება, კომპრომისებზე წასვლა და ასე შემდეგ, ანუ აქტიურდება სოციალური უნარების მთელი სპექტრი.

გავრცელებული ინტერაქტიული მეთოდები (მრგვალი მაგიდა, დისკუსია, დებატები, გონებრივი იერიში, როლური თამაშები, სიტუაციური ანალიზი და ასე შემდეგ) არ ამოწურავს ამ მეთოდების ჩამონათვალს, რადგან მასწავლებელს რჩება შესაძლებლობა, დასახული მიზნის შესაბამისად მიმართოს მეთოდების კომბინაციას, მოახდინოს მოდიფიცირება ან სულაც შეიმუშაოს სრულიად ორიგინალური ფორმა.

ინტერაქტიული მეთოდით მუშაობისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ:

- ეს არ არის ლექცია, ეს ერთობლივი სამუშაოა;
- მოსწავლეები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ, განურჩევლად მათი მსგავსება-განსხვავებისა;
- ყოველ მონაწილეს აქვს ნებისმიერ საკითხზე საკუთარი მოსაზრების გამოთქმის უფლება;
- აქ არ არის პიროვნული კრიტიკის ადგილი, კრიტიკას მხოლოდ იდეები ექვემდებარება;
- გაკვეთილზე მოსმენილი მოსაზრებები არ არის გადაწყვეტილება, ეს არის ინფორმაცია განსჯისათვის.

ინტერაქტიული მეთოდების გამოყენების დროს მასწავლებლის როლი მნიშვნელოვნად იცვლება. ის ცენტრალური ფიგურა კი აღარ არის, არამედ არეგულირებს პროცესს, ახდენს მის ზოგად ორგანიზებას, წინასწარ ამზადებს სათანადო დავალებებს, თემებსა თუ კითხვებს ჯგუფებში სამუშაოდ, უწევს კონსულტირებას, თვალს ადევნებს დროის ღიმიტის დაცვას და დასახული გეგმის შესრულების მიმდინარეობას.

როგორ ვემზადებით ინტერაქტიული გაკვეთილისთვის?

- ვარჩევთ თემას მოსწავლეთა ასაკის, ინტერესებისა და წინარე ცოდნის გათვალისწინებით;
- ვგეგმავთ გაკვეთილის ეტაპებს ისე, რომ დროით ჩარჩოს მოვარგოთ.

აუცილებელი პირობების ჩამონათვალი:

- მკაფიოდ ჩამოყალიბებული გაკვეთილის მიზანი;
- წინასწარ მომზადებული დასარიგებელი რესურსები (საკითხავი მასალა, ჯგუფური სამუშაოები);
- გამართული ტექნიკური საშუალებები;
- ჩამოყალიბებული საკითხები და მათი თანმიმდევრობა;

- შერჩეული ცხოვრებისეული მაგალითები.

გაკვეთილის დაწყებამდე ჩამოყალიბებული უნდა გვქონდეს:

- პრობლემები, რომელთა გადაჭრაზეც იმუშავებენ მოსწავლეები;
- მიღებული ცოდნისა და უნარების ცხოვრებაში რეალიზების პერსპექტივა;
- პრაქტიკული ბლოკი (რაზეც ჯგუფები იმუშავებენ).

მოსწავლეები უნდა აღიარებდნენ ჯგუფში მუშაობის წესებს:

- აქტიურობას;
- ჯგუფის წევრთა აზრის პატივისცემას;
- კეთილგანწყობას;
- პუნქტუალურობასა და პასუხისმგებლობას;
- არ შეაწყვეტინონ საუბარი სხვას;
- მზაობას თანამშრომლობისთვის;
- ინტერესის შენარჩუნებას;
- ჭეშმარიტების მისაგნებად სწრაფვას;
- რეგლამენტის დაცვას;
- კრეატიულობას.

ინტერაქტიული მეთოდების გამოყენება მასწავლებლისგანაც და მოსწავლეებისგანაც განსაზღვრულ უნარებსა და გამოცდილებას ითხოვს. მთავარი კი მაინც ის არის, რომ მასწავლებელმა დომინანტის როლის დათმობა შეძლოს. ეს აუცილებელია, რათა საგაკვეთილო სივრცეში მოსწავლეებს თავიანთი როლისა და მნიშვნელოვნების განცდა გაუჩნდეთ. ეს ერთბაშად არ იქცევა მყარ განცდად, ამიტომაც ინტერაქტიული სწავლება უნდა იყოს მიდგომა, რომელსაც მასწავლებელი შეგნებულად აღიარებს, აქვს მისდამი პოზიტიური დამოკიდებულება და სისტემატურად იყენებს.

განსაზღვრული ხნის შემდეგ ეს მიდგომა შედეგს გამოიღებს და დავინახავთ, როგორ აისახება ეს გამოცდილება მოსწავლეების ქცევაზე. მათ განუვითარდებათ საკუთარი აზრის ფორმულირებისა და არგუმენტირებული მსჯელობის უნარები. ისინი ღია და გულწრფელი დიალოგებისთვის იქნებიან მზად. იგრძნობენ პასუხისმგებლობას კლასში მიმდინარე პროცესებზე, ერთმანეთის წარმატებებზე. მათ განუვითარდებათ თავდაჯერება, რაც აისახება კიდეც აკადემიურ მოსწრებაზე.

ფაქტია, მოსწავლეები, რომლებიც ასე მუშაობენ, სულ სხვა სილაღითა და ბუნებრიობით ერთვებიან ინტერაქციაში, მხოლოდ საჩვენებლად შემდგარი ინტერაქცია კი არაბუნებრივი და შეზღუდულია.